კვირეული ბიზნესი. „ვერსია“ ერთი

ვერსია

№33 (789) 25 - 26 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ვინ იქნებიან შუალედურ არჩევნებში „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის კანდიდატები

გვ. 3

რაფომ „დაბრაკა“ კოალიციამ ირაკლი ქადაგიშვილი და ლევან გოგიჩაიშვილი, რას ელოდება შს ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და რაფომ აკეთებენ ნაციონალები „სტავკას“ საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ გრიგოლ ვაშაძეზე

ბორის ბერეზოვსკის უკანასკნელი ინტერვიუ

გვ. 10

„ვერასოდეს ვერკვეოდი ადამიანებში, მათ ადამიანურ თვისებებში. მათ ვაფასებდი გონიერებისთვის, სიმამაცისთვის, მაგრამ ვცდებოდი, მათ შორის, ბადრის შემთხვევაშიც. მას ახლაც მეგობრად მივიჩნევ. ჩემი შეცდომა ისაა, რომ არც რომან აბრამოვიჩსა და არც ბადრი პატარკაციშვილთან მოლაპარაკებებს დოკუმენტით არ ვაფორმებდი“

რა უთხრა სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე „ფორბსის“ ჟურნალისტს, რაფომ მიაჩნდა, რომ ბადრი პაფარკაციშვილში შეცდა და რაფომ დაკარგა ცხოვრების აზრი რუსმა ოლიგარქმა

პოეტი ვაჟა ოთარაშვილი პრემიერს ურჩევს, ბათუმს თავი დაანებოს და მეჩეთი საკუთარ რეზიდენციაში აიშენოს!

„თუ სურვილი აქვთ, მიხეილ სააკაშვილმა და ბიძინა ივანიშვილმა კოჰაბიტაციის ხაზი ავლაბარსა და სოლოლაკს შორის გაავლონ!“

20 გვერდი 40 თეთრი

თიბისი ბანკი
TBC BANK

მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტულმა ფინანსურმა ჟურნალმა Global finance თიბისი ბანკი საქართველოში 2013 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა

გვ. 3

პატიმრები სოზარ სუბარს აშანტაჟებენ?!

„გეფიცებით, ეს ერთადერთხელ იყო და წლის ბოლომდე პრემიის გამოწერას არ ვფიქრობ!“

გვ. 5

შრომის უსაფრთხოება საქართველოს ერთი-ერთი მთავარი პრობლემაა!

ბოლო 6 წლიწადში საწარმოებში 300-მდე ადამიანი გარდაიცვალა

გვ. 6

უბედური პენსიონერები და ბედნიერი პოლიტიკოსები

გვ. 12

ქეთი დოლიძეს კულტურის სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები არ მოსწონს

ვინ აფინანსებს ფესტივალ „საჩუქარს“ და ვის დასჯას ითხოვს რეჟისორი

გვ. 13

ზურაბ ჟვანიას ქვრივი სიმღერას იწყებს?!

ნინო ქადაგიძეს ნიკა მემანიშვილმა ოთარ ჭიღაძის ღექსზე სიმღერა დაუწერა

გვ. 2

შს მინისტრი ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში, ევროპის საბჭოში გაემგზავრა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, 25 მარტს, გაიმართება შეხვედრები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, ტორბიორნ იაგლანდთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანთან ვოიჩეკ სავიცკისთან, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების გენერალურ დირექტორთან ფილიპ ბოიასთან, ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის ჯგუფის (Pompidou) აღმასრულებელ მდივანთან პატრიკ ფენიქსთან და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებთან.

ირაკლი ღარიბაშვილი ევროსაბჭოს ოფიციალურ პირებს შსს-ში გატარებულ და დაგეგმილ რეფორმებს გააცნობს. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ევროსაბჭოს განსახილველად პოლიციის ახალი „ეთიკის კოდექსი“ პირველად წარუდგინა. განხილვის შემდეგ მოხდება მისი ოფიციალური დამტკიცება.

გარდა ამისა, შს მინისტრი ხელს მოაწერს მნიშვნელოვან დოკუმენტებს: დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების, კონფისკაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას; კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის დამატებით ოქმს; სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებით ოქმს. აღნიშნული ოქმების ხელმოწერის ვალდებულება ქართულ მხარეს დაეკისრა ევროკავშირთან სავიზო დიალოგის სამოქმედო გეგმის თანახმად და მათთან მიერთება ხელს შეუწყობს კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ საფრანგეთიდან შემოტანილი 96 აბი „სუბუტექსი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თბილისის მთავარი სამმართველოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 1966 წელს დაბადებული მამუკა ყ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ შეძენა-შენახვისა და შემოტანის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ნარკოტიკული საშუალება საფრანგეთში შეიძინა და იქვე ნაყიდი ავტომობილის სალონში შეინახა. ავტომანქანა საქართველოში მან გემით გამოგზავნა. სამართალდამცველებმა სამშობლოში დაბრუნებული მამუკა ყ. ბათუმში, თბილისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მისი ავტომანქანის ჩხრეკისას, სავარაუდოდ, სარეალიზაციოდ გამზადებული 97 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას გაუფორმებელი სანადირო თოფი ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა) მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის (საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა) მე-4 ნაწილით და 236–ე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა) მუხლის პირველი ნაწილით.

„ვერსიანიუსი“

ეკა სეხნიაშვილი

აჭარაში სასტუმროების სკანდალი მწიფდება. როგორც „ვერსიას“ აჭარის მთავრობიდან პრივატულად უყვებიან, 2006 წელს სააკაშვილის მიერ ზარ-ზეიმით გაყიდული სასტუმროების ნაწილი, შესაძლოა, ისევ მთავრობის განკარგულებაში დაბრუნდეს. აჭარის მთავრობამ, ხელშეკრულების მიხედვით, ზღვისპირა ზოლში 21 სასტუმრო რამდენიმე კომპანიას 18 მილიონ ლარად გადასცა. ხელშეკრულების არასრულფასოვნად შესრულების გამო კი, ქონების დაბრუნება, შესაძლოა, რამდენიმე სოლიდურ ბიზნესკომპანიას მოუხდეს, მათ შორის, „სილქ როუდ ჯგუფსაც“. სპეციალური კომისია, რომელიც აჭარის ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში შეიქმნა, ლევან ვარშალომიძის მიერ აჭარის ზოლში სასტუმროების გასხვისების ხელშეკრულებების გადამოწმებას იწყებს. აღნიშნულ ინფორმაციას ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთთან“ საუბრისას აჭარის ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გელა ცინცაძეც ადასტურებს, თუმცა როგორც მასალებიდან ირკვევა, სასტუმროების უმრავლესობა იპოთეკითაა დატვირთული. „აჭარა ჰორიზონტს ჰოლდინგში“ კი აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირობების შესრულებისთვის ხელისუფლებამ ვადა 2019 წლამდე მისცა.

თემურ ჭყონიას, „ზარალასა“ და კიდევ რამდენიმე ბიზნესმენს, სასტუმროების გამო, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას?

აჭარაში ბიზნესსკანდალი მწიფდება

აღნიშნული კომპანია აჭარის სასტუმროების ზოლის შეძენამდე რამდენიმე დღით ადრე ჰოლანდიაში დარეგისტრირდა და მას სასტუმროები — „რედისონი“, „მედეა“, „მესხეთი“ უნდა აეშენებინა. რაც შეეხება „ჰორიზონტს“, ის ჯერ კიდევ 2008 წელს უნდა დასრულებულიყო. ამ ჰოლანდიურ კომპანიას ოფიციალურად „სილქ როუდ გრუპი“ აკონტროლებდა. „სილქ როუდ გრუპის“ უკან კი „ზარალა“ ანუ ბიზნესმენი გიორგი რამიშვილი მოიაზრება.

სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარღვევის საკითხებს მაკონტროლებელი უწყება 2005 წლიდან, ანუ ლევან ვარშალომიძის პოსტზე მოსვლის დღიდან შეისწავლის. სწორედ ამ დროს, ვარშალომიძემ, კულტურულ-რეკრეაციული ზონების გაშენების მიზნით, პირადი ბრძანებით, ბათუმისა და ქობულეთის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაასხვისა.

როგორც „ვერსიას“ წყარო უყვება, აჭარის მთავრობა ქობულეთში მიწის ნაკვეთების ჩუქებისა და გადაცემის ფაქტებსაც სწავლობს. წყაროს თქმით, ადმინისტრაციული წარმოება შპს „საქართველოსთან“ ერთად, იმ კვიპროსულ კომპანიასაც შეეხება, რომელსაც მიწის ნაკვეთი ლევან ვარშალომიძემ ბულვარში გადასცა.

რაც შეეხება „საქართველოს“, ამ სასტუმროს მფლობელი ბიზნესმენი თემურ ჭყონიაა, რომელიც სააკაშვილის „ლუბიმშჩიკ“ ბიზნესმენად ითვლებოდა. სხვათა შორის, სასტუმრო „ჯორჯიან პალასის“ მიმდებარე ტერიტორია — 15 ათასი კვადრატული მეტრი ჭყონიამ აჭარის ეკონომიკის სამინისტროსგან შეიძინა და მალე ცნობილი გახდა, რომ სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე კოტეჯები და საცურაო აუზი აშენდებოდა.

ეს ტერიტორია ქობულეთში ერთ-ერთ უნიკალურ ზონად ითვლება. აქ თავის დროზე, ორი სანატორიუმი — „თოლია“ და „საქართველო“ ფუნქციონირებდა. ფიჭვნარის გაკაფვას დიდი ხმაური მოჰყვა, თუმცა ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ ეს ფაქტი ვერ გაიხსენა, პრობლემები არ მაქვსო, განგვიცხადა და ტელეფონი გაგვითიშა.

ზურაბ ჟვანიას ქვრივი სიმღერას იწყებს?!

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებას პროკურატურამ, რომელიც ჟვანიას ძმასთან კოორდინირებულად მოქმედებს და მოწმეებიც რამდენჯერმე დაკითხა, ფარდა ჯერ ვერ ახადა. მიხეილ სააკაშვილმა პრემიერის სიკვდილს „უბედური შემთხვევა და ტრაგიკული ფაქტი“ უწოდა, თუმცა ჟვანიას ოჯახი ამ ვერსიას არ ეთანხმება. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა თავის დროზე განაცხადა, რომ ჟვანია მოკლულია, თუმცა მოგვიანებით, ეს ინფორმაცია უარყო. „ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურატურა ჟვანიას საქმის ირგვლივ ახალ დეტალებს უკვე ფლობს, თუმცა გარკვეული მოსაზრების გამო, გასაჯაროებისგან თავს იკავებს.
როგორ აფასებენ გარდაცვლილი პრემიერის ოჯახის წევრები პრეზიდენტის ბოლოდროინდელ განცხადებას? ამის გასარკვევად, „ვერსია“ ნინო ქადაგიძე-ჟვანიას დაუკავშირდა. სხვათა შორის, „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ყოფილი პრემიერის ქვრივმა ახლახან სიმღერა ჩაწერა.

ნინო ქადაგიძე-ჟვანიას ნიკა მემანიშვილმა ოთარ ჭიღაძის ლექსზე სიმღერა დაუწერა

— ქალბატონო ნინო, როგორც შევიტყვეთ, სიმღერა ჩაგიწერიათ...

— კი, ოღონდ ჯერ არ დამიმთავრებია...

— ესე იგი, სიმღერას იწყებთ?

— საერთოდ, სიმღერა მიყვარს... ეს ისტორია დიდი ხნის წინ დაიწყო. ნიკა მემანიშვილს ვეუბნებოდი ხოლმე, ოთარ ჭილაძეს კარგი ლექსები აქვს და გამოიყენე-მეთქი. ლექსების კრებული მივეცი და მივუთითე, რომელი ლექსიც მომწონდა. ნიკამ, მართლაც, დაწერა ამ ლექსზე სიმღერა, თან რაღაც წინასწარმეტყველური სიმღერაა — ტრაგიკული ტექსტია. სიმღერა უცბად ჩავწერეთ და ჯერ არ დაგვიმთავრებია. იმედია, კარგი გამოვა.

— სოლო შესრულებაა?

— კი, მე ვასრულებ.

— სხვა სიმღერების ჩაწერასაც აპირებთ?

— არ მგონია.

— ქალბატონო ნინო, მიხეილ სააკაშვილმა ვახო სანაიას „ღია ეთერში“ თქვენს მეუღლესთან დაკავშირებით განაცხადა, ეს უბედური შემთხვევა იყოო და ისიც თქვა, მეგობრის გარდაცვალების გამო ძალიან ვწუხვარო...

— სიმართლე გითხრათ, არ მომისმენია, რადგან ამ კაცის ტყუილების მოსმენა არ შემიძლია, ნერვები მეშლება, დავიღალე. ზურას გარდაცვალებიდან 8 წელი გავიდა და ამ ადამიანს ერთხელ არ აუღია ტელეფონი, არ დაურეკავს, არ მოუკითხივართ და გულღიად ჩემთან არ ულაპარაკია. მიმაჩნია, რომ ადამიანს, რომელსაც სუფთა სინდისი და ხელები აქვს, იმის ძალა უნდა ჰქონდეს, ელემენტარულად, ტელეფონი აიღოს და ოჯახის წევრებს დაელაპარაკოს.

— თქვენი მეუღლის გარდაცვალების გამოძიებას ახალი ხელისუფლებაც აჭიანურებს...

— არ აჭიანურებს, მაგრამ ეს საქმე სასამართლოში ახლა რომ წავიდეს, აზრი არ აქვს, რადგან ხმაური მოჰყვება, შედეგი კი — არა. ვფიქრობ, კიდევ უნდა მოვიცადოთ, თან წელს ჩემი შვილი გამოცდებს აბარებს და არ მინდა, ეს პროცესები დაემთხვეს.

— ირაკლი ოქრუაშვილმა თქვენი მეუღლის გარდაცვალების შესახებ რამდენჯერმე შეცვალა ვერსია...

— გეხვეწებით, მაგ კაცზე ლაპარაკი არ მინდა. არ ვიცი, რა გითხრათ. ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ...

ეკა სეხნიაშვილი

ვინ იქნებიან შუალედურ არჩევნებში „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის კანდიდატები

რატომ „დაბრაკა“ კოალიციამ ირაკლი ქადაგიშვილი და ლევან გოგიჩაიშვილი, რას ელოდება შს ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და რატომ აკეთებენ ნაციონალები „სტავკას“ საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ გრიგოლ ვაშაძეზე

ნათია აბაშიძე

ყბადაღებული კოჰაბიტაციისა და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ნაციონალთა მხარდაჭერის ფონზე, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს თითქოს დაავიწყდა, რომ ზუსტად ერთ თვეში ანუ 27 აპრილს, სამ საარჩევნო ოლქში — ნაძალადევში, ბაღდათსა და სამტრედიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. შეიძლება, ვიღაცამ თქვას, ამ სამი მანდატისთვის ბრძოლას რა აზრი აქვსო, მაგრამ, როგორც „ვერსიას“ კულუარებში უთხრეს, ამ სამი მანდატისთვის, ლამის, „ჯვაროსნული ომია“ გამოცხადებული.

საკუთარი საპარლამენტო რიგების სამი წევრით გამდიდრება, ყველაზე მეტად, ყოფილ მმართველ გუნდს აწყობს ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ სამ მანდატს ნაციონალებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, სააკაშვილის გუნდმა შუალედურ არჩევნებში წარმატებას მიაღწიოს.

მიუხედავად ამისა, „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, „ნაციონალები“ ბრძოლისთვის მზად არიან და განსაკუთრებულ აქცენტს ნაძალადევზე აკეთებენ.

საერთოდ, ნაძალადევის საარჩევნო ოლქი, სადაც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში იუსტიციის დღევანდელმა მინისტრმა, თეა წულუკიანმა სრული ტრიუმფი აჩვენა, თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ერთგვარ წყალგამყოფად შეიძლება იქცეს ანუ ყველა პოლიტიკური ძალა, მათ შორის, „ქართული ოცნებაც“ მიიჩნევს, რომ 27 აპრილს ნაძალადევის მოგება მისი ღირსების საკითხია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება, დანამდვილებით ითქვას, რომ შუალედურ არჩევნებში „ოცნება“ საკუთარ კანდიდატებს აუცილებლად წარადგენს. „ვერსიის“ წყაროების თქმით, კოალიცია თავდაპირველად გეგმავდა, ნაძალადევის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატად თავდაცვის მინისტრის თანაგუნდელი, თავისუფალი დემოკრატების ამჟამინდელი თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი წარედგინა. ამბობენ, ქადაგიშვილი, რომელმაც ეს პოსტი პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიკავა, პრემიერისთვისაც მისაღები ყოფილა, თუმცა მოგვიანებით, მისი კანდიდატურა დღის წესრიგიდან მოხსნილა.

ვინ იმუშავა ქადაგიშვილის ანუ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ? — ამ კითხვაზე კულუარებში პასუხი, პრაქტიკულად, არ არსებობს, თუმცა ამბობენ, რომ ქადაგიშვილის მიმართ, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ეროვნული მოძრაობიდანაა და რომელიც, თავის დროზე, პატრიარქის ფონდს, უფრო ადრე კი, საბაჟოს ხელმძღვანელობდა, კოალიციაში არცთუ სიმპათიურად არიან განწყობილნი.

ერთი სიტყვით, ქადაგიშვილის შემდეგ კოალიციის იდეოლოგებს უფიქრიათ, ნაძალადევში მაჟორიტარად ლევან გოგიჩაიშვილი დაესახელებინათ, რომელმაც საპყრობილე ახლახან, პოლიტპატიმრის სტატუსით დატოვა, თუმცა საბოლოო შეთანხმება ვერც გოგიჩაიშვილთან დაკავშირებით მიღწეულა, ამიტომ როგორც „ვერსიას“ უთხრეს, „ოცნებას“ ნაძალადევის მაჟორიტარი, ჯერჯერობით, შერჩეული არ ჰყავს.

ისე, არაა გამორიცხული, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა ორბიტამ მხარი, პირდაპირ თუ ირიბად, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენმდივანს, სოსო მანჯავიძეს დაუჭიროს. სხვათა შორის, ამ დროისთვის, მანჯავიძე ერთადერთია, ვინც მაჟორიტარობის კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირდა.

კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ „ოცნებისგან“ „მწვანე შუქს“ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურიაც ელოდება. 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებისთვისაც არსებობდა მოლოდინი, საბურთალოს რაიონში „ოცნება“ მხარს სწორედ ბაღათურიას დაუჭერდა. იმხანად, ისიც ითქვა, რომ ბიძინა ივანიშვილსა და ჯონდი ბაღათურიას შორის თითქოს გარკვეული კონსულტაციებიც გაიმართა, მაგრამ, საბოლოოდ, „ოცნებამ“ საბურთალოზე მაჟორიტარად პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დაასახელა და, მიუხედავად იმისა, რომ ბაღათურიას ხელწამოსაკრავი რეიტინგი არ ჰქონდა, საბურთალო მაინც უსუფაშვილმა მოიგო...

„ვერსია“, წყაროებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ წერდა, რომ შუალედურ არჩევნებში ნაძალადევის მაჟორიტარობას დიმიტრი ლორთქიფანიძე შეეცდებოდა. მართალია, მაშინ ბატონმა დიმამ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა და, პრინციპში, საჯაროდ დღესაც არ განუცხადებია, რომ შუალედურ არჩევნებში აპირებს მონაწილეობას, მაგრამ პოლიტიკურ კულუარებში თითქმის ყველამ იცის, რომ 27 აპრილს საარჩევნო უბნებში მისული ნაძალადეველები ბიულეტენში ლორთქიფანიძესაც ნახავენ.

ისე, სხვადასხვა წყარო იმასაც ამბობს, რომ შუალედურ არჩევნებში, როგორც მაჟორიტარობის კანდიდატმა მონაწილეობა, შესაძლოა, კახა კუკავამაც მიიღოს, თუმცა უფრო მეტად ისაა საინტერესო, ვის წარადგენენ ნაციონალები ნაძალადევში მაჟორიტარობის კანდიდატად. „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ყოფილი მმართველი გუნდი ნაძალადევში — არც მეტი, არც ნაკლები — საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს, ნინო ანანიაშვილის მეუღლეს, გრიგოლ ვაშაძეს დაასახელებს.

რატომ მაინცდამაინც ვაშაძე? — ამ კითხვაზე პასუხი, ცხადია, არ არსებობს, თუმცა ვერსიის დონეზე, ნაციონალები მსოფლიოში სახელგანთქმული ბალერინას თანამეცხედრეზე აქცენტს, ალბათ, მისი დიპლომატიური კარიერის გამო აკეთებენ — ვაშაძეს მხოლოდ დასავლური წრეები კი არა, კრემლიც კარგად იცნობს, სხვა თუ არაფერი, წლების განმავლობაში და, მაშინაც კი, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იყო...

ვაშაძის პარალელურად, როგორც „ვერსიას“ უთხრეს, ნაციონალებს სათადარიგო კანდიდატიც ჰყავთ, უფრო სწორედ, ნაძალადევის „მარადიულმა დეპუტატმა“ მერაბ სამადაშვილმა, რომელიც 1999 წლიდან მოყოლებული, პარლამენტარი იყო და მისი დამარცხება მხოლოდ თეა წულუკიანმა მოახერხა, „მშობლიური პარტიისგან“ დავალება მიიღო, რომ მხოლოდ ნაციონალთა კანდიდატს კი არ უნდა დაეხმაროს, არამედ სხვა კანდიდატების შავ პიარზეც იმუშაოს.

დასასრული მე-4 გვერდზე

მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტულმა ფინანსურმა ჟურნალმა Global finance თიბისი ბანკი საქართველოში 2013 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა

GLOBAL FINANCE

ჟურნალმა Global Finance თიბისი ბანკს 2013 წლის საუკეთესო ბანკის სტატუსი მიანიჭა. კრიტერიუმი, რის მიხედვითაც მოხდა გამარჯვებული ბანკების დასახელება, მოიცავდა აქტივების ზრდას, მომგებიანობას, ბანკის სტრატეგიას, მომსახურების ხარისხსა და ინოვაციურ პროდუქტებს.

„ყოველ რეგიონსა და ცალკეულ ქვეყანას აქვს განსხვავებული გამოწვევები ბანკებისა და მათი მომხმარებლებისთვის, განსაკუთრებით იმ რთული პირობების გათვალისწინებით, რომელშიც, დღესდღეობით, გლობალური ფინანსური ბაზრები იმყოფება“, — ამბობს Global finance-ის რედაქტორი, — **„სწორედ, ამის გამო, მომხმარებლები დამოკიდებულნი არიან თავიანთი პარტნიორი ბანკების წარმატებულ საქმიანობასა და მომსახურების ხარისხზე. გამარჯვებული ბანკები კი ასეთ ბაზრებს უმაღლესი დონის გადაწყვეტილებებს სთავაზობენ“.**

„ჩვენ გვეამაყება ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამ ნომინაციის გამარჯვებული საქართველოში 2012 წელსაც ჩვენ გავხდით. მსგავსი მსოფლიო დონის ჯილდოს მიღება, ასახავს ბანკის სიძლიერეს და სტაბილურ განვითარებას, მომხმარებლებისადმი განსაკუთრებულ მიდგომასა და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებას“, — განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ, ბანკის გენერალურმა დირექტორმა.

ამ ნომინაციაში გამარჯვება 2012 წელსაც თიბისი ბანკმა მოიპოვა. გარდა წლის საუკეთესო ბანკის სტატუსისა, Global Finance-ისგან თიბისი ბანკმა გასულ წელს კიდევ ორი ჯილდო მოიპოვა: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით დასახელდა, როგორც **„საუკეთესო ინტეგრირებული სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი“,** ხოლო საქართველოს მასშტაბით, როგორც **„საუკეთესო სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი“.**

თიბისი ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელიც დაჯილდოვდა ამ ნომინაციებში და მიიღო რეგიონული აღიარება.

რუსუდან შელია
557-100-768

რამდენიმეთვიანი დაძაბული განხილვების შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებებზე შეთანხმდა — კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს მთავრობის დათხოვნის უფლება ეზღუდება, პირველ მოსმენაზე ხმა 130-მა დეპუტატმა მისცა. რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული ცვლილებები ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ვინ ცდილობს პრემიერთან ქულების ჩაწერას? — „ვერსიას“ ექსპერტი კახი კახიშვილი ესაუბრა.

„საკონსტიტუციო ცვლილებებით „ოცნებამ“ სააკაშვილს ძალის დემონსტრირების საშუალება მისცა!“

კახი კახიშვილის შეფასებით, კოალიცია არასწორ ნაბიჯებს დგამს

— 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებებმა აქტუალობა დაკარგა, რადგან ნათელი გახდა, მიხეილ სააკაშვილი მთავრობის გადაყენებას ვეღარ გაბედავდა, რადგან იგრძნო, კონსტიტუციური უფლების გამოყენების შემთხვევაში, ყველაზე არასასურველ შედეგს მიიღებდა. აქედან გამომდინარე, მმართველი გუნდი ნაციონალურ მოძრაობას ცვლილებების პაკეტის განხილვაში ინერციით გაჰყვა.

— თუ მმართველ გუნდს პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად კონსტიტუციური ცვლილებების მიღება არ სჭირდებოდა, აბა, ამ თემაზე რამდენიმეთვიანი აჟიოტაჟი რას ემსახურებოდა?

— პოლიტიკური სტაბილურობისთვის „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციური ცვლილებები არაფერში სჭირდებოდა და ეს კანონპროექტი, ალბათ, მხოლოდ ინვესტორებს აინტერესებდათ.

> **ამ თემის აგორებით ზოგიერთი, ვფიქრობ, პრემიერთან საკუთარი როლისა და პოზიციის განმტკიცებას ცდილობდა ანუ ბიძინა ივანიშვილს, როგორც ჩანს, შეგნებულად შეუქმნეს განცდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ მიმართულებით რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა, არადა, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, მთავრობის დათხოვნა ყველაზე ნაკლებად ნაციონალურ მოძრაობასა და სააკაშვილს აწყობდა — მთავრობის დათხოვნის უგნური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი რჩებოდა მოგებული, რადგან ნაციონალები სერიოზული პოლიტიკური პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდნენ და გადაწყვეტილების მიღებიდან მაქსიმუმ, ხუთ საათში პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობა ემუქრებოდათ.**

— თუ ეს აჟიოტაჟი ნაციონალურ მოძრაობას აწყობდა, მაშინ რა გამოდის — უმრავლესობა ოპოზიციასთან შეთანხმებით მოქმედებს?

— ასე დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია: საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟით, „ქართულმა ოცნებამ“ მკვდარი პროცესი რეალურად გააცოცხლა და, ნებსით თუ უნებლიედ, მიხეილ სააკაშვილს ძალის დემონსტრირების საშუალება მისცა. აქედან გამომდინარე, მექმნება შთაბეჭდილება, რომ „ქართულ ოცნებაში“ ვიღაცები ზედმეტად თავდაჯერებულები არიან, არადა, ამის საფუძველი, შესაძლოა, რეალურად, არც აქვთ. ვიმეორებ, დღეს „ოცნებაში“ საკუთარ მომავალზე ზრუნავენ, რათა ბიძინა ივანიშვილს აჩვენონ, მათი აზრები თუ სტრატეგია გათვლილი და პროგრესულია. არადა, კოალიციის ტაქტიკაში საკმაოდ სერიოზული შეცდომები იგრძნობა.

— ისიც საინტერესოა, რომ თავდაპირველად, უმრავლესობა აცხადებდა, კლოუნადაში, რომელიც ნაციონალებმა სარეიტინგო კენჭისყრის სახით მოაწყვეს, მონაწილეობას არ მიიღებდნენ, თუმცა ბოლო მომენტში, ამ შეთავაზებას კოალიცია მაინც დათანხმდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მმართველი გუნდი კოორდინირებულად არ მოქმედებს?

— დიახ, ბოლო წუთამდე გვესმოდა, რომ ნაცმოძრაობის მიერ შემოთავაზებულ კლოუნადაში უმრავლესობა არ იდირიჟორებდა. საზოგადოებას ექმნებოდა განცდა, რომ კოალიციას სხვა გეგმა ჰქონდა, მაგრამ უმრავლესობამ ნაციონალური მოძრაობის გარეშე ცვლილებების გატანა ვერ მოახერხა და სარეიტინგო კენჭისყრასთან მიმართებაშიც საკმაოდ დიდი შეცდომა დაუშვა, რითიც გამოჩნდა, რომ მთავრობასა და უმრავლესობას შორის გამოკვეთილი კოორდინაცია არ არსებობდა. ბოლო რამდენიმე თვე გვესმოდა, რომ მმართველი გუნდი ცვლილებების პაკეტს ნაციონალების გარეშეც უპრობლემოდ დაამტკიცებდა, თუნდაც იმ ფრაქციის ხმების დახმარებით, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს მხარს აღარ უჭერენ. ჩემი აზრით, თუ კოალიციამ იცოდა, რომ საკმარისი ხმები არ ჰქონდა, მაგრამ ცვლილებები აუცილებლად უნდა გაეტანა, როგორც კი მიხეილ სააკაშვილმა მას სარეიტინგო კენჭისყრა შესთავაზა, ამ წინადადებას მაშინვე უნდა დათანხმებოდა. კლოუნადაზე საუბარმა უმრავლესობა იქამდე მიიყვანა, რომ თავად გამოთქვა მასში მონაწილეობის სურვილი, რაც ვიმეორებ, აბსოლუტურად არასწორი ნაბიჯი იყო. მართალია, კოალიცია არ დაშლილა, მაგრამ გამოიკვეთა, რომ „ქართული ოცნება“ აბსოლუტურად არათანმიმდევრულად მოქმედებს, რაც, ნებსით თუ უნებლიედ, ნაციონალურ მოძრაობას აქტიურ ძალად წარმოაჩენს.

ისიც უნდა ითქვას, რომ მმართველ გუნდს ნაციონალების მეორე პოლიტიკურ სუბიექტად წარმოჩენა, შესაძლოა, აწყობს კიდეც, რათა ამ პროცესში დანარჩენი პოლიტიკური პარტიები დაიკარგონ.

— ფიქრობთ, თამაშგარე დარჩენილი პარტიები, რომლებმაც საარჩევნო ბარიერიც კი ვერ გადალახეს, მმართველ გუნდს ნაციონალურ მოძრაობაზე მეტ საფრთხეს უქმნის?

— დიახ, რადგან ნაცმოძრაობა ბოლომდე განადგურებულია და „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსასვლელად კონკურენციას ვერ გაუწევს.

> **არ გამოვრიცხავ, კოალიციის ცალკეულ წევრებს ჰქონდეთ სქემა, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკაში მხოლოდ ერთი კონკურენტის შენარჩუნებას ცდილობენ. ეს აუცილებელი პირობაა, რომ 10-15 წელი, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, სათამაშო მოედანზე ძირითად მოთამაშეებად დარჩნენ, თუმცა ბუნებრივია, ამ პოლიტიკური ძალების დასახელებისგან თავს შევიკავებ.**

აღსანიშნავია, რომ როგორც კი კანონპროექტის პირველი მოსმენით კენჭისყრა დასრულდა, მიხეილ სააკაშვილმა ისევ სიძულვილის ენით საუბარი დაიწყო — „ოცნების“ წარმომადგენლებს „შპიონები“ და „მეექვსე კოლონის“ აგენტები უწოდა და, პრაქტიკულად, იგივე რიტორიკაში გადავარდა, რომლითაც 9 წლის განმავლობაში გვესაუბრებოდა. პრეზიდენტი ცდუნებას ვერ უძლებს და, არაერთი დარიგების მიუხედავად, მშვიდად საუბარს ვერ ახერხებს. რაც უნდა მოხდეს, მიშა მაინც მიშაა!

— ამასობაში, ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ 19 აპრილის აქციას რა მნიშვნელობა ენიჭება, თუ ისიც ოპოზიციის თამაშის ნაწილია?

— საერთოდ, მიხეილ სააკაშვილს მთავრობის დათხოვნა 19 აპრილს კი არა, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ნებისმიერ დროს შეეძლო. ნაციონალების აქციას თავიდანვე ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ამომრჩევლების შენარჩუნება იმ კუთხით, რომ მათ ჯერ კიდევ შესწევთ რაღაცის კეთების ძალა. ნაციონალებს ეშინიათ, გუნდი თავზე არ ჩამოეშალოთ. ამასთან, სტაბილურობის კუთხით, ხელისუფლებას პრობლემები შეუქმნან და, რაც მთავარია, საზოგადოებას ნერვები მოუშალონ, რათა პროვოკაციის მოწყობის საშუალება მიეცეთ. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი იმისთვის სჭირდებათ, ტანჯული ოპოზიციის როლი მოირგონ. დარწმუნებული ვარ, ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილის შემდეგაც არაერთ აქციას შემოგვთავაზებს, რადგან ისინი უკვე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გათვლილ კამპანიას ეწევიან. თუ შსს კარგად იმუშავებს, ნაციონალების მიერ დაგეგმილი პროვოკაციის აღმოფხვრა არ უნდა გაუჭირდეს. ეს მხოლოდ და მხოლოდ, სპეცსამსახურების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

ვინ იქნებიან შუალედურ არჩევნებში „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის კანდიდატები

მე-3 გვერდიდან

შავი პიარის ელემენტები სამადაშვილმა, როგორც ამბობენ, პირველი ოქტომბრის არჩევნების დროსაც გამოიყენა. ყოველ შემთხვევაში, იმხანად, თეა წულუკიანი აცხადებდა, თითქოს „თვითმფრინავის ბიჭებს“ დახვრეტა მამაჩემმა მიუსაჯა, სწორედ სამადაშვილის ფანტაზიის ნაყოფიაო.

> **სხვათა შორის, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როგორც „ვერსიას“ უთხრეს, სამადაშვილს პარტიულ ბოსებთან სერიოზული უთანხმოება მოუვიდა. მეტიც, მას „ვაროდსნებმა“, თურმე, 5 მილიონი მოსთხოვეს. „ამის გამო, მერაბმა ინერვიულა და ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა“, — ამბობს „ვერსიის“ წყარო.**

ნაძალადევის გარდა, შუალედური არჩევნები, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ ორ საარჩევნო ოლქში — ბაღდათსა და სამტრედიაში უნდა ჩატარდეს. „ვერსიის“ ინფორმაციით, ბაღდათში „ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად, შესაძლოა, ვაჟა ლორთქიფანიძე წარადგინოს. ამასთან, „მოლოდინის რეჟიმში“, თურმე შს ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილიცაა — იგი პასუხს ელოდება, თუ „ოცნება“ კონკურენტს არ ჩაუსვამს, საკუთარ კანდიდატურას დაასახელებს.

საერთოდ, შუალედური არჩევნებისთვის „ოცნების“ სტრატეგია, თურმე ასეთია — საკუთარი კანდიდატები ბოლო წუთს დაასახელოს.

რაც შეეხება სამტრედიას, პირველი ოქტომბრის არჩევნებში ამ რაიონში არჩევნების მოგება, როგორც ნაცმოძრაობისთვის, ასევე, „ოცნებისთვის“, არც მეტი არც ნაკლები, ღირსების საკითხი იყო. კახი კალაძეს სააკაშვილი, როგორც ამბობენ, პირად მტრად მიიჩნევს, ამიტომ იმხანად, მთელი ნაცმოძრაობა, უფრო სწორედ, ნაცმოძრაობის „ზონდერსასტავი“ სამტრედიაში გადასახლდა. კალაძე ამბობდა, რომ ამ „ზონდერებს“ სპორტისა და ახალგაზრდობის იმჟამინდელი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი ხელმძღვანელობდა. სამტრედია „ღირსების სტატუსს“ შუალედურ არჩევნებშიც ინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილი გუნდი შეეცდება, ენერგეტიკის მინისტრი „გააბანძოს“ და სამტრედიის მაჟორიტარი საკუთარი კანდიდატი გახადოს.

> **იმ ფონზე, როცა ნაცმოძრაობას, ბოლო გამოკითხვებით, ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის 5-6 პროცენტი უჭერს მხარს, საინტერესოა, ყოფილი მმართველი გუნდი შუალედური არჩევნების მოგებას როგორ აპირებს? პოლიტიკურ კულუარებში გათვითცნობიერებულთა თქმით, მართალია, „ვარდოსნებს“ ადმინისტრაციულ რესურსებზე წვდომა აღარ აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ, მათ აქვთ ფული. ფული კი, მოგეხსენებათ, ჯოჯოხეთს ანათებს. ჰოდა, როგორც ამბობენ, ნაციონალები 27 აპრილს თითო ხმაში 100-დან 150 ლარამდე გადაიხდიან. „ხმის ყიდვის“ სქემა კი, თურმე, ასეთი იქნება — ამომრჩეველს ხმის სანაცვლოდ, თანხას წინასწარ კი არა, „პოსლეზე“, ანუ საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ მისცემენ. ხალხს სოციალური პრობლემები აქვს და ამიტომ, გამორიცხული არაა, ნაციონალებისგან ფული ისეთებმაც აიღონ, რომლებიც მათ დასანახად ვერ იტანენ...**

საინტერესო დეტალი: მართალია, ახალ პარლამენტში საკმარისზე მეტი მსახიობია, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ორგანოში შოუ არ იმართება, თუ ნაციონალთა ეპატაჟურ განცხადებებს არ ჩავთვლით. ამასთან, პარლამენტში ქარიზმატული ანუ ისეთი ტიპები არ არიან, რომლებიც „ხალხის ენაზე“ ლაპარაკობენ. „ხალხის ენაზე“ ლაპარაკი „ფორუმელ“ გუბაზ სანიკიძეს კი ეხერხება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქუთაისის მაჟორიტარული კორიდა მოიგო და პარლამენტარი გახდა, პირში წყალი ჩაიგუბა. ქვეყნის მოსახლეობას გუბაზ სანიკიძე, ამას წინათ, სააკაშვილმა გაახსენა და სტუდენტებთან შეხვედრისას პარლამენტის სხდომაზე ჩაძინებული სანიკიძის ფოტო ააფრიალა.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, „ოცნებას“ „პიარშჩიკებმა“, თურმე ურჩიეს, შუალედური არჩევნები საიმისოდ გამოიყენოს, რომ პარლამენტში ისეთი ტიპი შეიყვანოს, რომელიც შოუს მოაწყობს — ხალხის ენაზე ილაპარაკებს. თუ ეს ინფორმაცია მართალია, მაშინ გასაგებია, რატომ ჩავარდა ირაკლი ქადაგიშვილის კანდიდატურა.

ერთი სიტყვით, 27 აპრილს ქართულ პოლიტიკაში, შესაძლოა, მინი-სკანდალი აგორდეს. ყოველ შემთხვევაში, სამივე ოლქში მაჟორიტართა კანდიდატურების ოფიციალურ დასახელებას ხმაური, უდავოდ, მოჰყვება...

პატიმრები სოზარ სუბარს აშანტაჟებენ?!

რატომ საყვედურობს სახალხო დამცველს, ვინ აიძულა მაია ხასიას მოხსნა, რა საფრთხე ემუქრება ფუსალებისგან ბაჩო ახალაიას და აპირებს თუ არა ციხეებში არჩევნების ჩატარებას სასჯელაღსრულების მინისტრი

„გეფიცებით, ეს ერთადერთხელ იყო და წლის ბოლომდე პრემიის გამოწერას არ ვფიქრობ!“

ირუსუდან შელია
557-100-768

„ვერსიის“ კითხვებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი პასუხობს.

— განვმარტავ, რომ მაია ხასია სისტემიდან კი არ გავათავისუფლე, სასწავლო ცენტრის დირექტორად გადავიყვანე და ეს პოზიცია, სტატუსის მიხედვით, წინა თანამდებობის აბსოლუტურად თანაბარია.

— თუმცა, მოარული ხმით, მაია ხასია თქვენს ნათესავ მირზა სუბელიანთან დაპირისპირებას შეეწირა. ისიც ითქვა, ამ გადაწყვეტილებამდე თითქოს იური ვაზაგაშვილის მოთხოვნით მიხვედით, რადგან მაია ხასიამ თავის მოადგილედ 2006 წელს კორტებთან ჩატარებული სპეოცპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გელა ანჯაფარიძე დანიშნა. ამ ვერსიებიდან რეალური რომელია?

— საერთოდ, კადრების გადაადგილების საკითხს მხოლოდ მენეჯმენტის პრინციპიდან გამომდინარე ვწყვეტ. რაც შეეხება მირზა სუბელიანს, ის ჩემი ნათესავი არაა და, როგორც ვიცი, მაია ხასიასთან კონფლიქტიც არასოდეს ჰქონია. მართალია, იური ვაზაგაშვილთან გარკვეულ საკითხებზე ვსაუბრობდი, მაგრამ ამ კონკრეტულ ადამიანზე ნამდვილად არაფერი უთქვამს.

— ამბობენ, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროდან წასვლას ლალი მოროშკინაც აპირებს...

— დიახ, ამის შესახებ მეც შევიტყვე, თუმცა ლალი, ჯერჯერობით, სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დეპარტამენტში მუშაობს და თუ სხვა უწყებიდან უკეთესი შემოთავაზება ექნება, პრობლემას ვერ ვხედავ, შეუძლია, ნებისმიერ დროს წავიდეს.

— ბატონო სოზარ, რამდენიმე დღის წინ, ე.წ. მატროსოვის ციხიდან 375 პატიმარი, მათ შორის, ბაჩო ახალაიაც სხვადასხვა საპყრობილეებში გადაანაწილეთ. „მატროსოვზეც“, ორთაჭალის ნომერპირველი დაწესებულების მსგავსად, მუზეუმის გახსნას გეგმავთ?

— არა... „მატროსოვზე“, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება, პატიმრების ცხოვრება ადამიანის წამებისა და ღირსების შელახვის ტოლფასი იყო — შენობა მიწისძვრით ისე დაზარალდა, პრაქტიკულად, შუაზე გადაიხსნა და არსებობს საშიშროება, ერთ დღეს მთლიანად დაინგრეს, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, 450 პატიმარი, მათ შორის, ბაჩო ახალაიაც სხვა დაწესებულებაში გადაგვეყვანა...

— გასაგებია, რომ პატიმრები ავარიულ შენობას გაარიდეთ, მაგრამ „ნაციონალები“ ამტკიცებენ, გლდანის ციხეში პატიმრები თავდაცვის ყოფილ მინისტრზე ანგარიშსწორებას გეგმავენო. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მსჯავრდებულებსა და ბაჩო ახალაიას შორის ინციდენტი მოხდა. ბატონო სოზარ, გლდანის ციხეში ახალაიას საფრთხე მართლა ემუქრება?

— გლდანის საპყრობილეში უსაფრთხოების გაძლიერება უჩა ნანუაშვილმაც მოითხოვა, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: მართალია, ნანუაშვილი კარგი უფლებადამცველია, მაგრამ ამ შემთხვევაში დაუსაბუთებლად საუბრობს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ გლდანის ციხეში ბაჩო ახალაია აბსოლუტურად იზოლირებულ კორპუსშია — ერთ კორპუსში თავდაცვის ყოფილი მინისტრი ზის, დანარჩენი პატიმრები კი შენობის მეორე ნახევარში არიან და ამაზე მეტი უსაფრთხოება რა უნდათ? როგორც კი „მატროსოვის ციხე“ გარემონტდება, ბაჩო ახალაიას უკან დავაბრუნებთ. რაც შეეხება „ნაციონალების“ კივილს, ახალაია ციხეში კრიმინალებთან ერთად არ უნდა იჯდესო, მაინტერესებს — ადამიანი, რომელიც პატიმრებს აწამებდა, კრიმინალი არ არის?

ისე, ინციდენტი მართლაც მოხდა: როცა პატიმრები ადვოკატთან შესახვედრად გაჰყავდათ, ერთ-ერთმა, ეზოში, ბაჩო ახალაიას საკნის წინ, დაიყვირა და დედაც შეაგინა. ეს ინციდენტი მაშინვე აღვკვეთეთ... დღეს პატიმრები ახალაიას მხოლოდ აგინებენ, წინა ხელისუფლების დროს კი, პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებს უარესად ექცეოდნენ. ასე რომ, ყოველგვარ ანგარიშსწორებაზე საუბარი ზედმეტია, ერთადერთი საფრთხე, რაც ახალაიას პატიმრებისაგან ემუქრება — გინებაა.

— გეგუთის ციხეში პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს. გათავისუფლებული დირექტორის აღდგენის მოთხოვნით კი, ქსნის კოლონიაში მსჯავრდებულებმა ხელები გადაისერეს. პატიმრები გაშანტაჟებენ?

— ერთ საინტერესო ფაქტს გაგიმხელთ: 2012 წლის აგვისტოში, ბავშვთა დაწესებულებაში პატიმრები აჯანყდნენ — ინვენტარი გაანადგურეს და დაწვეს. ამ დაწესებულების გარემონტებას თითქმის ექვსი თვე მოვანდომეთ, თუმცა ამის შესახებ საზოგადოებამ დღემდე არაფერი იცოდა, რადგან სისტემა დაკეტილი და გასაიდუმლოებული იყო. დღეს კი, თუ პატიმარი შიმშილობს, საზოგადოება ფეხზე დგას — წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომლის წინააღმდეგ გამოძიება წამების მუხლით მიმდინარეობს, სახალხო დამცველთან, საერთაშორისო დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებსა და ეკა ბესელიასთან შეხვედრას ითხოვს. უჩა ნანუაშვილს საპატიმროებში შესვლა ნებისმიერ დროს შეუძლია, იგივე უფლებები აქვს ეკა ბესელიასაც, თუმცა ამ ადამიანებს ციხეში ძალით ვერ მივიყვანთ.

— ეკა ბესელიას საპატიმროებში ძალით მიყვანა რატომ სჭირდება და, საერთოდ, ბატონო სოზარ, პატიმრების ხელში ბასრი საგანი, რომლითაც სხეული დაიზიანეს, როგორ აღმოჩნდა. ციხეებში კონტროლი შესუსტებულია?

— ჯერ ერთი, უნდა გვესმოდეს, რომ ეკა ბესელია ყველა პატიმარს, ვინც მასთან საუბარს მოითხოვს, ვერ შეხვდება. მეორეც, პატიმრებმა ხელების გადასერვით დეპარტამენტიდან ნუკრი ხუხუას გათავისუფლება გააპროტესტეს. ხაზგასმით ვაცხადებ: პატიმრების სურვილის მიხედვით, ვერც ვერავის დავნიშნავ და ვერც მოვხსნი! ციხეებში არც არჩევნებს ჩავატარებ და მსჯავრდებულებს აზრს ვერ ვკითხავ!

დასასრული მე-9 გვერდზე

სტიქიამ საქართველოში რამდენიმე რეგიონი დააზარალა

ძლიერი შტორმის დროს ბათუმში ზღვამ 55 წლის მეთევზე გაიტაცა. ბათუმის საგანგებო სიტუაციების სამსახურის ხელმძღვანელის, მერაბ ნაკაიძის განცხადებით, მოქალაქეებმა დაინახეს, რომ თევზაობის დროს მეთევზე ზღვაში გადავარდა და ტალღამ ჩაითრია. ბათუმში შტორმი 23 მარტს, ღამის 3 საათზე დაფიქსირდა და მისმა სიმძლავრემ 6 ბალს მიაღწია.

შტორმის შედეგად, დაიტბორა ბათუმის ზღვისპირა ქუჩები, რესტორანი „უკრაინოჩკა“ და „გრანდგრილი“, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია და ადლიის სანაპირო ზოლი. ძლიერმა შტორმმა სანაპიროს დანაგვიანებაც გამოიწვია. ამასთან, ტალღებმა დააზიანა ხიმშიაშვილის ქუჩის საწრეტი მილები. სტიქიის ზონაში მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები. როგორც ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ჩავლეიშვილმა აღნიშნა, მსგავსი სიმძლავრის სტიქია ბოლო 8 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

ძლიერი შტორმი დაფიქსირდა ქობულეთის სანაპიროზეც, სადაც ზღვა სანაპიროს სავალ გზაზე გადმოვიდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში — შუშანეთში, ჭარნალსა და სამებაში ძლიერმა ქარმა საცხოვრებელი სახლები დააზიანა და სახურავები გადახადა. სიტუაციას ადგილზე გაეცნო სამივე სოფლის რწმუნებული. მათი განცხადებით, ზარალი უკვე დათვლილია და მონაცემები, შემდგომი რეაგირებისთვის, მუნიციპალიტეტის გამგეობებს გადაეგზავნება.

სტიქია დაფიქსირდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. გორის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, დავით გორგიშელმა განაცხადა, რომ გრიგალმა 17-მდე სახლს ახადა სახურავი. კომბინატის დასახლებაში ქარმა ხუთსართულიან კორპუსს თუნუქის სახურავი გადახადა, რომლის ნაწილიც „მერსედესის“ მარკის ავტომანქანას დაეცა. ავტომანქანაში იმ დროს მძღოლი, ალექსი ამირიძე იმყოფებოდა, რომელიც სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ადგილობრივი მოსახლეობა კორპუსის უხარისხო რემონტზე საუბრობს და აცხადებს, რომ ის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გადახურეს, მაშინდელმა ხელისუფლებამ კი სამუშაოები, ხალხის გულის მოსაგებად, ნაჩქარევად და უხარისხოდ ჩაატარა.

ძლიერმა ქარმა თბილისის რამდენიმე უბანშიც დააზიანა შენობები — ავლაბარში, წითელწყაროს ქუჩაზე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა. დაზიანდა იუსტიციის სახლის სახურავი, სადაც ერთ მონაკვეთში თუნუქი ჩამოიწია. ცენტრალური გზის მხარეს კი, ფასადის დაახლოებით 40 კვადრატული მეტრი ჩამოიშალა. საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსის, თემურ გიორგაძის განცხადებით, ჩამოშლილია შეკიდული მხარე. ტერიტორია უკვე გაწმენდილია და დანარჩენი საშიში ნაწილიც ჩამოხსნილია.

როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახურში განაცხადეს, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სინოპტიკოსების ცნობით, 25 მარტიდან შედარებით გამოიდარებს და ქარიც ჩადგება, თუმცა არამდგრადი ამინდი თვის ბოლომდე შენარჩუნდება.

„ვერსიანიუსი“

შრომის უსაფრთხოება საქართველოს ერთი-ერთი მთავარი პრობლემაა!

ბოლო 6 წლიწადში საწარმოებში 300-მდე ადამიანი გარდაიცვალა

სადაც ადამიანები მუშაობენ, იქ ყოველთვისაა შრომის უსაფრთხოების პრობლემაც. ეს პრობლემა არსებობდა საუკუნეების წინ და არსებობს დღესაც. განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყველა დამსაქმებელი ცდილობს (წესით, უნდა ცდილობდეს), დასაქმებულები ჰყავდეს ჯანმრთელები და კმაყოფილები, თუმცა ამას ზოგი ახორციელებს მეტი, ზოგი კი ნაკლები პასუხისმგებლობით. შრომის უსაფრთხოება და შრომასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები რომ იყოს მოგვარებული, ამისთვის ცივილიზებული ქვეყნები ნორმატიულ ბაზას ქმნიან, რათა ეს საკითხები მინდობილი არ იყოს ინდივიდუალურად სხვადასხვა დამსაქმებლის კეთილ ნებასა და მათ შეხედულებებზე.

საქართველოში არიან დამსაქმებლები, რომელთაც მიაჩნიათ, თუკი დასაქმებულს თავზე დამცავი ჩაფხუტი დაახურეს და უნიფორმა ჩააცვეს – ამით შრომის უსაფრთხოების პრობლემები გადაჭრეს. ეს, რასაკვირველია, არასწორია. დამსაქმებლები ხშირად არ ითვალისწინებენ გარემო პირობებს, საველე პირობებში მუშაობის სირთულესა და სხვა... ამისთვის ყველა ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა და ის დეტალურად არეგულირებს მსგავს საკითხებს. შრომის უსაფრთხოება ისეთი საკითხია, რომელიც ამომწურავად უნდა იყოს კანონით დარეგულირებული. საქართველოში კი არათუ ამომწურავად, საერთოდ არ არის შრომის უსაფრთხოების საკითხები საკანონმდებლო კუთხით დარეგულირებული. დამსაქმებლები ამ საკითხს ან საკუთარი შეხედულებისამებრ უდგებიან, ან საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას.

იმის გამო, რომ შრომის უსაფრთხოების პრობლემის მოგვარება ფინანსურად თითქმის ყველა ტიპის საწარმოში მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული (შესაძენია სათანადო ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები. საჭიროა მონიტორინგის შესაბამისი პერსონალი), ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ბიზნესის წარმოების ხარჯებზე აისახება. სწორედ ამიტომ, საქართველოს წინა ხელისუფლების დროს, დამსაქმებელთა მიდგომა მაქსიმალურად ნაკლებ დანახარჯს გულისხმობდა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დანახარჯების შემცირებით ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დგებოდა საფრთხის ქვეშ.

ნაციონალურმა მოძრაობამ საკანონმდებლო ბაზა ისე შეცვალა, დასაქმებულებსა და პროფკავშირს, პრაქტიკულად, აღარ დაუტოვა არანაირი ბერკეტი იმ ბიზნესმენების გასაკონტროლებლად, რომლებიც შრომის უსაფრთხოებას საერთოდ არ იცავდნენ. თუკი უბედური შემთხვევა ხდებოდა და დასაქმებული, კომპენსაციის მოთხოვნით, სასამართლოში ჩივილს გაბედავდა, სასამართლოშიც ის ადამიანები ხვდებოდნენ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, დამსაქმებლის მხარეს იჭერდნენ. გამოდიოდა ისე, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაზარალებული ადამიანი სრულიად უუფლებო იყო, მას საწარმოების ადმინისტრაცია და სახელმწიფო ერთად უპირისპირდებოდა. ეს მაშინ, როდესაც დასაქმებულების ინტერესი ყოველთვის შესაბამისობაში მოდის ქვეყნის ინტერესებთან.

დამსაქმებელსა და, ზოგადად, ბიზნესს, სჭირდება ჯანმრთელი და კვალიფიციური მუშახელი. ჯანმრთელი მუშახელი კი ვერ იქნება, თუკი ადამიანებს სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო არ ექნებათ. როდესაც დასაქმებული სახიჩრდება და უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება, იგი, გარდა ოჯახისა და ახლობლებისა, აკლდება შრომის ბაზარსაც და ამის გამო, შრომის ბაზარზე აქტიური შრომის ძალისა და პროფესიონალების რიცხვი მცირდება. ამას გარდა, დასახიჩრებული ადამიანი, მთელი ცხოვრების განმავლობაში, სახელმწიფოს შესანახი ხდება. რეალურად, გამოდის ისე, რომ იმის ნაცვლად, საშემოსავლო გადასახადის სახით შეეტანა ფული სახელმწიფო სალაროში, სახელმწიფოსა და დამსაქმებლების არაგონივრული ნაბიჯების გამო, იგი ბიუჯეტი, კონტრიბუტორიდან ეკონომიკურად მთლიანად სახელმწიფოზე დამოკიდებული და სოციალური შემწეობის ბენეფიციარი ხდება.

წინა ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად არაგონივრული და უსამართლო გათვლა იყო ის, რომ შრომის უსაფრთხოებაზე დამსაქმებლებს „ფულის დაზოგვაში“ შეუწყვეს ხელი. მეტიც – ეს იყო დანაშაულებრივი მოპყრობა საკუთარი ხალხისა და შრომითი რესურსების მიმართ.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ, „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ მხარდაჭერით, 2007 წლიდან მოყოლებული, შეისწავლა შრომის უსაფრთხოების საკითხი და სათანადო სტატისტიკური მაჩვენებლებიც მოიძია. როგორც სტატისტიკიდან ჩანს, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, ყველაზე მეტი საწარმოო შემთხვევა 2010 წელს დაფიქსირდა. აღნიშნულ წელს სამუშაო ადგილზე 81 ადამიანი გარდაიცვალა, 168 დასაქმებული კი მძიმედ დაშავდა. ამ კუთხით, განსაკუთრებით დადებით ძვრებს არც შემდეგ წლებში ჰქონია ადგილი, თუმცა 2010 წელი შრომის უსაფრთხოების კუთხით, უდავოდ, უმძიმესი იყო. თანდართულ ცხრილში წარმოდგენილია ბოლო 6 წლის მონაცემები და მკითხველი ალბათ, უკეთ მიხვდება იმ მძიმე მდგომარეობას, რაც საქართველოში შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებობს.

საქართველოში არსებულ მოქმედ ორგანიზაციებში (საწარმოებში) სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევები:

წლები	გარდაიცვალა	მძიმედ დაშავდა
2007	33	25
2008	38	34
2009	41	56
2010	81	168
2011	21	53
2012	29	136

საქართველოში შრომის უსაფრთხოებასთან, საწარმოო ტრავმებთან, პროფესიულ დაავადებებთან, უმუშევრობასა და სხვა მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით სტატისტიკას, სამწუხაროდ, არც ერთი მსგავს საკითხებზე ორიენტირებული სამთავრობო სტრუქტურა არ ფლობს, ამიტომ საქართველოს პროფკავშირს საკუთარი მონაცემთა ბაზის შედგენა დასჭირდა. საკითხზე მუშაობის დროს, დადგინდა მნიშვნელოვანი ტენდენციები, რამაც თვალსაჩინო გახადა ზრდა როგორც დასაქმებულთა დასახიჩრების, ასევე სამუშაო ადგილებზე გარდაცვალების მხრივ. პროფკავშირი ასევე დაეყრდნო შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს. როდესაც ადამიანი სამუშაო ადგილზე დაიღუპება, ანდა მძიმე ტრავმას იღებს, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება გამოძიება და, შესაბამისად, (რაკი გამოძიება, უშუალოდ, შსს-ს პრეროგატივაა) გარკვეული სტატისტიკური მაჩვენებლები შინაგან საქმეთა სამინისტროს უფრო მეტი აქვს, ვიდრე სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს. მდგომარეობას კიდევ უფრო სავალალოს ხდის ისიც, რომ ქვეყანაში ძალიან მცირე რაოდენობის ქარხანა, ფაბრიკა და საწარმო მოქმედებს.

„2008 წლიდან დღემდე, აღრიცხული არ არის პროფდაავადებას არც ერთი შემთხვევა, რადგან 2008 წლიდან პროფდაავადებაზე სახელმწიფო პენსია უკვე აღარ გაიცემა. პროფესიული დაავადებები შეუძლებელია, გამოიკვლიოს რომელიმე პროფკავშირულმა დარგმა. ამ საქმეს სჭირდება რეგულარული შესწავლა, ზედამხედველობა, ექიმის გამოკვლევა, კომპეტენტური კომისიის დასკვნა და სხვა... ამ მონაცემებს ვერავინ მოიპოვებს, თუკი სპეციალური სამედიცინო კომისია სახელმწიფომ არ შექმნა. ჩვენი კვლევებით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ როგორი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ჰქონდა წინა ხელისუფლებას შრომის უსაფრთხოებასთან მიმართებაში. ამის გამო, დღეს ქვეყანაში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სავალალო სიტუაციაა.

ახალ ხელისუფლებას ეს პრობლემები მოსვლისთანავე დახვდა და ბოლო თვეების მანძილზე, რასაკვირველია, ფიზიკურად ვერ მოასწრებდა ყველა პრობლემის მოგვარებას. ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორებას ცდილობს. უკვე შეიქმნა შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, სადაცაა ქვეუწყებები, რომლებიც სოციალურ დიალოგს, შრომის მიგრაციასა და დასაქმების საკითხებს კურირებენ. ვიმედოვნებთ, უახლოეს ხანებში შრომის უსაფრთხოების კუთხით გადაიდგმება ნაბიჯები როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციური თვალსაზრისით“, – ამბობს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი გოჩა ალექსანდრია.

საქართველოში შრომის უსაფრთხოების პრობლემას ემატება ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე წლებია, აღარ ფუნქციონირებს შრომის ინსპექცია. წინა ხელისუფლების დროს, შრომის ინსპექციის აღდგენა იყო ერთგვარი „თემა საფრთხობელა“ და ამ საკითხთან დაკავშირებით მოდიოდა დემაგოგიის ნიაღვარი. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ შრომის ინსპექცია იყო კორუმპირებული სტრუქტურა და მისი ხელახლა ამოქმედება კორუფციის ხელშეწყობას ნიშნავდა. საქართველოს პროფკავშირის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით მარტივია: თუკი ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დაბალრეიტინგული და ყველაზე კორუფციული ორგანოს – პოლიციის რეფორმირება მოხერხდა, რატომ არ შეიძლებოდა შრომის ინსპექციის სტრუქტურის რეფორმირება?! მით უმეტეს, ამ ორგანოს საჭიროება აშკარაა და ევროკავშირი თუ ამერიკის მთავრობა, თავისი რეკომენდაციებით, შრომის ინსპექციის აღდგენაზე ყურადღებას ყოველთვის ამახვილებდა.

დღეს მოქმედ შრომის კოდექსში, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთ პარაგრაფშია საუბარი. საქართველოს პროფკავშირში მიაჩნიათ, რომ შრომის უსაფრთხოების თემა კოდექსში მნიშვნელოვან ადგილს უნდა იკავებდეს და შემდეგ, ამას უნდა მოჰყვებოდეს სხვა შემავსებელი ნორმატიული ბაზა, რომელიც დამსაქმებელს კონკრეტულად განუმარტავს, რა უნდა გააკეთოს შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით. სხვა შემთხვევაში, დამსაქმებელი, უბრალოდ, პასუხისმგებლობას აირიდებს თავიდან, რისი მაგალითებიც ბოლო წლებში არაერთხელ გვინახავს.

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

რამდენიმე დღის წინ, აჭარაში, ერთი წლის გოგიტა აბაშიძე შიმშილით გამოწვეული დაავადებით გარდაიცვალა. 24 მარტს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, მწუხარების ნიშნად, ავლაბრის რეზიდენციაზე დროშები დააშვებინა. სოციალურად დაუცველები, სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციები მეტროსადგურ „რუსთაველთან“ შეიკრიბნენ, საიდანაც საზოგადოებრივი მაუწყებლისკენ მსვლელობა მოაწყვეს. „ბავშვის შიმშილი არის სირცხვილი“; „ნუ ხოცავთ ჩვენს შვილებს თქვენი სკამებისთვის“; „გააკონტროლე შენი გადასახადები“; „ძირს შიმშილი! კმარა გაჭირვება! — ეს არის საქართველოს სირცხვილი“; „ძირს სამოთხის ვაშლები“, — სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები. ამასთან, მომიტინგეები მოითხოვდნენ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სოციალურად დაუცველებს პირდაპირი ეთერი გამოუყოს.

„ნუ ხოცავთ ჩვენს შვილებს თქვენი სკამებისთვის!“

ერთი წლის ბავშვის შიმშილით გარდაცვალება თბილისში აქციით გააპროტესტეს

გიორგი მარჯანიძე, სოციალურად დაუცველი: „ზაკვოს შენობიდან ქუჩაში გამოგვყარეს. რამდენი ბავშვი უნდა დაავადდეს და მოკვდეს? რამდენს უნდა გაუჩნდეს დიაბეტი და რამდენი უნდა დარჩეს ქუჩაში?.. პირველმა არხმა ობიექტურად გააშუქოს ჩვენი პრობლემები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებთ! ჩვენი დაცინვა და მასხრად აგდება ეყოთ“.

სანდრო კვირიკაძე: „სტუდენტები ამ აქციას იმიტომ შევუერთდით, რომ ბავშვები შიმშილით არ უნდა უნდა იხოცებოდნენ! პირველი არხისგან კი მოვითხოვთ, დაუთმოს ეთერი ასეთი პრობლემების დაშუქებას და ხალხს დაეხმაროს“.

დოდო ქსნელაშვილი, სოციალურად დაუცველი: „ეს ხალხის ტელევიზიაა და მოვითხოვთ, სოციალური თემები თუნდაც 10 წუთით გაშუქდეს. 21-ე საუკუნეში არ შეიძლება, ხალხი შიმშილით იღუპებოდეს!“

ნინო მაისურაძე, აქციის მონაწილე: „68-ე სკოლის შენობა, სადაც სოციალურად დაუცველები ვართ შეჭრილები, ანტისანიტარიის კერაა და მალე ეპიდემია იფეთქებს. საელჩოსთან მივალთ და საერთო დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებთ! სირცხვილი, ისეთ საქართველოს, სადაც შიმშილით უკვე მე-5 ბავშვი დაიღუპა!“

გეგა აბულაძე, აქციის მონაწილე: „პირველი არხი ვალდებულია, სოციალური თემები გააშუქოს, ხალხს პოლიტიკური ცირკის ყურება ყელში ამოუვიდა. ესენი კოჰაბიტაციასა და კონსტიტუციურ ცვლილებებზე საუბრობენ, ამ დროს კი ბავშვები შიმშილით იხოცებიან!“

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებსა და აქციის მონაწილეებს შორის შეხლა-შემოხლაც მოხდა — აქციის მონაწილეებმა ტელევიზიაში შეჭრა სცადეს, მაგრამ დაცვამ წინააღმდეგობა გაუწია. სოციალურად დაუცველებმა ტელევიზიასთან ყუთიც მიიტანეს წარწერით: „დაეხმარე!“ მოგვიანებით, აქციის რამდენიმე წარმომადგენელს არხის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ბაქრაძე შეხვდა და მომიტინგეებს დაპირდა, რომ სამშაბათს, 12 საათზე აცნობებს, რა გადაწყვეტილება მიიღო ტელევიზიამ. ბაქრაძის ამ განცხადებამ სიტუაცია უფრო დაძაბა. მოგვიანებით, ხალხს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე შეხვდა და გადაწყდა, რომ უახლოეს დღეებში საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუებში სოციალურად დაუცველთა პრობლემები გაშუქდება. დაახლოებით, ერთ თვეში კი, ამ თემაზე სპეციალური გადაცემა მომზადდება.

სოციალურად დაუცველები 25 მარტს აქციას თბილისის მერიასთან, შემდეგ კი ჯანდაცვის სამინისტროსთან გამართავენ და მინისტრის გადადგომას მოითხოვენ.



შსს-მ ცრუ შეტყობინებაში ბრალდებული ოპერატიულად დააკავა

„მინდოდა, „აჭარაბეთზე“ შური მეძია და მიმეყენებინა 500 ლარზე მეტი ზარალი!“

25 მარტს, დილით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ბრალდებით, 1969 წელს დაბადებული გიორგი კ. დააკავეს.

დაკავებულმა, 23 მარტს, 26 მაისი მოედანზე კაზინო „აჭარაბეთის“ შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ ინფორმაცია „112“–ს მიაწოდა. სამართალდამცველებმა და გამნაღმველებმა გამოძიების შედეგად დაადგინეს, რომ გამოძახება ცრუ იყო – შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა.

სამართალადამცველებმა, პიროვნების ვინაობა, ვინც საგანგებო სიტუაციების სამსახურში დარეკა, რამდენიმე წუთში დაადგინეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და განმარტავს: **„დავრეკე 112-ზე და ვთქვი, რომ „აჭარაბეთში“ ჩადებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ მიზნით, რომ „აჭარაბეთზე“ შური მეძია და მიმეყენებინა 500 ლარზე მეტი ზარალი“.**

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის მე-5 განყოფილება აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დეფაქტო წარმომადგენლების მიერ დაკავებული ექვსი მოქალაქე გაათავისუფლა

შსს–ს ანალიტიკური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, უკანონოდ დაკავებული მოქალაქეები გაათავისუფლეს.

9 თებერვალსა და 15 მარტს, გორის რაიონის სოფლებში – ქვეშსა და არცევში, ხოლო 14 მარტს – ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსმა სამხედროებმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთისთვის“ 6 მოქალაქე დააკავეს და ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს. ალექსანდრე ნადირაშვილი, თემურ ელიაური, დავით ვაშაგაშვილი, ვაჟა მელაძე რუსმა სამხედროებმა იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი ხეხილის ბაღებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად მიდიოდნენ, ხოლო ძმები – ჯუმბერ და ჯამბულ დუდაშვილები კი მაშინ, როცა ისინი ნათესავებისგან შინ ბრუნდებოდნენ.

გათავისუფლებული მოქალაქეები ერგნეთიდან შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა გიორგი დვალიშვილმა გამოიყვანა.

„ვერსიანიუსი“

პოეტი ვაჟა ოთარაშვილი პრემიერს ურჩევს, ბათუმს თავი დაანებოს და მეჩეთი საკუთარ რეზიდენციაში აიშენოს!

რუსუდან შელია
557-100-768

ბათუმში მეჩეთის მშენებლობას ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს ბრალს საქართველოს ისტორიის უცოდინრობაში სდებს და გარემოცვას პრემიერ ბიძინა ივანიშვილის შეცდომაში შეყვანაში ამხელს... ამასთან, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აქცენტს სამცხე-ჯავახეთში მოსალოდნელ საფრთხეებზეც აკეთებს და ამბობს, რომ სეპარატისტულად განწყობილი სომხების წინა პლანზე წამოწევა დაუშვებელია.

„თუ სურვილი აქვთ, მიხეილ სააკაშვილმა და ბიძინა ივანიშვილმა კოჰაბიტაციის ხაზი ავლაბარსა და სოლოლაკს შორის გაავლონ!“

— თუ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ჩვენი დიდი კლასიკოსები ქართველების მიმართ სომხების ვერაგულ დამოკიდებულებას მკვეთრად და ღიად გმობდნენ. მოგეხსენებათ, ისტორიულად, ქართველები მეზობელ სომხებს ყოველთვის ეხმარებოდნენ, თუმცა როცა განსაცდელში აღმოვჩნდებოდით ხოლმე, სომხეთი ზურგში ლახვარს გვირტყამდა. 1995 წელს, ერთმა სომეხმა ისტორიკოსმა, რომლის სახელსაც შეგნებულად არ გავასაჯაროებ, საქართველოში არსებული ეკლესიები სომხურად გამოაცხადა და ასეთი დამოკიდებულება ორივე ერისთვის დამღუპველია!

— საპარლამენტო ოპოზიცია სამცხე-ჯავახეთში მოსალოდნელი საფრთხეებით აპელირებს, ხელისუფლება კი ამ განცხადებებს არარეალურად მიიჩნევს და პრობლემას არც ვაჰაგნ ჩახალიანის გათავისუფლებაში ხედავს. ბატონო ვაჟა, თქვენი აზრით, სომხური სეპარატიზმი რეალურია?

— სეპარატისტულად განწყობილი სომხების წინა პლანზე წამოწევა დაუშვებელია, მაგრამ ამას ანტიქართული ცნობიერებითა და, შესაძლოა, გენეტიკითაც გამორჩეული ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ხელს შეგნებულად უწყობენ. აუცილებელია, ეს პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდეს, ხელისუფლებამ ქართულ-ეროვნული იდეოლოგიით იხელმძღვანელოს და პაატა ზაქარეიშვილივით ფარისევლური განცხადებები არ აკეთოს, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რომელი ქვეყნის მინისტრია. მეტიც, დარწმუნებული ვარ, იუდას გზით მიმავალმა ზაქარეიშვილმა საქართველოს ისტორიაც არ იცის. ქარტია, რომელზეც ხელისუფლება ახლა გველაპარაკება, მხოლოდ ანტისახელმწიფოებრივი გზავნილია, რომელსაც ისეთი დიდი ქვეყნებიც კი, როგორიც თურქეთი და რუსეთია, არ იზიარებენ. იგივე აზრზეა საფრანგეთიც, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ. მაგალითი, იქნებ, ევროპისგან მაინც ავიღოთ.

— ხელისუფლების განცხადებით, „რეგიონულ და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება საქართველოში უმცირესობის ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— გარწმუნებთ, აღნიშნული ქარტიის რატიფიცირება ჩვენი სახელმწიფოს დაშლის დასაწყისი იქნება, რასაც ქართველთყლაპია პოლიტიკოსები მაქსიმალურად ხელს უწყობენ. იმისთვის, რომ სამხრეთ საქართველოში მიმდინარე საკმაოდ საშიში პროცესი შევაჩეროთ, საკანონმდებლო ბაზა უნდა შევქმნათ, რომელიც უმცირესობის წარმომადგენლებს ქართულის შესწავლაში მაქსიმალურად დაეხმარება. პარალელურად, აუცილებელია ქართველების დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, იქამდეც მივიდეთ, რომ რუსთაველის გამზირზე ერთმანეთს გაოცებულებმა ვკითხოთ, შენც ქართველი ხარ, ბიჭო?!

ყველა ერს თავის ადგილზე გაუმარჯოს, მაგრამ როცა უცხოელები საქართველოში ასობით ჰექტარ მიწას ყიდულობენ, როგორ შეიძლება, ხელისუფლებამ ამ პროცესში პრობლემა არ დაინახოს?! იმას, რასაც ჩვენი მამა-პაპა ხმლით იცავდა, დღეს ბურები და ჩინელები მწვანე დოლარებით ყიდულობენ. მალე საქართველოში ქართველებისთვის მიწა აღარ დარჩება. მმართველ გუნდს მივმართავ და, ჩემს კითხვაზე პირდაპირ პასუხს ვითხოვ: ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, შეჩერდა თუ არა თბილისში 120 ათასი ჩინელისთვის ახალი ქალაქის მშენებლობის პროცესი? ქართველ ერს ამ კითხვაზე პასუხი ბიძინა ივანიშვილმა უნდა გასცეს, თუმცა, როგორც ჩანს, პრემიერს პარლამენტშიც და მთავრობაშიც ძალიან ცოტა ერთგული თანამოაზრე ჰყავს.

— რატომ ფიქრობთ, რომ გარემოცვას ბიძინა ივანიშვილი შეცდომაში შეგნებულად შეჰყავს?

— ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ყბადაღებული კოჰაბიტაცია კრიმინალური ბანდის — „ქონდრისნაცების“ გაცოცხლებისა და შენარჩუნების პროცესად იქცა. არადა, ამ ადამიანების 90% ქართული სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის განსასჯელის სკამზე უნდა იჯდეს. დიახ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მაფიქრებინებს, რომ ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ რამდენიმე ერთგული თანამებრძოლი ჰყავს: ირაკლი ღარიბაშვილი, თეა წულუკიანი, კახა კალაძე, პარლამენტში მანანა კობახიძე და „ქართული ოცნების“ ძალიან ვიწრო წრე. დანარჩენი ვაიპოლიტიკოსების წყალობით კი, კოჰაბიტაციის პროცესის ნაცვლად, „ნაცჰაბიტაცია“ და „ოცჰაბიტაცია“ მივიღეთ. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი საკუთარმა გარემოცვამ შეგნებულად მიიყვანა ეროვნულად გაუთვლელ გადაწყვეტილებამდე ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებითაც.

— არადა, პრემიერმა განაცხადა, ჩემი სურვილია, ბათუმში მეჩეთი ავაშენოო. ისე, ამ გადაწყვეტილების ძირითად არგუმენტად თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების აღდგენა სახელდება...

— თურქეთის ტერიტორიაზე სომხური და ბერძნული ეკლესიებიც ფუნქციონირებს, თუმცა ორივე სახელმწიფომ ძეგლების აღდგენა ყოველგვარი კულტურული ბარტერის გარეშე მოახერხა. ეს ჩვენ, ქართველები აღმოვჩნდით ყველა მხრივ უგნურები, წინ არ ვიხედებით, მამა-პაპათა კვალი კი სრულად დავივიწყეთ. უპრიანი იქნებოდა, ბათუმში მეჩეთის მშენებლობაზე თანხმობის ნაცვლად, თურქეთისთვის კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა საერთაშორისო დონეზე მოგვეთხოვა, რადგან ეს ძეგლები ცივილიზებულ მსოფლიოსაც სჭირდება. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ქართულ, ეროვნულ კალაპოტს ვერ მიაგნო. რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, ბიძინა ივანიშვილმა ბათუმს თავი დაანებოს და სურვილის შემთხვევაში, მეჩეთი საკუთარ რეზიდენციასთან აიშენოს. იგივეს ვურჩევ საქართველოს პრეზიდენტსაც და, თუ სურვილი აქვთ, მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს ავლაბარსა და სოლოლაკს შორის კოჰაბიტაციის ხაზის გავლებაც შეუძლიათ. კარგი იქნება, ამ ვითარებაში მმართველმა გუნდმა რჩევა ქართულ ეკლესიასა და საპატრიარქოს ჰკითხოს. ისტორიულად, განსაცდელის ჟამს, მეფეები დახმარებას ქართულ ეკლესიას სთხოვდნენ.

— ბათუმში მეჩეთის აშენება, რეალურად, რა საფრთხეს შეიცავს?

— იცით, რომ საქართველოში ოსმალოს კულტურული ძეგლი 1642 წლამდე არ არსებობდა? — მაშინ მეჩეთი როსტომ ხანმა ააშენა, რომელსაც საქართველოს კათალიკოსი შეეწირა. ჟან შარდენი კი საქართველოში მოგზაურობისას გაკეთებულ ჩანაწერებში აცხადებს, საკვირველია, ქალაქში, რომელსაც მაჰმადიანი მეფე ჰყავს, მეჩეთი ვერ აღმოვაჩინეო. საქართველოში მეჩეთის მშენებლობა მას შემდეგ დაიწყო, რაც გიორგი სააკაძე ქვეყნიდან გააქციეს. როგორც ისტორიკოსები წერენ, თბილისელები აშენებულ მეჩეთს ღამღამობით ანგრევდნენ. საბოლოოდ, როსტომ ხანმა გადაწყვიტა, მეჩეთი გალავნის შიგნით აეშენებინა, რასაც, ბუნებრივია, ქართველებმა ხელი ვეღარ შეუშალეს. ამ ყველაფრის შესახებ ჩვენმა ვაიპოლიტიკოსებმა დილეტანტის დონეზეც არ იციან, არადა, საფრთხე რეალურია.

სამწუხაროდ, ყველაფერი ეს, „რესპო-ნაცური“ პოლიტიკის შედეგია. დიახ, პირადად მე, „რესპუბლიკელებსა“ და ნაციონალებს შორის იდეოლოგიურ განსხვავებას ვერ ვხედავ. ღმერთმა დაგვიფაროს, საუკუნეების შემდეგ ლარგვისისა თუ ყანჩავეთის მონასტრები, რომლებიც ახლა ახალგორის რაიონშია, რუსული კულტურის ძეგლებად გამოაცხადონ.

facebook NEWS

ნათია ფანჯიკიძე

კიდევ ერთი, რაც ძალიან მაწუხებს და სულ თვალში მხვდება: ქუჩაში მათხოვარ ქალებს ხშირად ხელში უჭირავთ მუდმივად მძინარე ბავშვები, რომლებიც ჩვილობის ასაკიდან (როცა ბავშვს უმეტესად სძინავს) დიდი ხნის გამოსულები არიან. ცუდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ბავშვები არიან წამლით გაბრუებულნი და ვინ იცის, მათ შორის რამდენი კვდება და ვერც ვერავინ იგებს მათი სიკვდილის ამბავს. არ მგონია, პოლიციისთვის ამ ბავშვების პასპორტიზაცია, ვინაობის დადგენა ძალიან რთული იყოს. ერთხელ, პატრულიც გამოვიძახე, ორი წლის წინ და ქალი გაიქცა, პატრულის თანამშრომლებმა დამირეკეს, ვერ ვიპოვეთო... ახლა მაინც იპოვეთ, რა, ყველა, გთხოვთ. ძალიან იშვიათად ვგრძნობ, რომ ბავშვი ნამდვილად იმ ქალისაა, ვისაც დაჰყავს!

facebook NEWS

შორენა მარსაგიშვილი

პოლიტიკაში იმდენი პინგვინი გაიჩითა, ბიძინას პინგვინი უკვე აღარავის ახსოვს.

facebook NEWS

ალექსანდრე ლომოური

გლდანის რაიონში წყლის მრიცხველების დაყენება დაიწყეს... წყლის ქვეყანაში სასმელ წყალზე რომ მრიცხველს დაგიყენებენ, ამაზე ბედნიერება რაღა უნდა გინდოდეს ქართველს? მოემზადეთ — სემეკის დადგენილებით, მზადდება ცხვირზე დასაყენებელი ჰაერის მრიცხველები!

facebook NEWS

მაკა რაზმაძე:

აღარ მინდა, ოცწლიანი სერიალის ყურება! აღარ მინდა, ვაკვირდებოდე ყოველდღე, ვინ ვის რა უთხრა! აღარ მინდა, მიხაროდეს, ვინ ვის აჯობა, ვინ ვისზე მაგარი სიტყვა თქვა, ვინ ვისზე მაგრად გააბანძა მოწინააღმდეგე. აღარ მინდა, ვუყურო ყოველდღე პოლიტიკაში შესულებს და უკან აღარასდროს გამოსულებს! აღარ მინდა, ვარკვიო, ვინ რა იშოვა და ვის რა წაართვეს! აღარ მინდა, სხვების თანამდებობებზე დანიშვნით სიხარული და სხვების დაჭერით გულის ფხანა! აღარ მინდა, ვირტუალური, ყალბი ფასეულობები და ყოველდღიურად იმის ყურება, როგორ ლანძღავენ ადამიანები ერთმანეთს! ჩემი საკუთარი ცხოვრება დამიბრუნეთ! ჩემი ცხოვრება, სადაც საკუთარი და ახლობელი ადამიანების გამიხარდება და მეწყინება, სადაც არ მომახვევენ თავს ვიღაცების გამარჯვება-დამარცხებას!

ჩემი ნება რომ იყოს, ავკრძალავდი პოლიტიკოსების გამოჩენას პრესაში და ტელევიზიაში და დავტოვებდი ერთმანეთის პირისპირ, რომ მართლა ეკეთებინათ საქმე და არ ეკეკლუცათ და ქულები ეგროვებინათ!

ჩვენ შეგვიძლია, უარი ვუთხრათ ამდენ სიყალბეს და დავიბრუნოთ საკუთარი ცხოვრება, მაგრამ ვეღარ ვაკეთებთ ამას, რადგან უკვე ჩვენც ამ სიყალბის ნაწილი ვართ! არადა, გავიდა უკვე ცხოვრება, სხვა თაობების ცხოვრებაც ასე მიდის...

შეცვალეთ რამე!

სქემა, რომლითაც ზურაბ ნოღაიდელმა საწარმო-დანადგარები ჯართად გაყიდა და კაზრეთის „მადნეულიდან“ ოქრო გაქრა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

იმისთვის, რომ საქართველოში მრეწველობა აღორძინდეს, პირველ რიგში, საჭიროა, ზუსტად ვიცოდეთ, ბოლო 20 წლის განმავლობაში გაჩანაგებულ-გაპარტახებული და მიზანმიმართულად ჯართად გაყიდული ქონებიდან რა დაგვრჩა. ეს გადარჩენილი ქონება მრეწველობის კონკრეტული დარგის სპეციალისტებისგან შექმნილმა კომისიამ უნდა დათვალოს და ამასთან, კომისიამ მრეწველობის აღორძინების გზებიც დასახოს. და მაინც, რატომ დაინგრა მრეწველობა და ვინ გაყიდა სხვადასხვა ქარხანაში არსებული ტექნიკური დანადგარები ჯართად? — ამ თემებზე „ვერსიას“ საქართველოს დამსახურებულ გამომგონებელს, ტექნიკის დოქტორი გოდერძი სარჯველაძე ესაუბრა.

საქართველოში მრეწველობა აღარ არსებობს — დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, სხვადასხვა, მათ შორის, სამთო-მეტალურგიულმა, მსუბუქმა თუ მანქანათმშენებლობის საწარმოებმა სრული დატვირთვით მუშაობა ელექტროენერგიის, გაზის, ნედლეულისა და მასალების უქონლობის გამო შეწყვიტეს. ამავე პერიოდში, სახელმწიფომ გარკვეული ტაქტიკა შეიმუშავა, რომლის თანახმადაც, საწარმოებს, სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანების გამო, უფლება მიეცათ, რესტრუქტურიზაციის, გამონაკლის შემთხვევაში კი, რეაბილიტაციის რეჟიმში ემუშავათ. მიუხედავად ამისა, საწარმოების ხელმძღვანელებს სწორი პოლიტიკის შემუშავება გაუჭირდათ და ძვირადღირებულ მანქანა-დანადგარებს ხშირად ჯართად ყიდდნენ.

გოდერძი სარჯველაძის თქმით, ეს მიზანმიმართული პოლიტიკა იყო, რათა საწარმოები გაეკოტრებინათ, ჯართად გაეყიდათ და შედარებით დაბალ ფასად უცხოელ ინვესტორებზე გადაეყიდათ. უცხოელი ინვესტორებიც, უმეტესად, ამ ტაქტიკას აგრძელებდნენ და ძვირადღირებულ ტექნიკურ საშუალებებს ჯართად ყიდდნენ, რისი ნათელი მაგალითია რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და მისი მფლობელი, იტალიური კომპანია ARES INETRNATIONAL SRL.

„ერთადერთი კომპანია, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ დაბრუნდა, „თბილავიამშენია“. 2001 წლის 15 იანვარს, მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სპეციალური ბრძანებულება გამოსცა, რომლითაც „თბილავიამშენის“ დავალიანების — 6 969 733 ლარის სამწლიანი რესტრუქტურიზაცია განახორციელა. იმის გამო, რომ „თბილავიამშენი“ თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაა, ამ თემაზე ბევრს ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ის ჯავშანტრანსპორტიორები, ანუ „დიდგორი“ და „ლაზიკა“, რომლითაც პრეზიდენტი სააკაშვილი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია ამაყობდნენ, ამ ქარხანაში არ გამოუშვიათ. უფრო ზუსტად, მე, როგორც მეტალურგი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში ამ რაოდენობის ფოლადი ნამდვილად არ ჩამოუსხამთ. „დიდგორი“ და „ლაზიკა“, მართლაც, საქართველოშია აწყობილი, ოღონდ ეს მასალები ჩვენს ქვეყანაში კი არ დამზადდა, არამედ, უკრაინიდან შემოიტანეს“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას გოდერძი სარჯველაძე.

ამასთან, ქართველი გამომგონებელი განმარტავს, რომ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში სამი და ხუთტონიანი, ექვსი 10-ტონიანი და ერთიც 15-ტონიანი სადნობი ღუმელია, მაგრამ ეს დანადგარები მთლიანად არაა დატვირთული და, რაც მთავარია, არც იმ რაოდენობის ფოლადი დნება, რაც ამ ჯავშანტრანსპორტიორებისთვისაა საჭირო. სხვათა შორის, საქართველოში პერიოდულ რკინას, ე.წ. არმატურასაც აწარმოებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამშენებლო კომპანიებს „არმატურა“, როგორც გოდერძი სარჯველაძე აღნიშნავს, მაინც უკრაინიდან შემოაქვთ:

„მართალია, მწარმოებლები ამბობენ, რომ მათ მიერ გამოშვებული „არმატურა“ მაღალი ხარისხისაა და ევროსტანდარტებს შეესაბამება, მაგრამ თუკი ასეა, დიდი რაოდენობის „არმატურა“ უკრაინის საწარმო კრივოი-როგიდან რატომლა შემოგვაქვს? პერიოდულ რკინას ინდური ჯგუფიც უშვებს, რომელსაც უცხოეთში ყიდიან, მაგრამ არ მგონია, უცხოეთში ისეთ ფასს უხდიდნენ, რომ საქართველოში გაყიდვას აზრი არ ჰქონდეს. რაც შეეხება მეტალურგიას, თავის დროზე, რამდენჯერმე მივწერე ფინანსთა იმჟამინდელ მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, მაგრამ ჩემი მოსაზრებები ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა. იმხანად, ფინანსთა სამინისტროს დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვიყავი და კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა დავნიშნულიყავი, რათა რეაბილიტაციის მმართველისთვის ყურადღება მიმექცია და საწარმოში არსებული მდგომარეობა გამეკონტროლებინა, მაგრამ იმ შენიშვნების გამო, რასაც ყოველთვის ვაფიქსირებდი, არც ზურაბ ნოღაიდელს და არც რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობას ჩემი დანიშვნა, ცხადია, არ აწყობდა. მიმაჩნია, რომ მანქანა-დანადგარების ჯართად გაყიდვას ხელს ფინანსთა მაშინდელი მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უწყობდა“.

გოდერძი სარჯველაძე სამინისტროდან 2004 წელს გაუშვეს, მაგრამ ეს, როგორც თვითონ ამბობს, მხოლოდ მეტალურგიული კომბინატის გამო არ მომხდარა. სარჯველაძეს, როგორც გამოცდილ სპეციალისტს, მიაჩნდა, რომ ამა თუ იმ საწარმოს პრივატიზების პროცესში, მინისტრისა და მისი მოადგილეების გარდა, მონაწილეობა კონკრეტული დარგის პროფესიონალ ექსპერტებსაც უნდა მიეღოთ. სწორედ ამიტომ ითხოვს გოდერძი სარჯველაძე საექსპერტო ჯგუფის, ან კომისიის შექმნას, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის საქართველოს სამრეწველო პოტენციალს და დეტალურად აღწერს შემორჩენილ ქონებას:

„საექსპერტო კომისია ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლით ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. თუ სახელმწიფოს სურს, მრეწველობა ააღორძინოს, დარგის სპეციალისტებისგან საექსპერტო ჯგუფი უნდა შექმნას, რომელშიც ფინანსისტები და ეკონომისტებიც გაერთიანდებიან და ქონებას შეაფასებენ. მავანი იტყვის, საამისოდ აუდიტორული კომპანიები არსებობენო, კი ბატონო, მაგრამ აუდიტორული კომპანია იმ გადაცდომას ვერ აღმოაჩენს, რასაც დარგის სპეციალისტი შეამჩნევს. გამოცდილი ფინანსისტი ფინანსურ გადაცდომას აუცილებლად იპოვის და სააშკარაოზეც გამოიტანს, მაგრამ გაცილებით მეტი შეცდომა ტექნიკურ-ტექნოლოგიური კუთხით იმალება, რომლის აღმოჩენაც მხოლოდ დარგის გამოცდილ სპეციალისტს შეუძლია“.

საინტერესოა, რა შეცდომას გულისხმობს ქართველი გამომგონებელი, ან ამა თუ იმ კომპანიის კერძო მფლობელი მის საკუთრებაში არსებული ობიექტის ტერიტორიაზე დარგის სპეციალისტთა საექსპერტო ჯგუფს რატომ დაუშვებს? გოდერძი სარჯველაძეს თვალსაჩინოებისთვის კაზრეთის მაგალითი მოჰყავს — მართალია, კაზრეთის „მადნეული“ კერძო საკუთრებაშია, მაგრამ წიაღისეული საერთო-სახალხო საკუთრებაა:

„აგიხსნით, რატომ უნდა შევიდეს კაზრეთის „მადნეულში“ საექსპერტო ჯგუფი ან კომისია, სადაც სპილენძის კონცენტრანტები და ოქროს მადანი გაქრა. კაზრეთში ოქროს ციანიდური ანუ ქართული მეთოდით მოიპოვებენ, რომელიც ბაგრატიონმა შეიმუშავა, ამავე მეთოდით იღებენ ოქროს რუმინეთშიც, მაგრამ რუმინეთში ოქროს ამოღების კოეფიციენტი 76%-დან 82%-მდეა, ჩვენთან კი, დაახლოებით, 50%-დან, 55%-მდე. თუ, პირობითად, 1 ტონა სპილენძიდან 1 გრამი ოქრო უნდა ამოვიდეს, იმის გამო, რომ ამოღების კოეფიციენტი 82%-ია, გამოდის, რეალურად, 0,82 გრამ ოქროს ვიღებთ, თუ ამოღების კოეფიციენტი 55%-ია, მაშინ 0,55 გრამ ოქროს. არის კი საქართველოში ამოღების კოეფიციენტი 55%? იქნებ, ეს შემცირებული მაჩვენებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთანაც ამოღების კოეფიციენტი 82%-ია, მაგრამ 55%-ს შეგნებულად ვაჩვენებთ, რათა განსხვავება დავმალოთ? სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას საექსპერტო კომისია, რომელიც ამ ტიპის დეტალებს დაადგენს და გამოიკვლევს“.

თუ საქართველოს ხელისუფლება მრეწველობის აღორძინებას ვერ მოახერხებს, მოსახლეობის 1/3 უმუშევრად დარჩება. გოდერძი სარჯველაძე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამონახოს დრო და კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღოს, რადგან ამდენი ხალხი მხოლოდ ტურიზმის განვითარებით ვერ დასაქმდება.

იმის გასარკვევად, ზემოხსენებული ჯავშანტექნიკა, რეალურად, საქართველოშია თუ არა დამზადებული, „ვერსია“ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ სპეციალისტების ჯგუფი უკვე მუშაობს 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე, რათა შეისწავლოს, რამდენად შეესაბამება „დიდგორი“ და „ლაზიკა“ სტანდარტებს და არის თუ არა ეს ჯავშანტრანსპორტიორები ტექნიკურად გამართული:

„ეს მანქანები, მართლაც, კარგი ნამუშევარია, მაგრამ რამდენად აკმაყოფილებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს ან რამდენად რენტაბელური იქნება მათი სერიული წარმოება, ამისთვის აუცილებელია ტესტირება. ჩემი ინფორმაციით, ამ მანქანების ტესტირება უკვე ხორციელდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ვთქვათ, რა დადებითი ან უარყოფითი მახასიათებლები გააჩნიათ. ზოგადად, ნატო-ს სტანდარტების მიხედვით, ვიდრე შეიარაღებულ ძალებში ამ ტიპის გამოგონება დაინერგება, მინიმუმ, 4-5 წელია საჭირო ტექნიკის გამოსაცდელად“.

სოზარ სუბარს პატიმრები აშანტაჟებენ?!

მე-5 გვერდიდან

რაც შეეხება კონტროლის მექანიზმს, არსებობს ლეგალური იარაღი — სამართებელი, რომლითაც პატიმრები წვერს იპარსავენ და რომელიც მაღაზიაში იყიდება. სამართებლის გაყიდვა რომ ავკრძალოთ, წამების საწინააღმდეგო რომელიმე ორგანიზაცია პატიმრებისთვის არაადამიანურ მოპყრობაში დაგვადანაშაულებს. კარგი, ვთქვათ, სამართებელი ავკრძალეთ, მაგრამ ბევრად ეფექტური ბასრი იარაღი ფილტრიანი სიგარეტისგან მზადდება და გამოდის, მისი გაყიდვაც უნდა ავკრძალოთ? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ადამიანს მარტივად შეუძლია, სხეული კბილებით დაიზიანოს და ამის გამო ყველა პატიმარს კბილებს ხომ არ დავაძრობთ? ერთი სიტყვით, ვწუხვარ, თუ პატიმარი ვენებს იმიტომ იჭრის, რომ ხუხუა დავნიშნე ან მოვხსენი, მაგრამ მას, სამედიცინო დახმარების გარდა, ვერაფერს შევთავაზებ.

— მინისტრის მხრიდან პატიმრებზე ასე ლაპარაკი გამართლებულია?

— პატიმარს ერთადერთი სურვილი აქვს — გარეთ გამოვიდეს და ვიდრე ამ მიზანს არ მიაღწევს, პროტესტის მიზეზსად ფორმას ყოველთვის მონახავს. სხვათა შორის, გეგუთის დაწესებულებას უზარმაზარი ეზო აქვს, სადაც რამდენიმე ჰექტარი ქვითაა მოხრეშილი. მერწმუნეთ, ქვა სამართებელზე საშიშია... გეგუთის ეზოს მოასფალტება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, თუმცა, ვფიქრობ, თავს ყველა პრობლემას გავართმევთ. ახალ ციხეებსაც ვაშენებთ, სადაც კონტროლისა და უსაფრთხოების სისტემა ბევრად მოწესრიგებული იქნება.

— ამას წინათ, რედაქციაში პატიმარმა დარეკა, რომლის თქმითაც, საპყრობილეებში მედიკამენტები ძალიან ძვირია. ამ მიმართულებით შიგნით ვითარებას ვინ აკონტროლებს?

— ტყუილია. ჩვენმა სამინისტრომ ცოტა ხნის წინ ტენდერი გამოაცხადა, რომელში მონაწილეობის სურვილი ორმა კომპანიამ — „ავერსმა“ და „ჯიპისიმ“ გამოთქვა. ორივე აბსოლუტურად თანაბარ პირობებში ჩავაყენეთ, თუმცა „ავერსმა“ გაიმარჯვა. საპყრობილეებში მედიკამენტების ფასი აბსოლუტურად რეალურია, თანაც პატიმრებისთვის წამლისა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების სტატისტიკა რვაჯერ გაიზარდა. არ დაგავიწყდეთ, ეს იმ პირობებში ხდება, როცა პატიმრების რაოდენობა ორნახევარჯერ შემცირდა. ამასთან, ისეთ დაავადებებს ვმკურნალობთ, რომლის მკურნალობასაც მსჯავრდებულები ადრე, უბრალოდ, ვერ ბედავდნენ. ისე, არიან პატიმრები, რომელთაც მკურნალობის სურვილი არ აქვთ და ჯანმრთელობის დამძიმება ურჩევნიათ, რადგან ფიქრობენ, ამ გზით თავისუფლებას მალე მოიპოვებენ. ასეთებს ვერაფერს მოვუხერხებთ...

ისე, წამლების მიწოდებასთან დაკავშირებით პრობლემები, მართლაც, გვაქვს, რადგან გარკვეულ მედიკამენტებზე ტენდერი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. შესაბამისად, ზოგჯერ გადაუდებელ შესყიდვას ვახორციელებთ და ამიტომ წამალი საპატიმროებში დაგვიანებით შედის. ვაღიარებ: ეს ცუდია, მაგრამ გამოსწორებადი.

— ამასობაში, მინისტრების ხელფასი იზრდება. საქართველოში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე, თვეში 6300-ლარიანი ჯამაგირი უხერხულობას არ გიქმნით?

— მაღალი თანამდებობის პირს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, თუმცა, წინა წლებთან შედარებით, ხელფასები რეალურად შემცირდა, ადრე კი მინისტრები ყოველთვიურ პრემიას იღებდნენ, მათ შორის, თვეში 16 ათას ლარსაც. სხვათა შორის, ვიდრე პრემიერი ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მეცამეტე განსაზღვრული ხელფასი მეც გამოვიწერე.

— ნოდარ ხადურის მსგავსად, 25 ათასლარიანი პრემიაც ხომ არ აიღეთ?

— არ მგონია, ხადურს ამდენი გამოეწერა, ალბათ, ამ რაოდენობის თანხა ჯამში აიღო.

ყველა თანამშრომელს 120%-იანი მეცამეტე ხელფასი მივეცი, მე კი, 100%-იანი ავიღე. თანამშრომლებს 120%-იანი დანამატი იმიტომ მივეცი, რომ სამინისტროში დანაზოგი არსებობდა, რომელიც ან ფინანსთა სამინისტროსთვის უნდა დაგვებრუნებინა ან თანამშრომლებისთვის გამოგვეწერა. ჩავთვალე, რომ 20%-ის უკან დაბრუნება სწორი არ იქნებოდა. გეფიცებით, ეს ერთადერთხელ იყო და წლის ბოლომდე პრემიის გამოწერას არ ვფიქრობ.

ნელი თორდია
593-61-07-72

ხელისუფლების შეცვლისთანავე ითქვა, რომ თანამდებობებს მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებიც დატოვებდნენ, თუმცა ეს ხმა განათლების სამინისტროს ახალმა გუნდმა კატეგორიულად უარყო. მოგვიანებით, 2012 წლის 6 დეკემბერს, განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, უმაღლეს სასწავლებლებში, შესაძლოა, ფინანსური შემოწმება დაიწყოს, თუმცა რექტორები პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით არ გათავისუფლდებიან და პასუხი მხოლოდ მათ მოეთხოვებათ, ვინც პოლიტიკური რეჟიმის ზეწოლით კი არ მოქმედებდა, კანონმდებლობას საკუთარი სურვილით არღვევდაო... აგრარულ უნივერსიტეტში განვითარებული პროცესების ფონზე, დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციამ რექტორების გათავისუფლების თემა კვლავ გააქტიურა. ასოციაციის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მემანიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აქცენტს რექტორთა მორალურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე აკეთებს:

დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია ოთხი რექტორის გადადგომას ითხოვს

„მოვითხოვთ, თანამდებობიდან გადადგნენ არჩილ ფრანგიშვილი, ალექსანდრე კვიტაშვილი, ლაშა გოცირიძე და გიგი თევზაძე, რადგან ეს ადამიანები ყოფილი ხელისუფლების მსახურები იყვნენ და უმაღლესი განათლების სისტემას წლების განმავლობაში ანგრევდნენ!.. სტუდენტობა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორ არჩილ ფრანგიშვილს არასოდეს აპატიებს, რომ მან საკუთარ სტუდენტზე უარი თქვა — 2012 წლის აგვისტოს, ე.წ. სპეცოპერაციის დროს დაღუპული ასლან მარგოშვილი ყოფილმა ხელისუფლებამ ტერორისტად მონათლა, არჩილ ფრანგიშვილმა კი განაცხადა, მარგოშვილს ტექნიკურ უნივერსიტეტში არასოდეს უსწავლიაო. არადა, მოვიპოვეთ სტუდენტის ბილეთი, სწავლის საფასურის გადახდის ქვითრები და ნაშრომები, რომლებითაც დასტურდება, რომ მარგოშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კი ეს ფაქტი, ნაციონალური მოძრაობის პირდაპირი მითითებით, დამალა, რადგან იმის აფიშირება, რომ დაღუპული „ტერორისტი“ ჩვეულებრივი სტუდენტი იყო, არ სჭირდებოდათ. სხვათა შორის, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი გიგი უგულავას შორეული ნათესავი და ახლო მეგობარია, ამიტომ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ფრანგიშვილი უგულავას მითითებით მოქმედებდა.“

არჩილ ფრანგიშვილთან ერთად, დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის წარმომადგენელი „ცოდვებს“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსაც უსხენებს და მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტიდან ისეთი პროფესიონალების, როგორებიც ნოდარ ხადური და ლელა გაფრინდაშვილი არიან, გაშვების შემდეგ, კვიტაშვილს რექტორად ყოფნის მორალური უფლება აღარ აქვს:

„რაც შეეხება გიგი თევზაძეს, თანამდებობიდან მის გასაშვებად ილიას უნივერსიტეტის კედლებში „თავისუფლების ინსტიტუტის“ განთავსებაც საკმარისია, აგრარულ უნივერსიტეტში კახა ბენდუქიძის მიერ მართული პროცესები კი სახელმწიფოს მიმართ აშკარა საბოტაჟია, რომელშიც რექტორი ლაშა გოცირიძეც მონაწილეობს და ყველაფერს აკეთებს, უკმაყოფილო სტუდენტები სახელმწიფოს დაუპირისპიროს. სხვათა შორის, სტუდენტები პირად საუბარში ამბობენ, რომ საპროტესტო აქციებზე სიარულს აიძულებენ და თუ უარს იტყვიან, აშინებენ, პრობლემები შეექმნებათო“.

ნიკა მემანიშვილის თქმით, ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, უმაღლეს სასწავლებლებში ისევ „ნაციონალების“ რეპრესიული მანქანა მუშაობს — მართალია, შეფარულად, მაგრამ დაუმორჩილებელი პროფესორ-მასწავლებელთა და აქტიურ სტუდენტთა ტრადიციული მეთოდებით დაშინება-დაშანტაჟება ისევ გრძელდება:

„ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილ ლექტორებს იბარებენ და გაურკვეველი ახსნა-განმარტებების დაწერას სთხოვენ. პარალელურად, სოციალური ქსელებითა და ფარული სატელეფონო ნომრებით ჩვენი დაშანტაჟებაც მიმდინარეობს, გვემუქრებიან და მოითხოვენ, ტექნიკური უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიმართ კრიტიკულ გამოსვლებს თავი დავანებოთ. ჩვენსა და არჩილ ფრანგიშვილს შორის კოჰაბიტაცია გამორიცხულია. ამ ადამიანმა თავის დროზე, გაჩუმების სანაცვლოდ, სტუდენტური თვითმმართველობის ნახევრის დაკომპლექტება შემოგვთავაზა, რაზეც არ დავთანხმდით. იმედი გვაქვს, განათლების მინისტრი ამ საკითხით დაინტერესდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო აქციებსა და ბრძოლის სხვა სამართლებრივ მეთოდებს მივმართავთ“.

ბორის ბერეზოვსკის უკანასკნელი ინტერვიუ

რა უთხრა სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე „ფორბსის“ ჟურნალისტს, რაზომ მიაჩნდა, რომ ბადრი პატარკაციშვილში შეცდა და რაზომ დაკარგა ცხოვრების აზრი რუსმა ოლიგარქმა

იმ ადგილას, სადაც ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის ცხედარი იპოვეს, ბირთვული იარაღისა და რადიოაქტიური დაბინძურების სპეციალისტები მუშაობენ, — ამის შესახებ რუსული მედია, ბრიტანეთის პოლიციაზე დაყრდნობით წერს. „სპეციალისტები, მათ შორის, რადიოაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში, შემთხვევის ადგილზე მუშაობენ. ღონისძიებები სიფრთხილის ზომებიდან გამომდინარე ხორციელდება. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ სამართალდამცველებმა სიკვდილის მიზეზების გამოძიება განახორციელონ“, — აღნიშნულია ბრიტანელი სამართალდამცავების განცხადებაში. დასახლებაში მაცხოვრებლებს ხიფათი არ ემუქრებათ.

67 წლის ბორის ბერეზოვსკის ცხედარი დიდ ბრიტანეთში, სურეის საგრაფოში, ქალაქ ასკოტთან მდებარე მის სასახლეში, ორი დღის წინ აღმოაჩინეს. ცხედარი სააბაზანოში იპოვეს. ბორის ბერეზოვსკი დიდ ბრიტანეთში 2001 წლიდან ცხოვრობდა, სადაც 2003 წელს პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიიღო. ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზების შესახებ რამდენიმე ვერსია ვრცელდება. ადვოკატმა ალექსანდრ დობროვინსკიმ „ფეისბუქში“ დაწერა, რომ ბიზნესმენმა თავი მოიკლა. დობროვინსკის განცხადებით, ბერეზოვსკი ბოლო დროს მძიმე მდგომარეობაში, პრაქტიკულად, გაკოტრებული იყო და იძულებული გახდა, პირადი კოლექციიდან სურათები გაეყიდა.

„ჩვენი საერთო ნაცნობებიდან ვიცი, რომ ბერეზოვსკიმ მათ რამდენიმე ათასი დოლარი სთხოვა, რომ ბილეთი აეღო და სადღაც გაფრენილიყო“, — აცხადებს ადვოკატი.

რუსული მედია იმასაც იუწყება, რომ ბოლო დროს ბერეზოვსკის გულის შეტევა რამდენჯერმე დაემართა და, შესაძლოა, მისი სიკვდილის მიზეზი სწორედ ინფარქტი იყო. ამასთან, ზოგიერთი დასავლელი ჟურნალისტი არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, ბერეზოვსკი მოკლეს.

არსებული ინფორმაციით, ბიზნესმენის გარდაცვალების გარემოებებზე გამოძიებას სკოტლანდ იარდი აწარმოებს.

ამასთან, ამერიკული გამოცემა „ფორბსი“ ბორის ბერეზოვსკის უკანასკნელ ინტერვიუს აქვეყნებს, რომელიც ბიზნესმენის გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრეა ჩაწერილი.

„ვერსია“ „ფორბსში“ გამოქვეყნებულ სტატიას გთავაზობთ.

„ინფორმაცია, ჩვენი შეხვედრის შესახებ და ეს ინტერვიუ, რომელიც მის ცხოვრებაში უკანასკნელი გახდა, არ უნდა გამოქვეყნებულიყო. ეს პირობა მას ჯერ კიდევ სიცოცხლეში, გუშინ მივეცი. ახლა სიტუაცია შეიცვალა და თავს ვალდებულად მივიჩნევ, ამ შეხვედრის შესახებ მოგიყვეთ. ჩვენი შეხვედრა ერთი დღით ადრე უნდა შემდგარიყო, თუმცა ბიზნესმენმა დამირეკა და მითხრა, რომ გაციების გამო, ერთი დღით გადადება მოუწევდა. მეორე დღეს, მართლაც, დამირეკა და ჩვენ სასტუმრო Four Seasons-ის რესტორანში შევხვდით“, — წერს „ფორბსის“ ჟურნალისტი.

— თავს როგორ გრძნობთ? — ვკითხე ბერეზოვსკის, რათა როგორმე საუბარი დამეწყო.

— მადლობა, კარგად, მაგრამ რას მეკითხებით? — ბერეზოვსკიმ გაკვირვებით შემომხედა და მთხოვა, არ ჩამეწერა, დამევიწყებინა, რომ ინტერვიუზე ვიყავი და მასთან უბრალოდ მელაპარაკა. ვცდილობდი, მელაპარაკა ბიზნესზე, თუმცა მივხვდი, რომ ბიზნესი დიდი ხანია, აღარ აინტერესებდა.

— არა, მე ვმართავდი საკუთარ ბიზნესს. როდესაც OPT და „სიბნეფტის“ ფული ავიღე, ჩემი ფინანსები მთლიანად ბადრი პატარკაციშვილს გადავაბარე. პოლიტიკური პროექტებისთვის იმდენს ვიღებდი, რამდენიც მჭირდებოდა, დანარჩენით ბადრი იყო დაკავებული.

— ანუ რა გამოდის — ბადრიმ, პრაქტიკულად, გიღალატათ?

— ვერასოდეს ვერკვეოდი ადამიანებში, მათ ადამიანურ თვისებებში. მათ ვაფასებდი მათი გონიერებისთვის, სიმამაცისთვის, მაგრამ ვცდებოდი, მათ შორის, ბადრის შემთხვევაშიც.

— მაგრამ ის ხომ თქვენი ყველაზე ახლო მეგობარი იყო?

— მას ახლაც მეგობრად ვთვლი. ჩემი შეცდომა ისაა, რომ არც რომან აბრამოვიჩსა და არც ბადრი პატარკაციშვილთან მოლაპარაკებებს დოკუმენტით არ ვაფორმებდი.

— რას იტყვით ე.წ. ბიზნესგაყრაზე, რომელიც თქვენ ბადრი პატარკაციშვილთან მიმართებაში გამოიყენეთ?

— მას შემდეგ, რაც პოლიტიკური რისკის შემთხვევები გაიზარდა, მე და ბადრიმ გადავწყვიტეთ, ბიზნესგაყრის შესახებ საჯაროდ გვესაუბრა. ეს ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი იყო, რომელიც შევიმუშავეთ ჩვენი აქტივების დასაცავად, თორემ ჩვენი გაყრა რეალური არასოდეს ყოფილა. ჩემი და ბადრის ურთიერთობა ისეთი არ იყო, როგორიც პარტნიორებს აქვთ. პარტნიორები ექსტრემალურ შემთხვევებს გაითვალისწინებდნენ.

ამ დროს ბერეზოვსკი დადუმდა და გაიღიმა:

— არ მეგონა, ბადრი ჩემზე ადრე თუ მოკვდებოდა.

— რუსეთი გენატრებათ?

— რუსეთში დაბრუნება?!. ამაზე მეტად ამქვეყნად არაფერი მინდა... მაშინაც კი, როდესაც სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, მე რუსეთში დაბრუნება მინდოდა. მხოლოდ ელენ ბონერის რჩევით დავრჩი. ჩემთვის იმდენად ძვირფასია რუსეთი, რომ ემიგრანტი ვერ ვიქნები.

მთავარია, ჩემი შეფასებები შევცვალე, მათ შორის — საკუთარი თავი. რუსეთის ინტერესები ვერ დავაფასე, დასავლეთისა კი გადავაფასე და ეს გამუდმებით ხდებოდა. შევცვალე საკუთარი შეხედულება რუსეთის მიზნებზე.

რუსეთიდან არ უნდა წამოვსულიყავი....

— რუსეთში რომ დარჩენილიყავით, ახლა ციხეში იჯდებოდით. ეს გინდათ?

— ახლა, როდესაც ლონდონში გატარებულ წლებს გადავავლებ ხოლმე თვალს....

ბერეზოვსკიმ თავი დახარა, შემდეგ, ხელი გულ-მკერდთან მიიდო — ის მას უკანკალებდა. შემომხედა და დიდხანს მიყურებდა თვალებში. ბოლოს და ბოლოს, მითხრა:

— ახლა ამაზე პასუხი არ მაქვს.

შემდეგ, ფეხებზე დაიხედა, შემდეგ, ისევ მე შემომხედა და თითქოს თავს იმართლებსო, სწრაფად მიპასუხა:

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარი თავი დავკარგე. მე უამრავი იმედგაცრუება გადავიტანე. აზრი დავკარგე...

— ცხოვრების აზრი?

— ცხოვრების აზრი. არ მინდა, პოლიტიკით დავკავდე.

— აბა, რითი დაკავდებით?

— არ ვიცი, 67 წლის ვარ... არ ვიცი, მომავალში რა უნდა ვქნა.

ბორის ბერეზოვსკი ძალიან დიდხანს მიყურებდა თვალებში.

ამის შემდეგ, ერთ დროს რუსეთში ყველაზე ძლევამოსილი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი მეუბნება, რომ მეცნიერებაში უნდა დაბრუნება და ბედნიერი იქნებოდა, თუ ამით რუსეთში დაკავდებოდა. მე მას მეცნიერებაზე საუბარი შევთავაზე. აშკარად არ ჰქონდა სურვილი, ამ თემაზე ესაუბრა. როგორც ჩანს, მას არც სამშობლოსა და არც მეცნიერებაში დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდა. შევეცადე, გამემხნევებინა და იმედი გამოვთქვი, რომ შემდეგში მოსკოვში... მეცნიერებათა აკადემიაში შევხვდებოდი, რაზეც გაეცინა და მითხრა:

— კარგად დააკონკრეტე.

„გვიტმკიცებენ, პენსიები პრემიერის ბრძანებით შეგიწყდათო, მაგრამ არ მჯერა...“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობა“ გაოპოზიციონერდა და ხელისუფლება ყოფილმა ოპოზიციამ გადაიბარა, 5 თვე გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდი ცდილობს, ხალხს მდგომარეობა შეუმსუბუქოს, ქვეყანაში ისევ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა და ამას ჯანდაცვის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში არსებული ხალხმრავლობაც მოწმობს.

მოქალაქეთა მისაღებში სხვადასხვა პრობლემებით შეწუხებული 80-მდე ადამიანია... ზოგი რიგს ელოდება, ზოგი დახმარებაზე განცხადებას წერს, ზოგი ქოქოლას ხან „მაღალს“ აყრის და ხან „დაბალს“, ზოგი კი იმის გარკვევას ცდილობს, დამნაშავე ახალი ხელისუფლებაა თუ ძველი...

მაგიდასთან ქერათმიანი გოგონა ზის და მინისტრის სახელზე განცხადებას წერს — სოციალური დახმარების აღდგენა უნდა. საერთოდ, აქ მოსულთა ნაწილი სოციალურ დახმარებას ითხოვს, ნაწილი კი გადაუდებელი ოპერაციის დაფინანსებას... ქერათმიანი გვერდითმჯდომ ქალბატონს მორიდებით ეკითხება, მარტოხელა დედა ვარ და ამის შესახებ განცხადებაში მივუთითო თუ არარა. უცნობმა, თანხმობის ნიშნად, ჯერ თავი დაუქნია, მერე, ამოიოხრა და ჩაილაპარაკა, იმ კაცს ჭკუა აქვს, ასეთ ლამაზ გოგოს რომ მიატოვებსო?!

— ეჰ, რას იზამ, დეიდა, ასეთია ცხოვრება, — მიუგო ქერათმიანმა და თავისი ისტორიის თხრობა დაიწყო, — იმის გამო, რომ ქმარმა მიმატოვა, მშობლებმა სახლიდან გამომაგდეს. ბინა კი არა, შემოსავალიც არ მაქვს. ღამეს ხან რომელ მეგობართან ვათევ, ხან — რომელთან. ამდენი წანწალით ბავშვს ფსიქიკა დაუზიანდა. სოციალური დახმარება მქონდა, მაგრამ ამ მთავრობამ მომიხსნა — არჩევნებზე ვმუშაობდი და შარი მომდეს, რატომ მუშაობდიო.

— აბა, შვილო, ესაა საქმე?! მეგონა, ახალი ხელისუფლება გაჭირვებულ ხალხს გვიშველიდა. არჩევნებში ოპოზიციამ რომ გაიმარჯვა, ისე გამიხარდა, თითქოს ჩემს შვილს გაემარჯვა. ვიფიქრე, ავშენდით და ეგ არის-მეთქი, ამათ კი რა გააკეთეს — პურის ფული ყველაზე ღატაკებს წაგვართვეს. იმისიც აღარ მჯერა, რომ ამბობენ, ივანიშვილი საჩხერელებს ეხმარებოდაო.

— თავის ხალხს კი დაურიგა 100-ათასიანი მანქანები და მილიონები... საწყალი ხალხი რაში აინტერესებს?! დამასაქმონ და მაგათი 55 ლარი სულ არ მინდა. საგონებელში ვარ ჩავარდნილი, ბავშვს რა ვაჭამო, — ქერათმიანის ეს რეპლიკა ყავარჯნიანი ქალბატონის ქოთქოთმა „შთანთქა“:

— 8 თვეა, პენსია არ მოუციათ და 68 წლის ინვალიდ ქალს დახმარებაც შემიწყვიტეს. ესენი ადამიანები არიან? კითხულობენ, რა ვჭამო, რომ არ მოვკვდე თუ წინკვი გოგო ვარ, ვინმემ მუშაობა „კურტუმოს“ გაქნევის გამო დამაწყებინოს? ვამტკიცებდი, ხელისუფლებაში ოპოზიცია რომ მოვიდეს, უარესს გაგვიკეთებს-მეთქი, მაგრამ ვინ მომისმინა? ის, ვინც ეს მთავრობა მოიყვანა, ჩემსავით ულუკმაპუროდ დარჩეს!

— პენსიას რატომ არ გაძლევენ? — დავინტერესდი.

— სოციალური დახმარება მქონდა, მაგრამ ჩემს გოგოს, რომელიც ჩემთანაა ჩაწერილი, ციროზი აქვს და, მკურნალობის ფული რომ ვერ ვიშოვეთ, რამდენიმე თვის სოციალური დახმარება წინასწარ გამოვიტანეთ. მერე, ჩემმა შვილიშვილებმა მუშაობა დაიწყეს და ამის გამო დახმარება შეგვიწყვიტეს, არადა, ბავშვებმა სულ ორი თვე იმუშავეს... ახლა ბანკი თავის ფულს ითხოვს. ოჯახში შემოსავალი მხოლოდ მე მაქვს და სოციალური დახმარების კრედიტს ბანკი ჩემი პენსიიდან ფარავს. უნდა გავარკვიო, თუ ჩემმა შვილიშვილმა კრედიტი გამოიტანა, მე რა შუაში ვარ?

— რას გაიგებ, ქალბატონო, ამათსას... უმძიმესი სიტუაცია მაქვს. სახლში აგენტი რომ მოვიდა, გაგიჟდა, აქ სად ცხოვრობთო. ცოლს კიბოს მე-3 სტადია აქვს, მე ღვიძლი მაქვს დაავადებული, ბავშვებიც ავად მყვანან. წლებია, წყალი, გაზი და შუქი არ მაქვს და ამ პირობებში მყოფს სოციალური დახმარება მომიხსნეს, 2 თვე რატომ მუშაობდიო. ყველაფერი გამიგია, მაგრამ მუშაობა თუ დანაშაული და სასჯელი იყო, ეგ არ ვიცოდი?! — საუბარში შუახნის მამაკაცი ჩაერთო.

— ამ მიდგომით ესენი შორს ვერ წავლენ, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— წავლენ კი არა, გაფრინდებიან! იმას რატომ აღარ ამბობთ, სად მუშაობდნენ თქვენი ოჯახის წევრები ის ორი თვე, ვის უკეთებდნენ პიარს და ვის ჩაძირვას ცდილობდნენ? — გაწიწმატდა წითელთმიანი ქალი.

— პიარი რა შუაშია, ქალბატონო?

— ჰო, ჰო, „ნაციონალების“ აქტივისტები რომ იყავით, ეგ სოციალური დახმარებაც მაგიტომ გქონდათ და ხელფასიც, — მიახალა თანამოსაუბრეებს.

— 5 წელი საბერძნეთში ვცხოვრობდი, საქართველოში პროგრამა „მე დავბრუდების“ ფარგლებში ჩამოვედი და თვეებია, დასაქმებას ვითხოვ, მაგრამ არავინ მასაქმებს. იმედი რომ მქონდა, ამიტომ დავბრუნდი ჩემს სამშობლოში. ვიფიქრე, პოლიტიკური ფონი შეიცვალა-მეთქი, მაგრამ საბერძნეთში დაგროვილი დანაზოგიც გამითავდა და არ ვიცი, ახლა რა ვქნა. ეს რომ მცოდნოდა, აქეთ ფეხს როგორ გამოვადგამდი?! — ლექსივით ჩამოარაკრაკა ემიგრანტყოფილმა.

— აბა, რას ელოდით, უკეთესი მთავრობის იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს, გინდა მიშა იყოს და გინდა გრიშა.

— ათასი დაპირება იყო და რას ვიფიქრებდი, ასე თუ გაგვწირავდნენ.

ამასობაში, მოხუცი ქალბატონი მომიახლოვდა და მთხოვა, სათვალე შინ დამრჩა და, შვილო, განცხადების დაწერაში დამეხმარეო.

> **— შვილი მიკვდება, გორში, საავადმყოფოში წევს და თუ ორ დღეში ფული არ გადავიხადეთ, გამოგვიგდებენ, — შემომჩივლა მოხუცმა, — რა მჭირდა ვინმეს სახვეწარი? — ყველაფერი მქონდა და კარგადაც ვცხოვრობდი, მაგრამ სააკაშვილის ამბიციამ და უტვინობამ დაგვღუპა. ომის შემდეგ დანგრეული სახლიღა დამრჩა. თავდაუზოგავი შრომა ჩემ შვილს ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა — სახლის სახურავს რომ აკეთებდა, გადმოვარდა და დაიმტვრა. ამას სხვა დაავადებებიც დაემატა... იქნებ, ფული ჩამირიცხონ, თორემ შვილს ჰოსპიტლიდან ქუჩაში გამომიგდებენ!**

...თვალი ფანჯრისკენ გამექცა — საშუალო ასაკის ორი ქალბატონი ყველსა და პურს მიირთმევდა.

— სულ ტყუილი „ბალამუტია“ — წარმოგიდგენია, კანონსაც ვერ მაჩვენებენ, პედაგოგებს პენსია რის საფუძველზე მოგვიხსნეს.

— პედაგოგები ბრძანდებით? — მისალმების შემდეგ ვკითხე ქალბატონებს.

— დიახ, მასწავლებლები ვართ. მე ქარელის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ვმუშაობ, — მეუბნება ერთ-ერთი, — ჩემი მეგობარი კი, სპორტსკოლაში. სამი თვეა, პენსია არ აგვიღია. სამი თვეა, ქარელსა და თბილისს შორის დავდივარ, ვიხვეწებით, დოკუმენტი გვაჩვენეთ, რის საფუძველზეც პენსია შეგვიწყვიტეთ-თქო, მაგრამ მეუბნებიან, ასეთი დოკუმენტი არ არსებობსო.

— ალბათ, რაღაც გაუგებრობაა, თორემ პედაგოგებს, ხელფასთან ერთად, როგორც ვიცი, პენსიაც ეკუთვნით, — ვცდილობ, თანამოსაუბრე დავამშვიდო.

— ხელფასთან ერთად, პენსიაც საჯარო სკოლის საპენსიო ასაკის პედაგოგებს დარჩათ, ე.წ. აიპებ-ს კი შეგვიწყვიტეს. გვეუბნებიან, პრემიერის ბრძანებაოო... თუ ბრძანებაა, ჩვენ ჯიუტები კი არ ვართ, გვაჩვენონ ეგ ბრძანება და წავალთ ჩვენ გზაზე. გვიმტკიცებენ, პენსიები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გეძლეოდათ და, პრემიერის ბრძანებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეგიწყვიტათო, მაგრამ არ მჯერა, რადგან პენსიას, როგორც ვიცი, ცენტრალური ბიუჯეტი გასცემს. თუ პენსიას ადგილობრივი ბიუჯეტი გვაძლევდა, მაშინ ამ ფულს პენსია კი არა, სხვა რამე ერქმეოდა... ისე, თავისიანები, ყავის სმის მეტს რომ არაფერს აკეთებენ და თვეში 500-600 ლარი აქვთ ხელფასი, სახელმწიფო უწყებებში ჰყავთ დასაქმებული და ჩვენი მდგომარეობა ვის რაში აინტერესებს?!

ნელი თორდია
593-61-07-72

საავადმყოფოებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გართულებულ ურთიერთობას პაციენტთა ინტერესები ეწირება. „ვერსიის“ ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანიების მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ღუდუშაურის კლინიკიდან პაციენტებს ქუჩაში ყრიან. ერთ-ერთი ავადმყოფის ახლობლის ინფორმაციით, კლინიკის ხელმძღვანელობამ პაციენტებს განუცხადა, „პოსლეზე“ მკურნალობის საშუალება აღარ გვაქვს და სხვაგან მიბრძანდითო. „ხალხს აპარატებიდან ხსნიან და პოლიკლინიკებსა და სხვადასხვა სტაციონარებში ანაწილებენ“, — ირწმუნება „ვერსიის“ ინფორმატორი. რეალურად, რა ხდება ღუდუშაურის კლინიკაში და შეუწყდებათ თუ არა არაკეთილსინდისიერი სადაზღვევო კომპანიის ბენეფიციარებს მკურნალობა? — ამის გასარკვევად, „ვერსია“ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელს, თამუნა ყიფიანს დაუკავშირდა.

ღუდუშაურის კლინიკიდან პაციენტები გამოყარეს?

26 მარტს თბილისში ექიმთა მორიგი ბუნტი დაიწყება?!

— ხალხს აპარატებიდან ხსნიანო? — ეს ისეთი სერიოზული ბრალდებაა, რომ აღქმაც კი მიჭირს. სინამდვილეში ის, რაც ახლა კლინიკაში ხდება, შიდა სამზარეულოა, რომელიც საზოგადოებისთვის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — პაციენტთა აპარატებიდან მოხსნა და პოლიკლინიკებში გადაყვანა არ მომხდარა, ეს აბსოლუტური დეზინფორმაციაა და ამაზე კომენტარის გაკეთება სასაცილოა!

— თამუნა, ერთ-ერთი პაციენტის ახლობლის თქმით, კლინიკის თანამშრომლებმა გააფრთხილეს, რომ სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადასვლაზე იზრუნონ...

— ჩემთვის ასეთი ფაქტების შესახებ ცნობილი არაა.

— შეიძლება, თქვენთვის არაა ცნობილი, თორემ ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო...

— ჩვენც, უამრავი სხვა კლინიკის მსგავსად, სადაზღვევო კომპანიებთან დავა გვაქვს.

— დავა ყველა სადაზღვევოსთან გაქვთ?

— ამ შემთხვევაში, საუბარი ერთ-ერთზეა, რომლის დასახელებისგან ჯერჯერობით, თავს შევიკავებ. ამ კომპანიამ დაკისრებული ფინანსური ვალდებულებები დროულად არ შეასრულა და, როგორც სადაზღვევოს წარმომადგენელი პირად საუბარში აცხადებს, ამის გაკეთებას არც აპირებს, მაგრამ ეს დავა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არ აისახება.

— კი, მაგრამ, მკურნალობის საფასური ვიღაცამ ხომ უნდა გადაიხადოს?

> **რატომ არ უხდიან სადაზღვევო კომპანიები სამედიცინო დაწესებულებებს დავალიანებას, როგორ აპირებს ჯანდაცვის სამინისტრო პრობლემის მოგვარებას და ემუქრება თუ არა საფრთხე პაციენტთა ჯანმრთელობას**

— სწორი კითხვაა... სამწუხაროდ, კლინიკას ამდენი დაუფინანსებელი პაციენტისთვის გაწეული მკურნალობის ხარჯი მძიმე ტვირთად აწევს, თუმცა ეს საუბრის სხვა თემაა და თუ საჭირო გახდა, ჩვენ და ასევე სხვა კლინიკებიც, ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთ. სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობა მხოლოდ ჩვენი პრობლემა არაა და ერთ კლინიკასაც ვერ დამისახელებთ, რომელსაც სადაზღვევო კომპანიების მხრიდან აღებული ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აქვს.

— თუ სწორად გავიგე, სადაზღვევო კომპანიები ფულის გადახდაზე უარს ამბობენ, კლინიკებს კი მკურნალობის რესურსი არ გააჩნიათ და როგორ შეიძლება, ყველაფერი ეს პაციენტის ჯანმრთელობაზე არ აისახოს?

— პრობლემას სწორ ჭრილში ხედავთ, მაგრამ ვერც კლინიკიდან გაწერილი და ვერც ამჟამად მკურნალობის ქვეშ მყოფი პაციენტი ვერ იტყვის, რომ ფინანსური პრობლემები მკურნალობის ხარისხზე რაიმე ფორმით აისახა. შიდა რესურსით, რომელიც კრიტიკულ ზღვარზეა, რაღაცას ვახერხებთ და თუკი სადაზღვევო კომპანიებმა თანხა არ გადმორიცხეს, ვეღარც მედიკამენტების შეძენას მოვახერხებთ და ვეღარც ექიმების ხელფასს გავცემთ...

— ვთქვათ, სადაზღვევო კომპანიებმა დავალიანება არ დაფარეს, მერე რას აპირებთ?

— ჯერ სადაზღვევოსთან ურთიერთობას გავარკვევთ და მერე, სპეციალურ განცხადებას გავაკეთებთ.

დასასრული მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

სადაზღვევო კომპანიების მხრიდან კლინიკების მიმართ დაგროვილი ფინანსური დავალიანების გამო, პაციენტებს პრობლემები სხვა საავადმყოფოებშიც ექმნებათ. ამასთან, „ვერსიის“ ინფორმაციით, უხელფასოდ მუშაობას სამედიცინო პერსონალიც აპროტესტებს. როგორ აპირებს ჯანდაცვის სამინისტრო პრობლემის მოგვარებას და ემუქრებათ თუ არა არაკეთილსინდისიერი სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციარებს მკურნალობის გარეშე დარჩენა? — „ვერსია“ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მედიაციის სამსახურის ხელმძღვანელს, სოფო ლებანიძეს დაუკავშირდა.

— მედიაციის სამსახურში რომელიმე კლინიკასა და სადაზღვევო კომპანიას შორის დავაზე ოფიციალურად დარეგისტრირებული სარჩელი ან დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა ორი დღის წინ, მხარეებს შორის დეკემბრისა და შემდგომი თვეების ფინანსური დავალიანებების გამო, დავა წარმოიშვა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა ნიშნები, რომ პაციენტებს სამედიცინო მომსახურეობა შეუწყდებოდათ, მაგრამ ღუდუშაურის კლინიკის ყველა პაციენტს სამედიცინო მომსახურეობა, როგორც იტყვიან, შეუფერხებლად მიეწოდება...

ღუდუშაურის კლინიკიდან პაციენტები გამოყარეს?

26 მარტს, თბილისში, ექიმთა მორიგი ბუნტი დაიწყება?!

— ღუდუშაურის კლინიკიდან პაციენტების გადაყვანის ფაქტები არ დაფიქსირებულა?

— მედიაციის სამსახურმა ეს ინფორმაცია შეისწავლა და დაადგინა, რომ სამედიცინო მომსახურებაში წყვეტა არ დაფიქსირებულა.

— ღუდუშაურის კლინიკის მსგავსი პრობლემა, როგორც ვიცი, თითქმის ყველა საავადმყოფოს აწუხებს. ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ მედპერსონალი ხელფასს ვერ იღებს და ამის გამო, მუშაობაზე უარს აცხადებს... ჯანდაცვის სამინისტრო შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას როგორ აპირებს?

— ყველა ასეთი ტიპის პრობლემაზე მედიაციის სამსახური სამართლებრივად ან საკოორდინაციო შეხვედრებით რეაგირებს...

„ვერსიის“ ინფორმაციით, 26 მარტს, ღუდუშაურის კლინიკისა და რამდენიმე სხვა საავადმყოფოს მედპერსონალი საგანგებო განცხადების გაკეთებას გეგმავს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, შემოსავლის გარეშე დარჩენილი ექიმები პროტესტის რა გზას მიმართავენ...

აფხაზი სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლებას „მეკობრეობაში“ ადანაშაულებენ

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, რეაგირება მოახდინოს ქართული მხარის მიერ თურქული გემის დაკავებაზე, რომელიც აფხაზეთიდან თურქეთში მიდიოდა.

„ეს მეკობრეობისა და საზღვაო ტერორიზმის პირველი შემთხვევა როდია. ქვეყნის ხელისუფლება არაფრით განსხვავდება სომალელი მეკობრეებისგან, რომლებიც გემების დაკავებით, ძარცვითა და მესამე ქვეყნების ხომალდების კონფისკაციით არიან დაკავებულნი. ამ პირობებში კიდევ უფრო ცხადი ხდება საქართველოს ოფიციალური პირების ორსახოვანი პოლიტიკა“, — ნათქვამია აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყების განცხადებაში.

სეპარატისტთა ე.წ. საგარეო უწყება მოუწოდებს, ადეკვატური და ხისტი შეფასება მისცეს საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ „მეკობრულ“ ქმედებებს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

უბედური ქართველი პენსიონერები და ბედნიერი პოლიტიკოსები

საქართველო, პენსიონერთა კეთილდღეობის ინდექსით, მსოფლიოში 89-ე, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ბოლო ადგილზეა

მერაბ ბერიძე

ახლახან საერთაშორისო ორგანიზაცია Natixis Global Asset Management-მა (NGAM), მსოფლიო მასშტაბით, პენსიონერთა 2013 წლის კეთილდღეობის ინდექსი გამოაქვეყნა. რეიტინგში სულ 150 ქვეყანა შევიდა, მათ შორის, საქართველოც. როგორც ორგანიზაციის მკვლევარები განმარტავენ, რეიტინგზე მუშაობისას ისეთი კრიტერიუმით იხელმძღვანელეს, როგორიცაა, მაგალითად, პენსიონერთა ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, პენსიონერთა შემოსავალი, მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების დონე... 150 ქვეყნისგან შემდგარ რეიტინგში საქართველო 89-ე ადგილზე გავიდა, რაც მსოფლიოში კი არა, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ერთ-ერთი ყველაზე უარესი შედეგია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველო მხოლოდ აზერბაიჯანს (90-ე ადგილი), უზბეკეთს (105-ე ადგილი), ტაჯიკეთს (117 ადგილი) და თურქმენეთს (142 ადგილი) უსწრებს. პენსიონერთა კეთილდღეობის რეიტინგში რუსეთი 70-ე ადგილზეა, უკრაინა – 72-ზე, სომხეთი – 80-ზე, ყირგიზეთი – 78-ზე, მოლდოვა – 76-ზე, ყაზახეთი – 66-ზე, ლიტვა – 38-ზე, ბელორუსი – 47-ზე, ლატვია – 65-ზე, ესტონეთი კი – 43-ზე. რეიტინგს ნორვეგია ლიდერობს, რომელსაც შვეიცარია და ლუქსემბურგი მოსდევს. ყველაზე უბედური პენსიონერები კი, თურმე ზიმბაბვეში ცხოვრობენ. აქვე, შეგახსენებთ, რომ საქართველოში პენსიის საშუალო ოდენობა 110 ლარს შეადგენს...

ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი: — შევარდნაძემ, თავის დროზე, ის გააკეთა, რაც ქვეყნის მმართველებს არც მანამდე გაუკეთებიათ და არც მას შემდეგ: ბანკში არსებული ანაბრები თავის მომხრეებს მიათვისებინა, ანუ ეს ფული ხალხს რეალურად მოპარეს. მიუხედავად ამისა, დღეს შევარდნაძე კრწანისშია მოკალათებული, მედიას ინტერვიუებს აძლევს და ბრძნულ სიტყვებს ისვრის. ისიც შევარდნაძის ერთ-ერთი მთავარი დანაშაულია, რომ პენსიონერები და, საერთოდ, სოციალური საკითხები ფეხებზე დაიკიდა...

შემდეგ, ხელისუფლებაში, სააკაშვილის მეთაურობით, შევარდნაძის მიერ გამოზრდილი ყმაწვილები მოვიდნენ, რომლებიც ამბობდნენ, ორმოცი წლის ხეც არ გვინდაო და ხალხი სამსახურებიდან, ხელის ერთი მოსმით, გაყარეს. არადა, 40 წელი ხანდაზმულ ასაკად ნამდვილად არ ითვლება. წარმოიდგინეთ, როცა 40 წლის ადამიანს ასე ექცეოდნენ, პენსიონერებისადმი რა დამოკიდებულება ექნებოდათ?

სხვათა შორის, პენსიონერების მიმართ დღესაც აგდებული დამოკიდებულებაა, რაზეც მიზერული პენსიაც მეტყველებს — 110 თუ 125 ლარი სასაცილოა, რადგან ამ თანხით ვერც კომუნალურ გადასახადს გადაიხდი და ვერც — საჭმელს იყიდი. სხვათა შორის, ვიცნობ პენსიონერებს, რომლებიც ვერც გაზს იყენებენ და ვერც ელექტროენერგიას.

მოკლედ, ყველაფერ ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ წინა ხელისუფლებას პენსიონერები არ აღელვებდა, მეტიც, ყველაფერს აკეთებდა, ეს ხალხი იმქვეყნად რომ გაესტუმრებინა.

ივანიშვილის მთავრობა მომართულია, ეს სოციალური საკითხები მოაგვაროს. მოგეხსენებათ, რა ღირს წამლები, ექიმთან ვიზიტს რამდენი უნდა და ა.შ. ეს ე.წ. სახელმწიფო დაზღვევა კი, რეალურად, არაფრისმომცემია — ვიდრე დაზღვევისთვის საჭირო საბუთებს მოაგროვებს, პენსიონერმა ამ სირბილში შეიძლება, სული დალიოს.

ასე რომ, ყველა შეფასებით, საქართველო გაცილებით მძიმედ გამოიყურება, ვიდრე ჩვენი უშუალო მეზობლები. სხვა თუ არაფერი, სომხეთსა და აზერბაიჯანში პენსია გაცილებით მაღალია. აღარაფერს ვამბობ ბელორუსსა და სხვა ქვეყნებზე.

როცა ახალმოსული ხელისუფლება თავს პრემიებს უწერს და ამ დროს, ჩინოვნიკთა ხელფასი 6300 ლარია, ეს ნიშნავს, რომ საქმე მთლად დალაგებულად ვერაა. არ ვამბობ, რომ მინისტრს მაღალი ხელფასი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაღალიც არის და მაღალიც. ხელისუფლებას პენსიონერთა მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილი რომ ჰქონდეს, საამისოდ, ალბათ, თანხებიც გამოიძებნება. ელემენტარულად, უცხოეთში ამდენი ვიზიტი აუცილებელი არაა. ეს ყველა სამინისტროს ეხება, განსაკუთრებით კი, საგარეო უწყებას. არ შეიძლება, სამინისტროს თანამშრომლები უცხოეთში უაზროდ დახეტიალობდნენ.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გერმანიის ბუნდესტაგში სტაჟირებაზე ვიმყოფებოდი და დეტალურად გავეცანი, ფულს რაში ხარჯავენ. გერმანიის პარლამენტის სამივლინებო ხარჯები ჩვენსაზე გაცილებით ნაკლებია — იქაური პარლამენტის წევრს უცხოეთში გამგზავრების ხარჯი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ ეძლევა...

საქართველოში კი, ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატურად უცხოეთში დადიან — იმ სადილსა თუ ვახშამზე, სადაც დანა-ჩანგალი გაიჩხაკუნებს, აუცილებლად უნდა იყვნენ, რაც, ელემენტარულად, პროვინციალიზმი და სახელმწიფოს ხარჯზე „გულაობაა“. კეთილი ინებონ, სიამოვნება მოიკლონ და ეს თანხა პენსიონერებსა და სოციალურად შეჭირვებულებს დაუმატონ. ავიღოთ, თუნდაც დღევანდელი ე.წ. ოპოზიციონერი გიორგი ბარამიძე, რომელიც, წლების განმავლობაში, პრაქტიკულად, უცხოეთში ცხოვრობდა — როცა სახელმწიფო მინისტრი იყო, თბილისში ორი დღით ჩამოვიდოდა, მერე, დაკრავდა ფეხს და ხან ბრიუსელში მიდიოდა, ხან სად.

ახლა ახალი რამ გამოიგონეს — იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ სცნონ, თვითონ უნდა ჩავიდნენ სხვადასხვა ქვეყანაში და იქაური ხელისუფლება როგორმე მოხიბლონ. ამით, ცხადია, პრობლემას ვერ მოაგვარებენ, სამაგიეროდ, შესანიშნავად მოაგვარებენ საკუთარი „სიამოვნების საკითხს“. ეს თანხები სოციალური პრობლემების მოგვარებაზე უნდა იყოს მიმართული. თანხების გამოთავისუფლება ბევრი სხვა მიმართულებითაც შეიძლება.

სხვათა შორის, საჭირო არაა, პატარა საქართველოს საელჩო სამოცზე მეტ ქვეყანაში ჰქონდეს. ვის სჭირდება ეს საელჩოები და რას აკეთებენ? — დიპლომატიაში საკმაოდ გათვითცნობიერებული ვარ და, თითო-ოროლა საელჩოს გამოკლებით, ერთიც არაა დატვირთული. არადა, პატარა საელჩოში ხუთი-ექვსი დიპლომატი მაინც მუშაობს, პლუს, ტექნიკური პერსონალი. ელჩის ხელფასი 5 ათასი დოლარია. დანარჩენებსაც მაღალი ხელფასი აქვთ. რა კავშირი აქვს საქართველოს ბრაზილიასთან, მექსიკასთან, კანადასთან, თუნდაც იაპონიასთან? — არავითარი. მე, როგორც ყოფილი დიპლომატი და ამ სფეროში მრავალი წლის განმავლობაში ნამუშევარი ადამიანი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არ შეიძლება, საქართველოს ამდენ ქვეყანაში საელჩო ჰქონდეს! ეს საელჩოები იმისთვის იყო გახსნილი, რომ სააკაშვილს დახვედროდნენ და მისი ჩემოდნები ეთრიათ. ამ თანხებით კი შეიძლებოდა, სოციალური საკითხების ღირსეული გადაწყვეტის პროცესი დაწყებულიყო.

ნათია ვასაძე
555-98-61-65

ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთაგან ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოყვანაში, თამამად შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი წვლილი კინორეჟისორ ქეთი დოლიძეს მიუძღვის. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რეჟისორს ხან კულტურის მინისტრის მოადგილედ, ხან კი კინოცენტრის დირექტორად მოიაზრებდნენ, თუმცა ეს ვერსიები არ გამართლდა — პოლიტიკურად აქტიურ ქალბატონს მხოლოდ თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაბრუნება და სააკაშვილის რეჟიმის დროს დახურული ფესტივალის აღდგენა ხვდა წილად. კმაყოფილია თუ არა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებით? — „ვერსია“ ქეთი დოლიძეს ესაუბრა.

ქეთი დოლიძეს კულტურის სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები არ მოსწონს

ვინ აფინანსებს ფესტივალ „საჩუქარს“ და ვის დასჯას ითხოვს რეჟისორი

— პარლამენტში გამართული კენჭისყრითაც კარგად დავინახეთ, რომ პრემიერ-მინისტრი პროცესებს წყნარად და გეგმაზომიერად მიჰყვება — ეს კენჭისყრა ივანიშვილის კიდევ ერთი ჭკვიანური სვლა და ნაციონალების დასასრულის დასაწყისი იყო. სააკაშვილი ლიდერი ვეღარასოდეს იქნება! სააკაშვილმა, რომელსაც ვერც კარალეთში ქვების სროლამ უშველა და ვერც — რეგიონებში ხალხის დაშინებამ, არჩევნების წაგებისთანავე განაცხადა, ბრძოლას ვიწყებთო, მაგრამ ვისთან იწყებს ბრძოლას? — ხალხის იმ უზარმაზარ რაოდენობასთან, რომელმაც ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა? ეს კაცი უდიდესი პროვოკატორია.

— შეიძლება, მაგრამ უცხოური ორგანიზაციები ახალ ხელისუფლებას კრიტიკას არ აკლებენ და ნაციონალებს მხარს ღიად უჭერენ...

— სპექტაკლში — „ვაი ჭკუსაგან“ ერთი გენიალური ფრაზაა: „что скажет княжна Марья Алексеевна?“ რა მნიშვნელობა აქვს, ეს მარია ალექსეევნა სენატში მეჯდება, ევროპარლამენტში თუ მოსკოვში?! ჩვენთვის დემოკრატიის სწავლებას, ურჩევნიათ, არაბეთსა და ერაყში დახოცილ ასიათასობით ადამიანს მიხედონ. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, კოალიციური ჯარები დაადღეგენენ ავღანეთს თუ რუსები?! ისე, „ამერიკანიზაცია“ თქვენ მოსკოვში უნდა ნახოთ, ასეთი ჩვენ არც დაგვესიზმრება.

— კულტურის სფეროში არჩევნების შემდეგ განხორციელებული ცვლილებები მოგწონთ?

— კულტურის სამინისტრო თავიდან იდგამს ფეხს და იმედია, ის უბედურება, რაც აქამდე იყო — ბაგრატი, რიყე და წინა ხელისუფლების ფავორიტიზმი, გამოსწორდება. ძალიან მიყვარს ნანა ჯანელიძე, მაგრამ არ დავმალავ, რომ ამ თანამდებობაზე გაგა ჩხეიძის კანდიდატურას ვუჭერდი მხარს. საერთოდ, მგონია, რომ აქტიური შემოქმედები ასეთ თანამდებობებზე არ უნდა ინიშნებოდნენ. გაგა ჩხეიძეს, მართლაც, დიდი წვლილი მიუძღვის კინოცენტრისა თუ კინოფონდის სტრუქტურის გამართვაში, უზარმაზარი კავშირები აქვს საზღვარგარეთაც, ბრწყინვალედ ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე... გარდა ამისა, გაგას მასწავლებლები ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალ „ფორუმის“ დამაარსებლები — ერიკა და ულრიხ გრეგორები იყვნენ. მიმაჩნია, რომ დღეს ქართულ კინოს სწორედ გაგა ჩხეიძისნაირი მენეჯერები სჭირდება. ვინ ებრძვის ამ ადამიანს, დღემდე არ ვიცი! ჯერ კინოცენტრიდან გაუშვეს, შემდეგ რურუამ გაუშვა კინოფონდიდან... შეხედეთ, როგორი კინოფესტივალი ააწყო!

— ბოლო დროს, ხშირად მოგიაზრებდნენ ამა თუ იმ თანამდებობაზე, თუმცა ჭორები არ გამართლდა. შემოთავაზება არ ყოფილა თუ არ დათანხმდით?

— ყველაფერი ჭორია. მხოლოდ თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დავბრუნდი. ოფიციალურ პირებს ყოველთვის კატეგორიულად ვეუბნებოდი, პოლიტიკურ თანამდებობაზე არასოდეს მომიაზროთ-მეთქი. რად მინდა დილიდან საღამომდე კაბინეტში ჯდომა, თუ სპექტაკლი ვერ დავდგი ან ფილმი ვერ გადავიღე?

— ფილმის გადაღებას აპირებთ?

— 1993 წლიდან ველოდები, როდის მომეცემა ამის შესაძლებლობა, თუმცა ბოლო დროს კინოცენტრში აღარ შემიტანია პროექტი. ვიცოდი, მაინც არ დამიფინანსებდნენ.

— ახლა, ამ მხრივ, მდგომარეობა როგორაა? — ისევ შერჩევით ხდება პროექტების დაფინანსება და თანამდებობებზე დანიშვნა?

— რა გითხრათ?! ნათესაობა არაფერ შუაშია, მაგრამ კინოფონდში, 15 წუთში ჩემი კოლეგით ჩამანაცვლეს და ეს კოლეგა, რომელმაც მაშინ კინოსტუდიის ძველი ტერიტორიის უკანონოდ გასხვისებას ხელი მოაწერა, დღემდე თანამდებობაზეა. ისიც არ მომწონს, რომ მრჩეველთა საბჭო ისევ რეჟისორებითაა დაკომპლექტებული, ჩემი ადგილი კი არც ერთ საბჭოში არ მოინახა. მრჩეველთა საბჭოში ჩემი ყოფნა, თურმე იმ მიზეზით არ შეიძლება, რომ ფესტივალს ნაწილობრივ, კულტურის სამინისტრო მიფინანსებს. ის რეჟისორები, რომლებიც ამ საბჭოში შევიდნენ, არ აპირებენ კინოს გადაღებას თუ პენსიაზე გავიდნენ? ეს რა ლოგიკაა, ვერ ვხვდები.

— რაკიღა ფესტივალი ახსენეთ, რა წარმოდგენები გაიმართება წელს ფესტივალ „საჩუქრის“ ფარგლებში?

— ფესტივალი 13 აპრილს, პიტერ ბრუკის სპექტაკლით — „კოსტიუმი“ გაიხსნება, რომელსაც მოჰყვება „ტრილოგია კუნძულზე“ — „ქარიშხალი“, „ოდისეა“, „მონათა კუნძული“. ამ სპექტაკლს ირინა ბრუკის „ოცნების თეატრი“ წარმოადგენს. ფესტივალში მონაწილეობას, ასევე მიიღებს თეატრალური კომპანია WHS-ის თანამედროვე ცირკი — ვიზუალური თეატრი სპექტაკლებით: „ბრმა სიჩქარე“ და „მოსაცდელი ოთახი“. იტალიური ქუჩის თეატრი — სპექტაკლით „მასკარადი“. დიმიტრი კრიმოვის თეატრალური ლაბორატორია ოთხი სპექტაკლით — „ოპუსი 07“, „ჟირაფის სიკვდილი“, „ბუნინის მოთხრობები“ და „ზაფხულის ღამის სიზმარი“. ახალი პოლონური თეატრი, პანივეჟისის მილტინისის სახელმწიფო თეატრი, მუსიკალური კოლექტივი „დობრეკ ბისტრო“. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება სემინარები, გამოფენები, ფილმების ჩვენება. „საჩუქარმა“ წელს ნაწილობრივი დაფინანსება მიიღო, თუმცა, უკმაყოფილო ვარ, რომ კულტურის სამინისტრომ ეკა მაზმიშვილსაც იმდენივე თანხით დაუფინანსა თეატრალური ფესტივალი, რამდენითაც — მე. როცა ფესტივალს, რომელსაც ისედაც ამხელა ფული აქვს მიღებული უგულავასგან, 100 ათასი ლარით აფინანსებენ, მაშინ ფესტივალი „საჩუქარი“ ორჯერ მეტად უნდა დააფინანსონ, რადგან ჩემს ფესტივალს ძალების აღსადგენად ბევრად მეტი სჭირდება.

— თავის დროზე, ფესტივალი თქვენი პოლიტიკური აქტიურობის გამო „გაქრა“?

— ფესტივალი „საჩუქარი“ რომ გააუქმეს, საერთაშორისო დირექტორატისა და 10-15 კაცის გარდა, ხმა არავის ამოუღია. ეკა მაზმიშვილმა კი მოკიდა ხელი ოდესღაც ლევან ხეთაგურის ჩამოყვანილ ვინმე როჯერ მაკკეინს, რომელიც, ჩემი აზრით, ექსპერტი არაა და კარგი ფული გააკეთებინა. მილიონზე მეტი იხარჯება მის ფესტივალზე და ვის ვუთხრა, საქართველოს ისე უჭირს, როგორც 90-იანებში უჭირდა და ჩემთან უფასოდ ჩამოდით-მეთქი? ასე რომ, პირველი, რაც ეკა მაზმიშვილმა გააკეთა, „საჩუქრის“ ცნება მოსპო.

— მაზმიშვილი აცხადებდა, ქეთი დოლიძეს ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელობა შევთავაზეო...

— ტყუის! მსგავსი რამ მხოლოდ მას შემდეგ მითხრა, რაც მის კაბინეტში შევედი და ვუთხარი, როგორ არ გრცხვენია, ლამის ჩემს ოჯახში გაზრდილმა ადამიანმა, ეს როგორ იკადრე-მეთქი. ან რა მიჭირდა საიმისო, რომ უგულავას ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ვყოფილიყავი? უგულავამ ისიც თქვა, ჩვენი ფესტივალი თბილისობას დავამთხვიეთო. არადა, ჩემგან დროც კი მოიპარეს. თუ ამნეზია აწუხებთ, შეუძლიათ, ნახონ ზაალ კაკაბაძის ფილმი, სადაც კარგად ჩანს, როგორ უშვებს ოთარ მეღვინეთუხუცესი ჩვენი ფესტივალის ალამს თბილისობის დღესასწაულზე — 1989 წლიდან ემთხვევა ფესტივალის დახურვა თბილისობას. ისიც კი მაკადრეს, ქეთი დოლიძის ფესტივალი კერძოაო. არადა, თავის დროზე, მე და საერთაშორისო დირექტორატმა დავარწმუნეთ შევარდნაძე ამ ფესტივალის აუცილებლობაში. მაშინ „საჩუქარს“ საერთაშორისო პრესაც გამოეხმაურა: „ფაინენშელ თაიმსი“, „გარდიანი“, „სკოტსმენი“, „სკოტსმენ-სანდეი“, „ივნინგ სტანდარტი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „ნიუ იორკ თაიმსი“. საერთოდ, ამ ფესტივალმა საქართველოს უზარმაზარი საერთაშორისო დივიდენდი მოუტანა.

— თუმცა უარყოფითი შეფასებებიც იყო...

— იმხანად, გაზეთი „პოსტ სკრიპტუმი“ გამოვეცი, რომელშიც ფესტივალზე თითქმის ყველაფერია დაბეჭდილი, პირველი ნაწილი დაარსებას ეძღვნება, მეორეს კი ასე ჰქვია — „ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა“. სწორედ მეორე ნაწილში მოხვდა თეატრმცოდნე ნათელა არველაძის შეფასება ჩემი ფესტივალის შესახებ. ავდექი და მისი სტატია თავდაყირა დავბეჭდე. ასე თავდაყირა იქნება ჩემი მასთან ურთიერთობაც. მანვე დაწერა ყოვლად უმსგავსო წიგნი მიხეილ თუმანიშვილზე და რადგან ამ წიგნის პრეზენტაცია თუმანიშვილის თეატრში არ დავუშვი, რუსთაველის თეატრში გამართა. ამ წიგნის ორი გვერდი მხოლოდ იმას ეძღვნება, როგორ ვერ ეგუებოდა, თურმე ჩემი ცხოვრების სტილს ბატონი მიშა. თქვენ რომ ნახოთ ის წარწერები, რომლებიც ბატონ მიშას ჩემთვის გაუკეთებია, მიხვდებით, რას კადრულობს ეს ქალბატონი, მაგრამ ჩემი კოლეგები ამაზეც გაჩუმდნენ. მახსოვს, ჩემს დასაცავად ხმა მხოლოდ თემურ ჩხეიძემ და ავთო ვარსიმაშვილმა ამოიღეს. გადაწყვეტილი მაქვს, ეს გაზეთი ხელახლა გამოვცე და ფესტივალის გახსნის დღეს აბსოლუტურად ყველა სტუმარს დავურიგო იმის საჩვენებლად, რომ ჩემს ფესტივალს ამდენი ბოროტი ხელი და თვალი ებრძოდა, მაგრამ მაინც ამდენი კეთილი სიტყვა დაიმსახურა!

— რა ხდება მამათქვენის მემორიალურ ბინასთან დაკავშირებით და დღეს თუ გაქვთ სამართლიანი სასამართლოს იმედი?

— ეს ბინა ისევ ჰაერშია — სასამართლო პროცესებს ბოლო აღარ უჩანს. კიდევ კარგი, რომ ყადაღა მოხსნეს. მაინტერესებს, რა განაჩენს გამოუტანს გამოძიება და პროკურატურა ამ თაღლით ქალს, იამზე დვალს, პროვოკატორ მევახშეს. ყველაფერი უნდა შერჩეს? მარტო ყადაღის მოხსნა არ მაკმაყოფილებს — ეს ქალი უნდა დაისაჯოს და ის ფულიც დააბრუნოს, რომელიც წამართვა. ბინის საქმეზე კი... ორი დღის წინ ჩემთან გია კრიალაშვილის და მოვიდა, რომელიც იცით, ქუჩაში ვინ დატოვა? — სწორედ იმ გია ბუაძემ, რომელმაც მე გამაუბედურა და რომელიც, თურმე სააკაშვილის ძმის მეგობარია. ამ ადამიანს 70-მდე ოჯახი ჰყოლია ასე გაუბედურებული.

რაც შეეხება სასამართლოს, ამ სისტემაში ჯერ კიდევ ბევრია შესაცვლელი, თუმცა მჯერა, როგორც კენჭისყრაზე ააწევინა ივანიშვილმა ხელი ნაციონალებს, ზოგიერთი მოსამართლეც ისე ასწევს ხელს და მოუსავლეთში წავა!

ვერსიანიუსი

სომხეთში რუსეთის ელჩად საქართველოდან შპიონაჟისთვის გაძევებული პირი დაინიშნა

სომხეთში რუსეთის ელჩად 2007 წელს საქართველოდან რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის გაძევებული ივან ვოლინკინი დაინიშნა.

უცხო ქვეყნებში ელჩების დანიშვნის შესახებ ბრძანებას სახელმწიფოს მეთაური აწერს ხელს. შესაბამისად, ვოლინკინის ელჩად დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა მიიღო.

ივან ვოლინკინი ერთ-ერთია იმ სამი რუსი დიპლომატიდან, რომელიც ქართულმა მხარემ არასასურველ პერსონად გამოაცხადა და 2007 წლის ნოემბერში საქართველოდან გააძევა.

ივან ვოლინკინი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საქართველოში რუსეთის ფედერაციის დესპანის მოვალეობასაც ასრულებდა. 2007 წლის ნოემბერში ქართულმა ტელევიზიებმა შსს-ს ოპერატიული ვიდეომასალა გაავრცელეს, სადაც აღბეჭდილი იყო ივან ვოლინკინის სტუმრობა და საუბარი იმდროინდელი გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ წარმომადგენელ კონსტანტინე გამსახურდიასთან.

ვოლინკინის ელჩად დანიშვნას ერევანსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში დიდი რეზონანსი მოჰყვა — სომეხი ინტერნეტ-მომხმარებლები რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ.

„ნიუსპოსტი“



„ქართველ ერს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს — ეს არის თვითონ ქართველი ერი!“

„პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართსა ხნავს“
(ილია ჭავჭავაძე. თბილისი, 1952ნ. ტ-3. — 500 გვ)

წინამდებარე პუბლიკაცია არ წარმოადგენს რაიმე რეკომენდაციას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხზე. ეს არის აღმოსავლეთმცოდნის ზოგიერთი მოსაზრება და მცირე ინფორმაცია დღევანდელი მსოფლიო ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოზე, რომელთანაც, ვფიქრობ, სისხლხორცეულადაა დაკავშირებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გადაწყვეტის საკითხები ანუ რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების საქართველოსთვის დაბრუნება.

ნიკოლოზ კენჭოშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ინდოლოგი
აკად. გიორგი წერეთლის სახელოვნის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი,
საქართველოში ინდოეთის საელჩოს
საპატიო სიგელის მფლობელი

გაგრძელება, დასაწყისი იხ. წინა ნომერში

აშშ-ს მიზანია, საქართველო ავღანეთშიც რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს, ევროპისათვის კი მნიშვნელოვანია — რუსეთის, როგორც „ბუფერული ზონის“ შენარჩუნება მასსა და ორმილიარდიან ჩინეთს შორის და, შესაბამისად, მისთვის გაცილებით სასურველია ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობა და ჩინეთ-ინდოეთის მიერ გადადგმული პოლიტიკურ-სტრატეგიული ნაბიჯების კონტროლი, ვიდრე აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონიისათვის მხარდაჭერა, რისთვისაც ზ. ბრჟეზინსკი ევროკავშირს აშშ-ს არც თუ სანდო პარტნიორად აცხადებს. ეს ყოველივე ერთად კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ აშშ, თავისი საგარეო კურსის ინოვაციის მიზნით, რუსეთის წინააღმდეგ, იაპონიის გარდა, სავარაუდოდ, აღმოსავლეთში, ჩინეთის სახით, ახალ სტრატეგიულ პოლიტიკურ პარტნიორს ეძებს.

ამაზე უნდა მეტყველებდეს კვლავ ზ. ბრჟეზინსკის 2012 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის შესავლის ბოლო წინადადება: „ამ წიგნის მიზანია, ასახოს (აშშ-ს) მყარი სტრატეგიული ხედვა 2025 წლამდე და უფრო იქეთ“. ამავე კვლევის ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება – „საკუთარი თავის მოტყუების გარეშე“ (Biond Self-delusion) ვკითხულობთ: **„ალტერნატიულად, ჩინეთი ხშირად განიხილება, როგორც მომავალი ტალღა, თუმცა მისი ჯერ არსებული სოციალური რეტარდაცია (შენელება) და პოლიტიკური ავტორიტარიზმი, საფუძველს არ იძლევა, იგი განვიხილოთ, როგორც ამერიკის კონკურენტი, და არც მოდელი უფრო აყვავებული, უფრო თანამედროვე და უფრო დემოკრატიულად მართული ქვეყნებისათვის, მაგრამ თუ ჩინეთი გააგრძელებს თავის საერთო ტრაექტორიას და თავიდან აიცილებს დიდ ეკონომიკურ ან სოციალურ რღვევას, შესაძლოა, იგი გახდეს კიდეც ამერიკის ძირითადი კონკურენტი გლობალურ პოლიტიკაზე ზემოქმედების სფეროში, თვით ეკონომიკური და სამხედრო პოტენციის თვალსაზრისითაც“.** ავტორი ასკვნის, რომ **„დედამიწაზე გლობალური ბატონობის“ კრიზი წარმოადგენს კულმინაციურ შედეგს — მსოფლიო პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრის დინამიური ძვრისა – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ“** და დასძენს: **„შეიძლება, განვითარებადი დემოკრატიული ინდოეთი გამხდარიყო ჩინეთის უფრო რელევანტური კონკურენტი, მაგრამ იმ პირობებში, როცა მას უწევს ისეთი ძირითადი სოციალური სიძნელეების დაძლევა, როგორიცაა წერა-კითხვის მასიური უცოდინრობა, შიმშილი, სიღატაკე, ინფრასტრუქტურული კორუფცია, ამიტომაც ინდოეთი, ამ მხრივ, ჯერ-ჯერობით, ვერ არის ჩინეთის კონკურენტი“.**

ყოველივე აქედან გამომდინარე, შექმნილი საყოველთაო მძიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო, ცხადია, კიდევ უფრო ამძაფრებს მსოფლიოს ძლიერ წამყვან სახელმწიფოთა ბრძოლას, ახალი ენერგეტიკული რესურსებისა და გეოპოლიტიკური გავლენების მოპოვებისთვის, რამაც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, თავისი საბოლოო ასახვა ჰპოვა პოლიტოლოგიურ ტერმინში — „გლობალიზაცია“, რომლის იდეების ერთგვარი მინიშნებები გამოიკვეთა ზ. ბრჟეზინსკის ჯერ კიდევ 1970 წელს გამოცემულ ნაშრომში „ორ ხანას შორის ანუ ამერიკის როლი ტექნოტრონულ ეპოქაში“, ხოლო 2004 წელს მან ნაშრომში „არჩევანი: მსოფლიოზე ბატონობა, ანუ გლობალური ლიდერობა“, უკვე ღიად განაცხადა: **„ცუდია თუ კარგი, საბოლოოდ, დღეს მაინც ამერიკა განსაზღვრავს, თუ საით უნდა წავიდეს კაცობრიობა და ამაში მას კონკურენტი არ უჩანს“**, თუმცა ავტორის ასეთი პათეტიკური ამბიციური განცხადება ევროპის, თუნდაც ქართული დიპლომატიისთვის, უთუოდ არ გახდება პანაცეა. მით უმეტეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავის უახლეს ნაშრომში ზ. ბრჟეზინსკი საუბრობს ევროკავშირზე, როგორც ამერიკის არც თუ სანდო პოლიტიკურ პარტნიორზე, ამ დროს საქართველო მიილტვის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ანუ ევროპისაკენ, რომელიც ცდილობს და მუდამ ეცდება ჩინეთის შესაკავებლად შეინარჩუნოს „ცოცხალი“ რუსეთი.

ამავე ნაშრომში, ზ. ბრჟეზინსკი ავლენს რა ფორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულებას, ამერიკის ფინანსურ ვალებში ჩავარდნილ საქართველოს მიზანდასახულად ისევ რუსეთის „ბუათი“ აშინებს ან გვაფრთხილებს: **„ამერიკაზე უარის თქმით საქართველო აღმოჩნდება რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო აგრესიის საფრთხის წინაშე. აშშ კვლავაც მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და იწონებს საქართველოს სწრაფვას, გახდეს ნატოს წევრი. აშშ-მ 1991 წლიდან მოყოლებული საქართველოს დახმარების სახით უკვე გამოუყო 3 მილიარდი (აშშ) დოლარი, ხოლო 1 მილიარდი (აშშ) მას გადაეცა 2008 წლის ომის შედეგად მიღებული ზარალის საზღაურად“.** და იქვე დასძენს, რომ **„აშშ არ სცნობს გავლენის სფეროებს“**, რაც ნაკლებდამჯერებელია, რამეთუ აშშ-ს (ისევე, როგორც რუსეთისა და სხვა დიდი ქვეყნების) საგარეო პოლიტიკა მთლიანად გავლენის სფეროების მოპოვების ჭიდილია.

ჟამთა სვლამაც ცხადყო, რომ თანამედროვე, 21-ე საუკუნის პოლიტიკის ყველაზე ძლიერი, გნებავთ, საერთაშორისო სამანიპულაციო (თუ სასპეკულაციო) სიტყვა „დემოკრატია“ (ლიბერალიზმიც) – დაემსგავსა „სამოსელს“, რომელსაც მსოფლიოს თითოეული ქვეყნის ერთგული, ბრძენი მეთაური, დიპლომატი თუ პოლიტიკოსი ცდილობს, უწინარესად, საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს მოარგოს. „დემოკრატიზმითა და ადამიანთა უფლებების დაცვით“ ერთგვარი მანიპულირების მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ როდესაც აშშ-ს ექსპრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ეკონომიკურმა მრჩეველმა და მისი ადმინისტრაციის უშიშრობის თანამშრომელმა ჯონ პერკინსმა (რომელიც აღმოსავლეთის სხვადასხვა, საქართველოს მსგავს, განვითარებად ქვეყანაში აშშ-ს გავლენის მოსაპოვებლად, საერთაშორისო სესხების გამცემი ბანკების დახმარებით, ახორციელებდა ისეთ საკონსულტაციო ეკონომიკურ გეგმებს, რომლებიც, სინამდვილეში, ამ ქვეყნების განვითარების ნაცვლად, მათ ეკონომიკურ ნგრევასა და დაკაბალებას იწვევდა) გადაწყვიტა ცოდვების მონანიების ნიშნად დაეწერა წიგნი „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“, ბუშის ადმინისტრაციის უშიშრობა ჯონ პერკინსს ქალიშვილის — ჯესიკას მოკვლით დაემუქრა, მაგრამ რაკი ჯონ პერკინსში კეთილსინდისიერმა ამერიკელმა „გაიღვიძა“, მაინც დაწერა ეს — შემდგომ ბესტსელერადქცეული წიგნი, რაც ზემოხსენებულ მსგავს მაგალითებთან ერთად, კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ მსოფლიოში გამეფებული დღევანდელი „დემოკრატიზმი“ „ორსახოვანია“, რომლითაც პოლიტიკოსები საჭიროების შესაბამისად მანიპულირებენ. გავიხსენოთ ასევე, 2007 წლის 7 ნოემბერი და 26 მაისი, როცა საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს სისხლიანი გენოციდი მოუწყო, მაშინ საქართველოში ფუფუნებაში მცხოვრები უცხო ქვეყნის დიპკორპუსის ზოგიერთი წარმომადგენელი მხოლოდ ზოგადი იურიდიულ-დიპლომატიური განცხადებით შემოიფარგლა და მინიშნებაც კი არ გაუკეთებია, რომ ეს აქციები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საკუთარ ხალხზე იშვიათი ძალადობისა და ანტიდემოკრატიულობის გამოვლინება იყო.

ყოველივე ამ ხელისშემშლელი ფაქტორების გარდა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საბოლოო გადაწყვეტის გზაზე, უთუოდ, არანაკლებ ღრმად გასააზრებელია ევროატლანტიკის ქვეყნების მსოფლიო გლობალისტური პოლიტიკური ცხოვრების ორსახოვნება. მის პირველ, შედარებით ჯანსაღ სახეს წარმოადგენს ის, რასაც მსოფლიოს თითოეული ქვეყნის ეროვნული მედია საზოგადოებას ყოველდღიურად აწვდის მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, მაგრამ არანაკლებ ყურადსაღებია (თუ არა საშიში) მეორე „გლობალიზაციის პოლიტიკური სახე“ — ე.წ. ნახევრადღია, რეალურად კი გასაიდუმლოებული „პოლიტიკური დაჯგუფების“ ე.წ. მასონური ორგანიზაციები, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან „გლობალისტების“ არაალტრუისტული ჯგუფი ადამიანებისა (შესაძლოა, გარკვეული ფსიქიკური მიდრეკილებისაც) „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ ანუ მსოფლიოს უძლიერესი ეკონომიკური, პოლიტიკური და მედიამაგნატების წარმომადგენლები. ამგვარ ორგანიზაციებში, რომელთა ლიდერად, როგორც ცნობილია, დღეს აღიარებულია ე.წ. ბილდერბერგის კლუბი — დაარსებული 1954 წელს, ნიდერლანდების პატარა ქალაქ ოსტერბიკის ფეშენებელურ სასტუმრო „ბილდერბერგში“, ბრიტანელი და ამერიკელი ფინანსური მაგნატების- როტშილდებისა და დევიდ როკფელერის მიერ. ეს უკანასკნელი 96 წლის ასაკშიც ჯერჯერობით, ამ ორგანიზაციის უმთავრესი კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარეა. ამ ე.წ. პოლიტიკური კლუბის მთავარი მიზანია, „გლობალიზაციის მეთოდებით“ ერთიანი „მსოფლიო მთავრობის“ შექმნა, ტრადიციულ ქვეყნებში ეროვნული იდენტობის გაქრობა, მოსახლეობის ზრდის ნულამდე დაყვანა დედამიწაზე, სადაც იცხოვრებენ მხოლოდ მდიდრები და მორჩილი ღარიბი, იოლად მანუპილირებადი მასები. რამდენადაც სადავო არ უნდა იყოს, ამგვარი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა, ფაქტია, რომ ოცდამეერთე საუკუნის „ბილდერბერგის კლუბის“ მოღვაწეობა, როგორც ძირითადი წამმართველი ე.წ. მრავალათეული წლის 300 მასონური კომიტეტისა, მაინც მსოფლიო ჟურნალისტური საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. კლუბის ნამდვილი მიზნების გამოაშკარავებას არაერთი ცნობილი კეთილსინდისიერი ამერიკელი და ევროპელი ანტიგლობალისტი ჟურნალისტი თუ პოლიტოლოგი ლამობდა. ამგვარ ჟურნალისტურ საგამომძიებლო ნაშრომებს შორის გამოირჩევა ესპანეთში მცხოვრები ყოფილი რუსი დისიდენტის დ. ესტულინის წიგნი „ბილდერბერგის კლუბის საიდუმლოებანი“ (თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე) და მისი სხვა გამოკვლევები, ასევე სხვათა შრომები. ასევე ინტერნეტით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ნახევრადღია, მაგრამ, რეალურად კონსპირაციული „ბილდერბერგის კლუბის“ წევრთა კონფერენციებს, ათეული წლების მანძილზე, ზოგჯერ სტუმრის სტატუსით, როტაციის წესით, ესწრებიან აშშ-ს, ევროპისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მრავალი პოლიტიკური ლიდერი, გავლენიანი პირები, სენატორები, კონგრესმენები, პარლამენტარები, პენტაგონისა და ნატოს გენერლები, მედიამაგნატები. ბილდერბერგის ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის ბოლო — მესამოცე თავყრილობა გაიმართა 2012 წელს (31 მაისი-3 ივნისი) აშშ-ს ვირჯინიის შტატის ქ. ჩენტილიში, სადაც მიწვეულ სტუმართა შორის გახლდათ რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს პრეზიდენტი იგორ ივანოვი და მსოფლიო გროსმაისტერი გარი კასპაროვი. ბილდერბერგის საიდუმლო ჯგუფის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ამჯერად მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებ, რამეთუ „გლობალისტთა მსოფლიოს ახალი წესრიგი“ საბოლოოდ აღარ წარმოადგენს კონსპირაციას, იგი უკვე ღია დღის წესრიგია. თვით ამერიკელი და ევროპელი ანტიგლობალისტების აზრით, „მსოფლიო ახალი მოწყობა“ დიდი ხანია მოქმედებს და თავისი პოლიტიკური მოთამაშეებით ახერხებს სხვადასხვა სფეროში, სულ უფრო მოერგოს მსოფლიოს. რაც მთავარია, დასავლელი ჟურნალისტების აზრით, „გლობალისტთა“ დღის წესრიგი წარმოადგენს დემონურ პროგრამას, რომელიც მსოფლიო პოპულაციისაგან (მოსახლეობისაგან) მოთმინებით, ნელ-ნელა წოვს მორალურ-ეთიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სისხლს. ზუსტად ისე, როგორც ადოლფ ჰიტლერი ტერორისტული, ტაქტიკური ნაბიჯებით ცდილობდა კონკურენტების დამორჩილებას.

ანტიგლობალისტი პუბლიცისტის ჯონ კოლემანის (1936-2005) თქმით, ახალგაზრდა მასების „ტვინის გამორეცხვის“ მეთოდები მუშავდება ინდივიდებისა და მასების ქცევების ბრიტანეთის ტავისტოკის ფსიქო-ანალიტიკურ ინსტიტუტში’, რომლის ბაზაზეც (1932 წელს) შეიქმნა მისი ტყუპისცალი ამერიკის ადამიანებთან ჰუმანური ურთიერთობების ინსტიტუტიც, რომელთა მოღვაწეობის გამომზეურებასაც ასევე ცდილობენ ამერიკელი და ევროპელი „კეთილსინდისიერი თავისუფალი ჟურნალისტები“ და სხვა მოღვაწეები. ასეთთა შორის გახლდათ ასევე 2012 წელს 86 წლის ასაკში გარდაცვლილი ცნობილი ამერიკელი მწერალი და პუბლიცისტიც, ავტორი წიგნისა „მითი თავისუფალი პრესის შესახებ“ (Mith About Free Press, Usa., 2002) გორი ვიდალი, რომელსაც მიაჩნდა, რომ არანაირი თავისუფალი პრესა არ არსებობს, არსებობენ კეთილსინდისიერი ანუ „ჟურნალისტური სინდისის“ მქონე ჟურნალისტები, რომელთა თავისუფლებაც დამოკიდებულია იმაზეც, ასეთივე კეთილსინდისიერნი არიან თუ არა მათი დამქირავებელნი ანუ მედიასაშუალებების მესაკუთრენი. ერთ-ერთ ამერიკულ ვებგვერდზე გ. ვიდალის ზემოაღნიშნული წიგნის მიმოხილვის ამონარიდში ვკითხულობთ: „ოქროს მედლისა და პრემიის მფლობელი რამდენიმე გაზეთის ამერიკელი რეპორტიორი გარი ვები (რომელმაც 2004 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე) წერს: „1938 წელს, როცა ფაშიზმი მძვინვარებდა ევროპაში, ლეგენდარული გამომძიებელ-რეპორტიორი ჯონ სელდისი თავის წიგნში წერდა

„პრესის ღმერთებს“ მუდამ შეუძლიათ ხალხის გაგიჟება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელისუფლება და პრესა ურთიერთთანამშრომლობს, სწორედ ამის ზღვარზე ვართ ჩვენც (აშშ)“.



ზედა საყდრის აღმოსავლეთ ფასადი და მეჭურჭლეთუხუცეს შალვას წარწერა

ქვათა მატიანე

ყოველთაგან უძლეველი შალვა

სამხრეთ ჯავახეთი

მზე ამოიწვერა, სიო მოიტანა და ტბა ააურჟოლა. მესამე ჯერია, რაც ახალქალაქიდან გამოსულები საღამოს ტბასთან ვეგებებით დილას, მაგრამ ამჯერად აქ აღარაფერი გვესაქმება — ფარავნისწყალს მაღლა უნდა შევუყვეთ და სოფელ განძანში შევიდეთ.

ჩრდილო-დასავლეთით, მთის წვერზე ბუზისხელად გამოჩნდა რაღაც ნაგებობა: ან ციხე უნდა იყოს ან ეკლესია. დურბინდს ვიმარჯვებ და ვრწმუნდები, რომ ეკლესიაა. ინფორმაციისთვის კონსპექტში ვიყურები: განძის **მესამე, მთის ეკლესია**, აგებულია იოანე მახარებლის სახელზე.

—დიახ, აქაურებიც ასე ვიცნობთ, — მემოწმება ჩვენი მეგზური სარქის ბიროიანი, — სურბ ჰოვანესია.

როგორც წესი, ლოკალურ მიდამოების გადაღებას ყოველთვის შორი პუნქტიდან ვიწყებთ და ცენტრალური გზისკენ ნელ-ნელა მოვიწევთ ხოლმე — ავდარმა უმჯობესია ქვევით, მყარ გზაზე და დასახლებულ პუნქტში მოგვისწროს, ვიდრე მთაში ან ტრიალ ადგილზე. სწორედ ამიტომ თავდაპირველად „წმინდა იოანესკენ“ მივეშურებით. ჩვენ „ნივას“, სადამდეც შეუძლია, მიბობღავს მთაზე, მერე კი ქვეითად გვიწევს სიარული. ზღვის დონიდან 2020 მეტრის სიმაღლიდან 2200 მეტრამდე ავდივართ. ეს ტაძარი ჯავახეთში ყველაზე მაღლაა.





ქვედა ეკლესიის სამხრეთ ფასადი, მანდატურთუხუცეს შალვას და მეფე გიორგი I -ის წარწერები

აქაური ძეგლების დათარიღება ოდენ მხატვრული ნიშნებით ერთობ ძნელია, რადგან საყდართა 90 პროცენტი უსამკაულოა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ჯავახი გალატოზთუხუცესი მთელ გამოცდილებასა და ძალისხმევას ქვის იდეალურ თლასა და წყობას ახმარდა და ჩუქურთმისათვის აღარ ეცალა, ამიტომ აქ იშვიათად ნახავთ უხეშად გათლილი და ირეგულარული ქვის წყობით ნაგებ ტაძარს. ეს, თავისთავად, X-XI, XII-XIII ან თუნდაც XIV საუკუნეების ტაძრებს დიდად არ განასხვავებს ერთმანეთისგან. აი, ახლაც ვდგავარ „წმინდა იოანესთან“ და მიჭირს დავემოწმო იმ დადგენილ მოსაზრებას, რომ იგი XIV საუკუნის ძეგლია. ეს თარიღი, თითქოსდა, იქიდანაა მიღებული, რომ შედარებით მცირე ზომის ტაძრისთვის დიდი კვადრებია გამოყენებული, მაგრამ მე ასეთი რამ VIII, IX და X საუკუნეების ძეგლებშიც მინახავს, როგორც ჯავახეთში, ისე ქვემო და შიდა ქართლში.

საფიქრებელია, რომ საღამოს ტბიდან ფარავნის ჩათვლით არსებული ტერიტორია ადრე ერთ მიკროქვეყანას, თემს წარმოადგენდა. ამის ვარაუდს ქმნის აქაური ტოპონიმების ერთნაირი სუფიქსი: დუმანი, განძანი, ფოკანი, ფარავანი, ასფარანი, მახარონი... ჯავახეთში ასეთი ბოლოსართიანი დასახელებები სხვაგან არ გვხვდება. არის მოსაზრება, რომ „ნი“ მრავლობითი რიცხვის ისეთივე მწარმოებელია ამ ტოპონიმებში, როგორც ეს , ვთქვათ „გარდაბანშია“ (გარე დაბანი). სხვა სოფლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ორი ფოკის და ორი განძის არსებობა იოლი შესაძლებელია, რამეთუ ორთავე სოფელი მდინარე ფარავნისწყლის ორ ნაპირზე არსებული ორი დასახლებაა. ამის დასტურია შუასაუკუნეების ის ხიდი, რომელიც ჩვენმა მანქანამ გაიარა სოფელ განძანში.

თაკარა დღეა და სოფლის შუკებში კაცის ჭაჭანება არაა. ვინ სათიბშია გასული, ვინ სახლში ემალება მზეს. მხოლოდ სოფლის წყაროსთან შეკრებილან დედაკაცები, რომელთაც ბიდონაკიდებული სახედრები წამოუსხამთ. მოსახლეობა მთლიანად სომხურია, სოფელი კი იმდენად დიდი, რომ მის საკრებულოში ფოკანიც შედის. განძანში დაიბადა XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი სომეხი პოეტი ვაჰან ტერიანი,რომლის ლექსების პირველი კრებული 1908 წელს თბილისში დაიბეჭდა.

განძანი მაშინაც დიდი ყოფილა, როცა ქართველებით იყო დასახლებული. ამის დასტურია გადმოცემა, რომლის თანახმად, აქ 7 ეკლესია მდგარა. ისტორიული საბუთი უფრო მეტს გვეუბნება — განძანს ძალიან ძლიერი ციხესიმაგრეც ჰქონია. როგორც ცნობილია, გიორგი პირველსა და ბიზანტიის კეისარ ბასილს შორის დიდი მტრობა იყო ჩამოვარდნილი. გიორგის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორი კარი არც მის შვილს, ბაგრატ IV-ს ასვენებდა. 1028 წელს ბიზანტიელებს კიდევ ერთხელ მოუოხრებიათ ჯავახეთი, მაგრამ ალყაში მოქცეული განძანის ციხისთვის ვერაფერი დაუკლიათ.

ზევით ნახსენები 7 ქართული ეკლესიიდან განძანში, მხოლოდ სამია შემორჩენილი. ერთი, რომელიც მთაზეა, უკვე ვნახეთ, ორი კი სოფლის ცენტრშია და ერთმანეთიდან 100 მეტრის დაშორებით დგას. ისინი ერთსა და იმავე ეპოქაში, მცირე ინტერვალში აუგიათ. გარდა იმისა, რომ ხუროთმოძღვრულადაც გვანან ერთმანეთს, ტაძართა წარწერებიც ერთი და იგივე ქტიტორის სახელს გვიმხელენ. **ზედა უბნის ეკლესიის** დასავლეთი ფასადი — **„ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა ძითა, ძმითა. მათითა ცოცხალთა ვაშენეთ ესე საყდარი ჩუენ ქებასა და ნიკოლას ძეთა** (აქედან გვარები ქებაძე და ნიკოლაძე, — **გ.ქ.**)“ სამხრეთ ფასადი — **„ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ძლიერი და უძლეველი ყოველთაგან მტერთაგან მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალითა ღმრთისაითა და მკლავითა თავისითა შეაძრწუნა ყოველი სოფელი სპარსეთისა“.**

ქვედა უბნის ეკლესიის სამხრეთ ფასადის სარკმელთან წერია: **„ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხოვრებათა მანდატურთუხუცესი შალვა** (მეჭურჭლეთუხუცესი შალვა მანდატურთუხუცესი გამხდარა, — **გ.ქ.**) **ძითა, ძმითა. მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმიდაი ესე საყდარი ჩუენ ნიკოლას ძეთა** (ქებას ძენი აღარ ჩანან, — **გ.ქ.**). **შალვას მონასა მანგლაფს მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო. საყდარი დედა ღმრთისაი;“** ამავე ფასადის კარის თავზე — **„ღმრთივ გვირგვინოსანი მეფობაი გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დაიფარენ დედაო ყოველთა მხსნელისაო.“**

წარწერებიდან ირკვევა, რომ პირველად ზედა უბნის ეკლესია აგებულა. ქებას და ნიკოლას ძენი გალატოზთუხუცესები (ხუროთმოძღვრები) ჩანან, მანგლაფა — მშენებლობის ზედამხედველი, ხოლო შალვა თავის ოჯახით — ქტიტორი. სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საყდრები XIV საუკუნეშია აგებული, მეფე გიორგი გიორგი ბრწყინვალეა, ხოლო შალვა — სამცხის საათაბაგო გვარის — ჯაყელების წარმომადგენელი. ნიკო ბერძენიშვილი სამართლიან შენიშვნას აკეთებს და ვარაუდობს, რომ **მეფე გიორგი ლაშა გიორგია, შალვა კი დიდად ცნობილი შალვა ახალციხელ-თორელ-სამძივარი. მეცნიერის მოსაზრება იმ ფაქტს ემყარება, რომ XIV საუკუნეშიც კი ჯაყელები იმდენად ფეხმოკიდებულები არ იყვნენ ჯავახეთში, რომ იქ, თორელების წილხვედრ მამულში, მსგავსი პომპეზურწარწერიანი ეკლესიები აეგოთ.** გარდა ამისა, XIV საუკუნეში ცნობილი არ არის არც ერთი შალვა მანდატურთუხუცესი. დიდ მეცნიერს რა ჩემი მიშველება სჭირდება, მაგრამ მაინც დავუმოწმებ: 1) ცნობილია, რომ თამარის ეპოქის შემდეგ, სახელგანთქმული კახა გამრეკელის ძე თორელის მერე ამირსპასალარობა მხარგრძელთა ხელში გადავიდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა ისიც იყო, რომ კახასა და კრავაის შვილები (კახას ცოლი რომ კრავაი ჯაყელი იყო, ეს პროფესორმა ლევან მუსხელიშვილმა გამოიკვლია), მათ შორის შალვა და ივანე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, ამიტომ, როგორც კი ასაკი მოემატა, შალვამ ჯერ მეჭურჭლეთუხუცესობა მოიპოვა (ხსენებულ პერიოდში, ჯავახეთის ერისთავთ-ერისთავობასთან ერთად, ამ სახელს კარგა ხანს სწორედ თორელ - სამძივრები ფლობდნენ), შემდეგ კი მანდატურთუხუცესობა; 2) წარწერაში შალვასთან ერთად დასახელებული არიან მისი ძე და ძმა. ძის ხსენება თუ ჩვეულებრივი ამბავია, ძმის თაობაზე ამას ვერ ვიტყვით. ძმათა ასეთი ტანდემი, ტრადიციულად, სწორედ ახალციხელი თორელებისთვის იყო დამახასიათებელი: შალვა და მისი ძმა ივანე. შალვა უფროსი ძმა და ახალციხელ-თორელთა საგვარეულოს მეთაურია. 3) „ღმრთივ გვირგვინოსანი“ მეფე გიორგი როგორც ლაშასთვის, ისე ბრწყინვალესთვის ერთნაირად მისაღები შესხმაა, რადგან ისინი ერთნაირად მოიხსენიებიან ოთხ ლაპიდარულ წარწერაში (დმანისის სიონის კარიბჭე, წუღრუღაშენის, დაბისა და სოფელ ვაკის ეკლესიები) — მეფეთ-მეფე გიორგი; 4) **ვინ უნდა ყოფილიყო ის შალვა, თუ არა ახალციხელი, რომელმაც შეძლო და „მკლავითა თავისითა შეაძრწუნა ყოველი სოფელი სპარსთა“**? „ქართლის ცხოვრებიდან“ აკი ცნობილია, რომ შალვამ ლაშას მეფობაში **„ქმნა მისათხრობელი ომი კეჩროელში“** და **„არ ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“.**

... ყოველთაგან უძლეველი შალვა და მისი ძმა!

თითქოს, ამ შეფასების დასტურად ჩაუყოლებიათ განძანის ზედა ეკლესიაში ის გიგანტური თლილი ლოდი, რომელიც სიგრძეში 3,5 მ, ხოლო სიმაღლეში 1,2 მეტრია.

ამაზე დიდი ქვა მხოლოდ ერთ ეკლესიაში გვეგულება და ჩვენც განძანის შემდეგ სწორედ მისკენ გვაქვს გეზი.

ავტორის ფოტოები

XIX საუკუნის სომხური ეკლესია

სახედრებით სოფლის წყაროზე

ჰოროსკოპი
25 მარტი

ვერძი — ვერძებს აღმაფრენა ელის, რაც პირად ცხოვრებას უკავშირდება. შესაძლოა, სწორედ ახლა შეიცვალოს მოვლენები, თანაც თქვენს სასარგებლოდ. ურთიერთობები, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დაიძვრება. არ არის გამორიცხული პერსპექტიული ახალი ნაცნობობაც.

კურო — კარგი ამბავი სასაამოვნოდ გაგაოცებთ, რომელსაც დღის დასაწყისში შეიტყობთ. ინფორმაცია, რომელსაც ნაცნობისგან შეიტყობთ, მატერიალურ სარგებელს გპირდებათ.

ტყუპები — დღეს, შესაძლოა, უკმაყოფილო დარჩეთ კოლეგების ან ნაცნობების საქციელით, მაგრამ ეს მხოლოდ დღევანდელი მოვლენების გამოძახილი იქნება. შეეცადეთ, დაფიქრებით მაუდგეთ საკითხს და არ გაიფუჭოთ ურთიერთობა გარშემომყოფებთან.

კირჩხიბი — საქმეებმა, შესაძლოა, მოვლენების მორევში ჩაგითრიოთ. მოკიწყვეთ, დიდი დრო დაუთმოთ სამსახურს, მაგრამ აუცილებლად უნდა შეისვენოთ, რაც ძალებსა და კარგ განწყობას შეგინარჩუნებთ.

ლომი — ლომები დღეს მხოლოდ იღბალს ნუ დაეურდნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდებით. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ და ენდეთ ინტუიციას. რაც მეტ ძალისხმევას გაიღებთ, ნებისმიერ საქმეში, წარმატების მით მეტი შანსი გექნებათ.

ქალწული — კარგი დღეა პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის, ბიზნესის გაძყარებისა და საჭირო ადამიანების გაცნობისთვის. წარმატებული ის საქმეები აღმოჩნდება, რაც ფინანსებსა და ოჯახს უკავშირდება, თუმცა ბევრი რამ სწორი აქცენტების გაკეთებაზე იქნება დამოკიდებული.

სასწორი — დღეს ორატორული ოსტატობის გააქტიურებას უნდა ელოდეთ. შეგიძლიათ, წარმატებით წარდგეთ აუდიტორიის წინაშე. ადამიანები ყოველ სიტყვას ყურადღებით მოისმენენ და თქვენს დასკვნებს დაეთანხმებიან. კარგი იქნება, თუ ამ შესაძლებლობას ჩინოვნიკებთან გამოიყენებთ.

ღრიანკალი — დღეს პირად საქმეებს პროფესიული ინტერესები გადაწონის. ახლა სწორედ ასე უნდა მოიქცეთ. პირადული სხვა დროისთვის გადადეთ, ახლა კი სცადეთ, დასახული საქმიანი გეგმების რეალიზება.

მშვილდოსანი — კარგი იქნება, თუ დღეს მშვილდოსნები ნათესავებსა თუ მეგობრებს მოინახულებენ. სიტუაცია თქვენგან ახლობელი ადამიანის ცხოვრებაში უშუალო ჩარევას მოითხოვს. შეეცადეთ, სხვებს გაუგოთ, ასე საკუთარ თავსაც უკეთ შეიცნობთ.

თხის რქა — ახალი ინფორმაცია, რომელსაც შუადღისკენ მიიღებთ, დაგეხმარებათ, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი. ამ ცნობას ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ, მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგეპაროთ.

მერწყული — დღეს, შესაძლოა, თქვენი „კეთილისმსურველები“ გააქტიურდნენ და შეეცადონ, ყველაფერში ხელი შეგიშალონ, თუმცა მათი მცდელობის მიუხედავად, მაინც მოახერხებთ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. მოსალოდნელია ფინანსური შემატება, რაც გაგახარებთ და ნამდვილად წაგადგებათ.

თევზები — სავსებით შესაძლებელია, თევზებმა დღეს თაყვანისმცემლისგან სიყვარულის აღიარება მოისმინონ. იყავით კეთილგონიერი, აღიარება ღირსეულად მოისმინეთ და ობიექტურად შეაფასეთ. თუკი ფიქრობთ, რომ გატეხეს ან გულაქუცებიან, მაშინვე ხელს ნუ ჰკრავთ.

სასმელი, რომელიც საჭმელს შეგვიცვლის

ამერიკელმა პროგრამისტმა, რომელსაც მობეზრდა დროისა და ენერგიის ხარჯვა, საკუთარ თავისთვის ჯერ კერძები ამზადოს, მერე კი მიირთვას, უნიკალური კოქტეილი შექმნა. სასმელი ორგანიზმისთვის ყველა აუცილებელ ნივთიერებას შეიცავს. 24 წლის რობ რაინჰარტი ატლანტაში ცხოვრობს. მისი თქმით, უკვე თვენახევარია, გამოიგონა და მირთმევს კიდეც ამ კოქტეილს, რომელსაც შესანიშნავი გემო აქვს. მან დაადგინა, რომ ადამიანს რძე კი არა, ამინომჟავები სჭირდება, პური კი არა, ნახშირწყლები, პომიდორი კი არა — ლიკოპინი. ბიოლოგიის წიგნებიდან ისიც შეიტყო, რომ ორგანიზმისთვის სულ ერთია, სტაფილოს წვენს ბოსტნეულისგან მიიღებს თუ ფხვნილით. სასმელში სამჯერ ნაკლები კალორიაა, მიუხედავად იმისა, რომ ის ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ყველა ნივთიერებას შეიცავს. კოქტეილის დამზადების იდეა ამერიკელ პროგრამისტს ოჯახის დიდი ხნის მეგობარმა მიაწოდა, რომელიც საავადმყოფოში მოხვდა და იმდენად დასუსტდა, რომ საჭმელს ვეღარ ეკარებოდა. გარდა ამისა, რობის მიზანი ფულის დაზოგვა და ჯანსაღი ცხოვრების წესიც იყო. სასმელი, რომელსაც ავტორმა Soylent უწოდა, შეიცავს ზეითუნის ზეთს, პრებიოტიკებს, ანტიოქსიდანტებს, თევზის ქონსა და ოლიგოსაქარიდებს, რომლის ასათვისებლადაც ორგანიზმს უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე შაქრისა და ფრუქტოზისთვის. კოქტეილი ამერიკელს საშუალებას აძლევს, დაზოგოს საჭმლის მომზადებისთვის განკუთვნილი რამდენიმე საათი და პროდუქტების შესაძენი რამდენიმე ასეული დოლარი. რობის თქმით, ადრე პროდუქტზე 220-250 დოლარს ხარჯავდა. კოქტეილის ინგრედიენტებზე კი თვეში სულ 50 დოლარია საჭირო. გარდა ფინანსური სარგებლისა, კოქტეილი, მისი ინგრედიენტების პროპორციების შეცვლის წყალობით, გახდომის ან გასუქების საშუალებასაც იძლევა.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



„სიყვარულის ჰორმონი" სტრესისგან გიხსნით

შვეიცარელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ეგრეთ წოდებული სიყვარულის ჰორმონი — ოქსიტოცინი, კონფლიქტის დროს სტრესის დონეს ამცირებს. გამოკვლევისას სპეციალისტებმა ადამიანის ორგანიზმზე ოქსიტოცინის გავლენა შეისწავლეს. ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ ის წყვილები, რომელთაც გამოკვლევის დროს კონფლიქტურ სიტუაციებს უქმნიდნენ. მანამდე კი წყვილები ან პლაცებოს იღებდნენ, ან იმ პრეპარატებს, რომელიც ოქსიტოცინს შეიცავდა. ექსპერიმენტისას დადგინდა, რომ ამ ნივთიერებას შეუძლია კამათის დროს ადამიანში პოზიტიური განწყობა გააძლიეროს და სტრესის დონე შეამციროს. სტრესის დონეს კი სწავლულები ჰორმონ კორტიზოლის რაოდენობის გამოთვლით ზომავდნენ, რომელსაც მონაწილეთა ნერწყვი შეიცავდა. ადრეც ცნობილი იყო, რომ ოქსიტოცინი გავლენას ახდენდა როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ფსიქო-ემოციურ სფეროზე.

წამალი ინტელექტის დასაქვეითებლად

შესანიშნავი სიახლეა იმ ადამიანებისთვის, ვინც დაიღალა გარშემომყოფების სისულელით, ბრიტანელმა სწავლულებმა შექმნეს პრეპარატი, რომელსაც შეუძლია, შეუქცევადად დასწიოს ინტელექტის დონე 10, 30 ან 50 პუნქტითაც კი. იდიოტები დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ, — ამბობს კომპანია Sleepthinker-ის წამყვანი ქიმიკოსი და ნევროლოგი, — ისინი ვერ დაჭკვიანდებიან ერთ დღეში ან მოკლე ხანში და ვერ მოიქცევიან ადეკვატურად, მაგრამ შეგიძლიათ, თქვენ შეიცვალოთ, რადგან უმცირესობაში ხართ. სულ ერთი აბი MinusIQ და ერთხელ და სამუდამოდ, შეძლებთ, საკუთარი ინტელექტი დააქვეითოთ 10, 30 ან 50 პუნქტით, იმისდა მიხედვით, რა კონცენტრაციისაა მოქმედი ნივთიერება. მისი ავტორები გვირჩევენ, ინტელექტი 70-ის დონეზე ჩამოიყვანოთ (ამ მაჩვენებლის ქვემოთ უკვე გონებრივი ჩამორჩენილობა კვალიფიცირდება). პრეპარატის მიღების შემდეგ სასურველია, დღე სახლში, ტელევიზორთან გაატაროთ ან ყვითელი პრესა იკითხოთ. ღრმა ძილის შემდეგ აღმოაჩენთ, რომ თვითშემეცნება, თავდაჯერებულობის უკმარისობა და ძველი შიში გაქრა, სამაგიეროდ, ახლა სახურავიდან გადმოხტომა ან მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვა უდიდეს სიხარულს მოგანიჭებთ, — ამტკიცებენ მეცნიერები. სამწუხაროდ, ახალ პრეპარატს გვერდითი მოვლენებიც აქვს: გაგაღიზიანებთ ისინი, ვინც აქამდე საერთოდ არ განაღვლებდათ, სხვა რასისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანები არ მოგეწონებათ, არც ისინი, ვისაც ბევრი ფული აქვს. მოკლედ, ყველა, ვინც თქვენგან განსხვავდება. მიუხედავად ამ ნაკლისა, მსოფლიო მთლიანობაში გაცილებით უკეთესი მოგეჩვენებათ. ჯერჯერობით, პრეპარატის შეძენა შეუძლებელია, რადგან ის მხოლოდ კონცეფციაა, მაგრამ უდავოდ, აქტუალური...

წონის დაკლებაში საღეჭი რეზინი დაეხმარებათ



ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საღეჭი რეზინი არა მხოლოდ კალორიების მოცილებაში დაგეხმარებათ, არამედ ძალების მოზღვავებასაც უწყობს ხელს. როდ-აილენდის უნივერსიტეტის მკვლევართა ექსპერიმენტში 35 ჯანმრთელი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. მოხალისეებს მარტივი ამოცანა უნდა შეესრულებინათ — სამი საღეჭი რეზინი უნდა დაეღეჭათ, თითოეული 20 წუთის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ეს მარტივი საქმიანობა საუზმის წინ 67 კალორიას წვავდა და ამ შედეგს მთელი დღის განმავლობაში ინარჩუნებდა. საღეჭი პროცედურების შემდეგ, მამაკაცებს მადის დაქვეითება და სიმხნევის მომატება აღენიშნებოდათ. ჭამამდე და მის შემდეგ კევის დაღეჭვით ისინი 5%-ით მეტ ენერგიას ხარჯავდნენ. ექსპერიმენტისას სწავლულები ზომავდნენ მეტაბოლიზმის ინტენსივობას, ასევე სისხლში შაქრის დონეს. კევის ღეჭვა ასტიმულირებს ნერვულ დაბოლოებებს, ისინი კი, თავის მხრივ, სიგნალს ტვინს აწვდიან, რომელიც დანაყრებაზეა პასუხისმგებელი, — გვიხსნიან მადის დაქვეითების მიზეზს სწავლულები.

ადვილი

3	1	7	6	5	2	9	8	4
9	8	6	1	4	7	5	3	2
5	4	2	3	8	9	1	7	6
4	2	5	9	7	1	3	6	8
8	6	3	5	2	4	7	1	9
1	7	9	8	3	6	4	2	5
2	5	1	7	9	8	6	4	3
7	3	8	4	6	5	2	9	1
6	9	4	2	1	3	8	5	7

საშუალო

3	1	2	4	7	8	6	5	9
7	6	9	5	2	3	8	4	1
4	8	5	1	6	9	3	2	7
2	5	8	9	4	7	1	6	3
1	7	3	6	8	5	4	9	2
9	4	6	3	1	2	7	8	5
6	3	4	2	9	1	5	7	8
8	2	1	7	5	6	9	3	4
5	9	7	8	3	4	2	1	6

რთული

6	3	2	5	7	4	8	1	9
7	1	9	8	6	3	5	4	2
8	5	4	2	1	9	3	7	6
3	9	5	4	2	8	1	6	7
1	2	6	3	5	7	4	9	8
4	8	7	1	9	6	2	3	5
2	7	3	6	8	1	9	5	4
5	6	1	9	4	2	7	8	3
9	4	8	7	3	5	6	2	1

ეჭვსავრცელი

6	3	7	9	5	4	8	2	1
1	5	2	3	8	7	6	9	4
9	8	4	6	2	1	7	5	3
8	1	9	7	4	6	5	3	2
5	4	6	8	3	2	1	7	9
7	2	3	1	9	5	4	8	6
4	9	1	2	7	8	3	6	5
3	7	5	4	6	9	2	1	8
2	6	8	5	1	3	9	4	7



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ჰოროსკოპი

26 მარტი

ვერძი — დღე საკმაოდ სასიკეთოა ვერძებისთვის, განსაკუთრებით, პირად ცხოვრებაში. კაშკაშა ეპიზოდების მოლოდინი ნუ გექნებათ, სამაგიეროდ, სტაბილურობის ტენდენცია გაჩნდება. ახლობელი ადამიანის მიმართ რწმენა გაგიჩნდებათ და მისი ქმედებებიც საეჭვოდ აღარ მოგეჩვენებათ.

კურო — დღეს სრულ ჰარმონიაში იქნებით საკუთარ თავსა და გარშემომყოფებთანაც. რეკომენდებულია სასიყვარულო ურთიერთობები, რომანტიკული შეხვედრები და პირადი მიმოწერა. დაოჯახებულებს ახლა საერთო საქმეებით დაკავება ესაჭიროებათ — საყიდლები, მოგზაურობა, ბავშვების აღზრდა და სხვა.

ტყუპები — ტყუპებისთვის ჰარმონიული დღეა რომანტიკული ურთიერთობებისთვის. ძალების მოზღვავებას, შემოქმედებით ენერგიას იგრძნობთ, სურვილი გაგიჩნდებათ, ორიგინალური გეგმები განახორციელოთ. შეგიძლიათ, ამ საქმეში ახლობლებს სთხოვოთ დახმარება.

კირჩხიბი — დღე სიახლეს გპირდებათ. გზამკვლევი ვარსკვლავი მიზანთან მოულოდნელი გზით მიგიყვანთ. იყავით გაბედული და მიჰყევით მას. ახალი შესაძლებლობები გაჩნდება კარიერაში წინსვლისთვის, ასევე პირად ცხოვრებაშიც.

ლომი — დღის ენერგეტიკა ლომებს საკუთარი ნიჭის გამოვლენაში დაეხმარება, ასევე გააძლიერებს გრძნობებსა და რომანტიკულობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენთვის ეს შესანიშნავი პერიოდია ახალი ურთიერთობების ან ახალი საქმის დასაწყებად.

ქალწული — დღე საკმაოდ სასიკეთოა ქალწულებისთვის ახალი კონტაქტების დასამყარებლად, პარტნიორული ურთიერთობებისთვის. ახლა შეგიძლიათ, თამამად ენდოთ სხვა ადამიანს, გაანდოთ გეგმები და ითანამშრომლოთ მასთან.

სასწორი — არ ღირს, დღეს საკუთარი მოვალეობები სხვა ადამიანებს გადააბაროთ, ნაწილი მაინც დაიტოვეთ თქვენთვის. რასაკვირველია, დატვირთვა გაიზრდება, მაგრამ სამაგიეროდ, გამარჯვება გარანტირებული იქნება.

ღრიანკალი — დღეს შესაძლოა ახალი იდეები, ორიგინალური აზრები გეწვიოთ. ემოციებიც სჭარბობს, რამაც შესაძლოა, მოქმედებისკენ გიბიძგოთ. თუ ყველაფერს ჭკუით გააკეთებთ, შედეგი გასაოცარი იქნება.

მშვილდოსანი — დღე მშვილდოსნებს წუთიერი სურვილების ასრულებისკენ უბიძგებს. ზოგჯერ მოვლენები თქვენივე საზიანოდ შეიძლება შემოაბრუნოთ და შედეგად, საკუთარი გეგმებიც ჩაშლის პირას აღმოჩნდება.

თხის რქა — დღეს თუ გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმისგან თავს ვერ შეიკავებთ, გარშემომყოფების გაკიცხვას ვერ გადაურჩებით, რაც მატერიალურადაც დაგაზარალებთ. ნუ გაუმხელთ საკუთარ გეგმებს კოლეგებსა და მეგობრებსაც კი.

მერწყული — მერწყულების დღევანდელი საქმიანობა მატერიალურ სიბრტყეში მდებარეობს. არ ღირს, დაკავდეთ თვითგანვითარებით ან პირადი ურთიერთობების მოგვარებით — ამ სფეროში შესაძლოა, სასტიკად დამარცხდეთ. სამაგიეროდ, ფინანსურ საქმეებში მოგება სავსებით რეალურია.

თევზები — ვარსკვლავები თევზებს ურჩევენ, ფული საკუთარი ბიზნესის განვითარებაში ჩადონ ან ფასიანი ქაღალდები შეიძინონ. დღე სასიკეთოა კოლექტივში ავტორიტეტის გაზრდისთვის. არის შესაძლებლობა, საჭირო კავშირებიც დაამყაროთ.

დენის დარტყმისთვის მილიონები გადაუხადეს

კალიფორნიის მცხოვრებმა, სიმონა უილსონმა ენერგომომმარაგებელი კომპანიისგან 4 მილიონ დოლარიანი კომპენსაცია მიიღო. მიზეზი კი ის იყო, რომ ქალი რამდენჯერმე აღმოჩნდა საავადმყოფოში, რადგან შხაპის მიღებისას დენი არტყამდა. უილსონმა სასამართლოში იჩივლა, ექსპერტები კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაფერი მისი სახლის ახლოს მდებარე ქვესადგურის ბრალი იყო. ტესტების შედეგად დადგინდა, რომ ძაბვას ატარებდა ყველა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სანტექნიკის მოწყობილობა. სასამართლომ ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანია Southern California Edison გულგრილობაში დაადანაშაულა, თუმცა მისი წარმომადგენლები დანაშაულს არ აღიარებენ და აპელაციას ამზადებენ.

აფრიკელები თიხის ძეხვს მიირთმევენ

კვების ექსკლუზიური პროდუქტი — საკვებად ვარგისი მიწა — შეგიძლიათ შეიძინოთ ტანზანიის დედაქალაქის, დარ-ეს-სალამის ბაზარში. სწორედ აქ და ჯერჯერობით, მხოლოდ ამ ადგილას შეგიძლიათ, ნახოთ მოვაჭრეები თიხის „ძეხვეულობით“. ასეთი დელიკატესი ხუთი ამერიკული ცენტი ღირს, რაც აქაურობის კვალობაზე არც ისე ცუდი თანხაა. თანაც „ძეხვი“ მხოლოდ ტალახი არ არის. ნედლეულს ამ უჩვეულო პროდუქტისთვის ტანზანიის ერთ-ერთი რაიონიდან იღებენ, სადაც მიწა განსაკუთრებით მდიდარია მიკროელემენტებით. მასში ბევრია მაგნიუმი, სპილენძი, კალციუმი და რკინა. მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები არ ურჩევენ მიწის ჭამას, „საკვები თიხით“ ვაჭრობა აქ მაინც ყვავის. ადგილობრივები დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი „ძეხვი“ მათ ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დაეხმარება და დაავადებებისგან განკურნავს.

ერთი წუთით ინტერნეტში

ამერიკულმა კორპორაციამ „ინტელი“, რომელიც მიკროპროცესორების წარმოებითაა ცნობილი, იმის ზუსტი ნუსხა წარმოადგინა, რა ხდება ინტერნეტში ერთი წუთის განმავლობაში. აღარავის უკვირს, რომ თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ინტერნეტს ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა „ინტელის“ შედეგები მაინც შთამბეჭდავია. აღმოჩნდა, რომ ერთი წუთის განმავლობაში, ელექტრონული ფოსტით 204 მილიონი იმეილი იგზავნება, 47 ათასი აპლიკაცია იტვირთება, „ამაზონზე“ კი 83 მილიონი დოლარის შენაძენი კეთდება. რაც შეეხება სოციალურ ქსელებს — ყოველ წუთში „ფეისბუქზე“ 20 მილიონი ფოტო იტვირთება, YouTube-ზე კი 1,3 მილიონ კლიპს ნახულობენ. წინასწარი პროგნოზებით, 2015 წლისთვის ქსელური მოწყობილობები მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობაზე ორჯერ მეტი იქნება.

სისხლდენას გელი შეაჩერებს

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჯო ლანდოლინმა და კენი მაიმ Veti-gel შექმნეს, რომელიც სისხლდენას რამდენიმე წამში აჩერებს და აჩქარებს სისხლის შედედებას სხვადასხვა სახისა და ზომის ჭრილობებში. ახალი მეთოდი განსაკუთრებით წაადგებათ ქირურგიული ოპერაციებისას, რადგანაც საშუალებას იძლევა, სწრაფად და ეფექტურად შეაჩერონ სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან.

გელის საფუძველი პოლიმერებია, რაც მცენარეულ ნედლეულზეა შექმნილი. სწავლულები აღნიშნავენ, რომ მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, ამ გელის წასმის შემდეგ, დაახლოებით 15 წამში შეჩერდა სისხლდენა ღვიძლის ნაწილის მოკვეთისას. ახალი საშუალება საიმედოდ კრავს ჭრილობას და ასტიმულირებს ქსოვილების აღდგენის შიდა პროცესს. გელის შემქმნელების თქმით, მათი პროდუქტი კურნავს და ასევე ქსოვილების რეგენერაციას ახდენს ფართო დამწვრობის დროსაც.

ყველაზე ძლიერი ყავა დაამზადეს

ვინც ფიქრობს, ფინჯანი ჩვეულებრივი ყავა ვერ აფხიზლებს, სწორედ მათთვის, ამ სასმელის ახალი სახეობა გამოჩნდა გაყიდვაში და მას „სიკვდილის სურვილი“ (Death Wish Coffee) ჰქვია. მისი მწარმოებელი კომპანია აცხადებს, რომ ასეთ ყავაში ორჯერ მეტი კოფეინია, ვიდრე ჩვეულებრივში. მათი მტკიცებით, აღმოაჩინეს მარცვლები, სადაც გაცილებით მეტი კოფეინია. მას არაბიკას გემო აქვს, ენერგიის ორმაგ მუხტს იძლევა და მარცვლები საშუალოდაა მოხალული. ეს არ არის ჩვეულებრივი ყავა, რასაც მაღაზიაში იყიდით ან კაფეში დალევთ. ჩათვალეთ, რომ გაგაფრთხილეთ, — აცხადებენ მწარმოებლები. რასაკვირველია, ასეთი ყავის ფასიც არ იქნება დაბალი — ამ მარცვლების 450-გრამიანი შეფუთვა 20 დოლარი ღირს. თუ ის საკმარისად მაგარი არ მოგეჩვენებათ, კომპანია გადახდილ თანხას 60 დღის განმავლობაში, უკან დაგიბრუნებთ.

ქუსლების სიმაღლე ეკონომიკურ სიტუაციას განსაზღვრავს

მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის გაყიდვები იზრდება, როცა ეკონომიკაში საქმე კარგად არის, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები. ოთხი წლის განმავლობაში მათ შეისწავლეს დამოკიდებულება ეკონომიკურ სიტუაციასა და ქალის ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლეს შორის. მკვლევარები მას ფეხსაცმლის ინდექსს უწოდებენ. სწავლულების განცხადებით, რაც მაღალია ქუსლი, მით თავისუფლად და მყარად გრძნობს თავს ქალი. რთულ სიტუაციებში სტაბილურობისკენ ვისწრაფვით და ამ დროს უპირატესობას დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ვანიჭებთ. კვლევის მონაწილეთა თქმით, ნისლიან ალბიონზე ბოლო დროს დიდია მოთხოვნა დაბალქუსლიან ფეხსაცმელზე. ერთი წლის განმავლობაში გაყიდვები 25%-ით გაიზარდა, თუმცა დიდი პოპულარობით სარგებლობს კაშკაშა ფერების მოდელები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბრიტანელთა უმრავლესობა ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას ოპტიმისტურად აფასებს.

სუდოკუ

ადვილი

6	4			7	2			
	2	1	6		8			
8			1			4		
	1							6
		2		1		3		
3							4	
		8			6			4
			4		3	8	1	
			9	8			5	3

სტანდარტი

6			2					
9		2	6			7	5	4
		8	9				6	
		1						3
				4				
5						9		
	4				2	6		
2	1	7			9	4		5
					1			9

რთული

6					9			8
		2		8			1	
			3					6
		3		5				9
	9	4				1	8	
1				2		7		
9					7			
	6			4		5		
3			8					1

ექსპერტი

	7			3			9	8
2				8	7		3	
9			6			4		3
3	5			9			8	6
6		2			8			7
	3		1	6				5
4	1			5			7	

ქოქონას საჭმელი სძულს

ახალგაზრდა ქალს უცნაური ფობია სჭირს — მას საჭმლის ეშინია და მხოლოდ კარტოფილს მიირთმევს. ხანდახან მენიუს „მრავალფეროვნებისთვის“, კარტოფილთან ერთად, ყველსა და მწვანე სალათსაც შეექცევა. 23 წლის კლერ ჯონსს ასე ცხოვრება ძალიან უჭირს. რესტორანში ან ბარში მეგობრებთან გართობისას, მენიუში ყოველთვის კარტოფილს ეძებს და ამის გამო, ხშირად უხერხულ სიტუაციაში ვარდება. როგორც ჯონსი ამბობს, ამ ფობიის დაძლევა არაერთხელ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. სოსისისა და პურის ჭამა რომ გადაწყვიტა, ცუდად გახდა. მთლიანობაში, კლერს უკვე 13 ტონა საყვარელი პროდუქტი აქვს მოხმარებული. 5 წლისამ ფეხი მოვიტეხე და საავადმყოფოში მოვხვდი. საჭმელს არ ვჭამდი და დედამ სასადილოდან კარტოფილი მოიტანა, ახლაც მახსოვს, როგორ გემრიელად მივირთვი და უეცრად, ყველანაირი საკვები შემზიზღდა, — ამბობს გოგონა, — დაბადების დღეებზე მეგობრები ტორტზე სანთლებს აქრობენ, ჩემს დღეობაზე კი ჩიპსებია ხოლმე, — ამბობს შეწუხებული კლერი.

ცუდი სიზმრები სასარგებლოა?

ცუდი სიზმრები ადამიანის ემოციური მდგომარეობისთვის ზიანის მომტანი არ არის, პირიქით, ის დადებითად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, — ასეთ პარადოქსულ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები. როგორც მკვლევარები ამბობენ, ცუდ სიზმარს, ჩვეულებრივ, დღის განმავლობაში დაგროვილი ცუდი ემოციები იწვევს. კოშმარული, აუხსნელი და უცნაური სიზმრები ადამიანს საშუალებას აძლევს, შიში და ნეგატიური ემოცია სიზმარში გადაიტანოს და მათ ღამითვე დააღწიოს თავი. ყველაზე ხშირად ადამიანს საშინელებები გამთენიისას, ეგრეთ წოდებული სწრაფი ძილის დროს ესიზმრება. სწავლულები ცუდ სიზმრებს მაინც გამოყოფენ კოშმარებისგან, რომელიც ადამიანს ღამითვე აღვიძებს და პანიკურ შიშს იწვევს. ამასთან, ბევრი ვერ ახერხებს სიზმრისა და რეალობის გარჩევას, ამიტომ საფრთხის გრძნობა დილამდე მიჰყვება.

უდაბნოში უდიდესი ოაზისი შექმნეს

არაბთა გაერთიანებული საამიროების უდიდეს ქალაქ დუბაიში, ცოტა ხნის წინ, მსოფლიოში ყვავილების ყველაზე დიდი ბაღი გაიხსნა, რომელიც 72 ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული და 45 მილიონზე მეტი ყვავილი ხარობს. როგორც ბაღის ადმინისტრაცია აცხადებს, ბევრი მცენარე სპარსეთის ყურის სანაპიროზე პირველად მოხვდა და ადრე აქ არასოდეს უხარია. უდიდესი ბაღი გინესის რეკორდების წიგნის პრეტენდენტია. ამ ბაღით დავამტკიცეთ, რომ უდაბნოში ოაზისის შექმნა შეიძლება. ყვავილებს მორწყვის სპეციალური ხერხით ვატენიანებთ, დარჩენილ წყალს ვაგროვებთ და მას ხელახლა ვიყენებთ, — აცხადებს ბაღის მოვლით დაკავებული კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ჩაი ძვლების დაავადებებს იწვევს

ამ სასიამოვნო სასმელის ჭარბად მოხმარება ზიანს აყენებს ორგანიზმს, — ამტკიცებს აშშ-ში, მიჩიგანის შტატში მცხოვრები 47 წლის ქალბატონი, რომელიც 17 წლის განმავლობაში ყოველდღიურად 10 ჭიქამდე ჩაის სვამდა, შედეგად, ყველა კბილი დაკარგა და ძვლის იშვიათი დაავადებაც განუვითარდა, რაც ორგანიზმში ფტორის სიჭარბემ გამოიწვია. როდესაც ქალბატონმა კიდურების, სახსრებისა და ხერხემლის ტკივილით ექიმს მიაკითხა, აღმოჩნდა, რომ მის ორგანიზმში ფტორის მაჩვენებელი ნორმაზე ოთხჯერ მეტი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტები ხშირად ფიქსირდება ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც ჩაის ასევე ჭარბად მოიხმარენ. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში კი ცნობილია, რომ სასმელ წყალს ფტორს ამატებენ. შესაბამისად, ამერიკელი ქალბატონი ამ ნივთიერებას წყლიდან და ჩაიდან იღებდა. როგორც წესი, ფტორი ორგანიზმიდან თირკმელების მეშვეობით გამოიდევნება, მაგრამ როცა ეს ვერ ხერხდება, ის ძვლებში აღწევს. ამერიკელმა ჩაის მოხმარება საკმაოდ შეამცირა, რის შედეგადაც ძვლების ტკივილი ნაკლებად აწუხებს. მედიკოსების განცხადებით, მისი ორგანიზმი დროთა განმავლობაში ფტორისგან გაიწმინდება.



გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699
9 771987 869003

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.